

ქართული ენა და ლიტერატურა

V კლასი

მასწავლებლის წიგნი

სარჩევი

სახელმძღვანელოს ზოგადი დახასიათება.....	5
სახელმძღვანელოში გამოყენებული პირობითი ნიშნები.....	7
მოსწავლის რვეული	12
სახელმძღვანელოს თავების შინაარსი.....	12
ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტი – V კლასი.....	22
მიმართულება: ზეპირმეტყველება	22
მიმართულება: კითხვა.....	24
მიმართულება: წერა.....	27
პროგრამის შინაარსი	28
სახელმძღვანელოს შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.....	30
სახელმძღვანელოს შინაარსის მიმართება სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებთან მიზნებისა და აქტივობების ჩვენებით.....	35
სარეკომენდაციო თემატურ-კალენდარული გეგმა	45
ინტერაქტიური სწავლების ამოსავალი დებულებები	64
ინტერაქტიური სწავლების ორგანიზაცია	65
შემეცნება-აზროვნების სამფაზიანი მოდელი.....	66
კრიტიკული აზროვნების განვითარების ხელშემწყობი მეთოდები	66
მოსწავლეთა თანამშრომლობის მეთოდები	74
წერის სტრატეგია.....	74
გაკვეთილის დაგეგმარება	75
შეფასება	76
თვითშეფასება	77
რამდენიმე გაკვეთილის გეგმა.....	78
შეფასების სქემები	91

ეს სარეკომენდაციო წიგნი შეიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს – სახელმძღვანელოს წარმოდგენილი ნაწილის სტრუქტურისა და შინაარსის აღწერას, მის შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, მიზნებსა და მიღწეული შედეგების ინდიკატორებს თითოეულ თემასთან დაკავშირებით, მეხუთე კლასის ქრთული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ სტანდარტს, სანიმუშო გაკვეთილების სცენარებს შესაბამის აქტივობებთან და რესურსებთან ერთად, ასევე შეფასების სქემებს.

ვიმედოვნებ, მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი სათანადოდ დაგეხმარებათ სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვასა და სასურველი შედეგების მიღწევაში.

ავტორი მადლიერებით მიიღებს სახელმძღვანელოს გაუმჯობესების სურვილით ნაკარნახევ ყველა შენიშვნას.

სახელმძღვანელოს ზოგადი დახასიათება

V კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო, შემოთავაზებული კომპლექტის სახით, წიგნი მიზნად ისახავს, აღზარდოს ჩვენი ქვეყნის ღირსეული და მოაზროვნე მოქალაქე. რადგან ქართული ენა და ლიტერატურა არ არის მხოლოდ სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ერთ-ერთი რიგითი საგანი, არამედ მას აქვს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა თვით სასწავლო პროცესისათვის, რადგან იგი არის სწავლების ენა და საფუძვლად უდევს ყველა სასწავლო დისციპლინის სწავლას, სწავლებასა და შეფასებას. სწორედ ეს ფაქტი განაპირობებს მის განსაკუთრებულობას და სერიოზულ მოთხოვნებს უყენებს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში ჩართულ ყველა მხარეს.

V კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის შემოთავაზებული სახელმძღვანელო ორნაწილიანია. პირველ ნაწილში შედის ჟანრულად მრავალფეროვანი ლიტერატურული ტექსტები ლიტმცოდნეობითი აპარატით, ხოლო მეორე ნაწილში – ენობრივი საკითხები ერთიანდება. კონკურსის პირობების შესაბამისად, V კლასის ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს მეორე ნაწილს ერთვის რვეული, რომელიც ინდივიდუალურია და ყველა მოსწავლეს უნდა ჰქონდეს დავალების შესასრულებლად. მხოლოდ რვეულში აკეთებს მოსწავლე ჩანაწერებს. წიგნის არც ერთ ნაწილში არ არის ისეთი დავალება, რომელიც ჩანერას მოითხოვს.

მართალია, სახელმძღვანელო იყოფა ორ ნაწილად, მაგრამ თავად სწავლება ავტორს წარმოუდგენია ერთიან პროცესად. ამიტომ გადასვლა ლიტერატურის საკითხებიდან ენობრივ საკითხებზე ხდება საგაკვეთილო მიზნის მიხედვით, რაც ასახულია თემატურ-კალენდარული გეგმის შემოთავაზებულ სარეკომენდაციო ვარიანტში. მასწავლებლები ნახავენ, რომ აქ არ არის გაიჯვნა ენად და ლიტერატურად. მთავარ მიზნად დასახულია სასწავლო ტექსტის ანალიზი და არა რომელიმე ლიტმცოდნეობითი ან ენობრივი საკითხის სწავლება იზოლირებულად.

სახელმძღვანელო სრულად მოიცავს ეროვნული სასწავლო გეგმის ქართული ენისა და ლიტერატურის V კლასის საგნობრივი პროგრამის შინაარსს, ხელს უწყობს სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. თემატურად სახელმძღვანელო მრავალფეროვანია, მასში შეტანილი ნაწარმოებები მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით სათანადო დონეზე დგას და უთუოდ დააინტერესებს მეხუთეკლასელ მოსწავლეებს.

სახელმძღვანელოს კომპლექტი დაეხმარება მოსწავლეს ახალი მასალის საფუძვლიანად ათვისებაში, ხელს შეუწყობს მის აქტიურად ჩართვას სასწავლო პროცესში, ხოლო მასწავლებლისთვის სასარგებლო იქნება ამ პროცესის სრულყოფილად წარმართვისა და პროფესიულ განვითარების თვალსაზრისით.

V კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის პირველ ნაწილში მხატვრული ტექსტები დალაგებულია თემატური პრინციპით. ისინი განაწილებულია სახელმძღვანელოს ექვს თავში. ყოველი თავის შიგნით წარმოდგენილი მასალა თემატური თვალსაზრისით ერთიანია, ხოლო შინაარსობრივ-ჟანრული თვალსაზრისით მრავალფეროვანია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ სახელმძღვანელოთი მოსწავლეები გაეცნობიან მაღალმხატვრულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, რაც ხელს შეუწყობს მოზარდების სოციალურ და კულტურულ აღზრდას. თხზულებები მეხუთეკლასელთათვის გასაგები ენით არის დანერილი, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები. შერჩეული ტექსტები, ერთი მხრივ, ითვალისწინებს და, მეორე მხრივ, ამდიდრებს მოზარდების ასაკობრივ ინტერესებსა და მათ გამოცდილებას.

სახელმძღვანელოს თან ერთვის ლექსიკონი, რომელშიც განმარტებულია ბავშვებისთვის რთული და უცნობი სიტყვები, ფრაზეოლოგიზმები, არქაული ან იშვიათად ხმარებული ფორმები. სახელმძღვანელო ხელს უწყობს ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. მასში სათანადოდ არის ასახული როგორც კითხვის, ისე ზეპირი და წერიტი მეტყველების მიმართულებები. ბალანსი სტანდარტის მიმართულებებს შორის დაცულია.

სახელმძღვანელო მეორე ნაწილი ემსახურება პირველ ნაწილში მოცემული ლიტერატურული ან საინფორმაციო ტექსტის უკეთესად გაგება-ათვისებას. აქედან გამომდინარე, სახელმძღვანელო არ ისახავს მიზნად მხოლოდ გრამატიკული ცნებების სწავლებასა და კატეგორიების აღწერა-კლასიფიკაციას, არამედ მათი პრაქტიკული გამოყენებისათვის ხელშეწყობას კონკრეტულ სამეტყველო, წერიტ და ზეპირ სიტუაციებში. რადგან მზა სახით მიწოდებული გრამატიკული მასალა ვერ უზრუნველყოფს ცოდნის მიღებას, ჩვენი მიზანია მოსწავლეები გაერკვნენ ენის ფუნქციონირებაში, მაგრამ ეს არ არის ადვილად და მალე მისაღწევი მიზანი. აქეთკენ სვლა ავტორს გათვალისწინებული აქვს რამდენიმე წლის განმავლობაში, V-IX კლასებში.

მოსწავლე იმეორებს ყველა იმ ენობრივ საკითხს ლიტერატურულ მასალასთან კავშირში, რომლებიც გათვალისწინებულია მეოთხე კლასის საგნობრივი სტანდარტით. იმისთვის, რომ წიგნში შრიფტით და ფონით საგანგებოდ გამოყოფილი განმარტებები მასწავლებლებმა არ ჩათვალონ მოსწავლეებისთვის სავალდებულო საზეპირო მასალად, საჭიროდ მიგვაჩნია, ჩვენს კოლეგა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს მივანოდოთ ერთი აუცილებელი რეკომენდაცია.

ენობრივი საკითხების სწავლებისას დაუშვებელია ამა თუ იმ ენობრივი ცნების დეფინიციის ან განმარტების ზეპირად სწავლის მოთხოვნა მოსწავლეებისათვის. ჩარჩოში მოცემული განმარტებები მიზნად ისახავს მეხუთეკლასელებისთვის ძირითადი ინფორმაციის დაწურულად მიწოდებას და ასეთი სახის მარტივი ტექსტების კითხვით მათ შემზადებას მომავალ კლასებში შესასწავლი ენობრივი საკითხების განზოგადებულად წარმოდგენისათვის. იგივე უნდა ითქვას ამა თუ იმ ლიტმცოდნეობითი ტერმინის სპეციალურად ფონზე წარმოდგენილი განმარტების სწავლებაზეც. არ არის აუცილებელი ლიტმცოდნეობითი ტერმინის განმარტების ზეპირად ცოდნა. მთავარი მიზანია, მისი პოვნა და ფუნქციის დადგენა გასაანალიზებელ ტექსტში.

სახელმძღვანელო ტექნიკური თვალსაზრისით გამართულია. დაცულია ის მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება საკონკურსო სახელმძღვანელოებს წიგნის ფორმატის, ილუსტრაციების, სტრიქონის ზომის, სტრიქონებს შორის ინტერვალის, შრიფტების სახეებისა და რაოდენობის თვალსაზრისით.

სახელმძღვანელოში მოცემული მასალას ახლავს მკაფიო და დამაინტერესებელი ილუსტრაციები. სიუჟეტური სურათები აღსაქმელად კარგია და ემსახურება მხატვრული თუ საინფორმაციო ტექსტის შინაარსისა თუ ქვეტექსტების მოსწავლისთვის გასაგებად მიწოდებას. თითოეული რუბრიკის, აქტივობისა თუ სხვადასხვა დონის კითხვებისა და დავალებების უკეთ ამოსაცნობად გამოყენებულია სპეციალური ნიშნები (იხ. სახელმძღვანელო).

სახელმძღვანელოში გამოყენებული პირობითი ნიშნები

ყოველი ტექსტის შესწავლის წინ მოსწავლეს მოტივირების მიზნით (პროვოცირების ეტაპი) ეძლევა ინფორმაცია ან რაიმე სახის დავალება, რომელიც ამზადებს მეხუთეკლასელს შესასწავლი მასალისთვის. ამ სახის დავალება აღინიშნება სპეციალური ლოგოთი (იხ. ნიმუში 1).



გაეცანით საინფორმაციო ტექსტს კახეთში რკინიგზის გაყვანის შესახებ:

დიდი ხნის განმავლობაში კახეთის ჭირნახული ძნელად ხვდებოდა თბილისის ბაზრებში, რადგან საქართველოს დედაქალაქს ამ კუთხესთან რკინიგზა არ აკავშირებდა. ილია ჭავჭავაძეს კარგად ესმოდა კახეთში რკინიგზის გაყვანის მნიშვნელობა და ყოველმხრივ ხელს უწყობდა ამ საქმეს. მისი თაოსნობით სათავადაზნაურო ბანკმა გასცა თანხა კახეთში რკინიგზის გასაყვანად. შემდეგ ეს საქმე გაგრძელდა ადგილობრივი თავადაზნაურობის ხარჯით და რკინიგზა 1915 წელს ამუშავდა.

ნაიკითხეთ გიორგი ლეონიძის „ჩვენი ჭერამი“ და ყურადღება გაამახვილეთ იმ მონაკვეთზე, რომელიც მოგვითხრობს, როგორ და რა პირობებში გააყვავდათ კახეთში რკინიგზა.

ნიმუში 1

ტექსტს მისი საკვანძო ნაწილების სწორად გაგებისა და ანალიზის მიზნით აუცილებლად მოჰყვება კითხვები, რომლებიც გაერთიანებულია ბლოკში „იფიქრეთ და იმსჯელეთ“ და აქვს თავისი ლოგო (იხ. ნიმუში 2).

იფიქრეთ და იმსჯელეთ



1. 18 ივნისის ჩანაწერის მიხედვით, რაზე ნუხდა გიორგი? მისი რომელი თვისება ჩანს ამ მონაკვეთიდან?
2. მიშიკოს რა თვისებაზე მიგვანიშნებს სიტყვები: „იცის ბიჭმა“? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.
3. გადმოეცით თქვენი სიტყვებით, რა თანამიმდევრობით ჩატარდა ოპერაცია. გამოიყენეთ სიტყვები: ჯერ, შემდეგ, ამის შემდეგ, ბოლოს.

ნიმუში 2

ყოველ ტექსტს მოსდევს აგებულებასა და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების გასაანალიზებელი სავარჯიშოები (იხ. ნიმუში 4).

ტექსტის შემადგენელი ნაწილები

ტექსტის შემადგენელი ნაწილებია: დასაწყისი, ძირითადი ამბავი და დასასრული.

დასაწყისით ავტორი ამზადებს მკითხველს ძირითადი ამბის აღსაქმელად: აღწერს გარმოს, სადაც ხდება მოქმედება, აცნობს პერსონაჟებს და სხვ.

ძირითად ნაწილში მოთხრობილია, თუ რა მოხდა, ვისი მონაწილეობით და როგორ ან რატომ მოხდა ამბავი.

ნაწარმოების ბოლო ნაწილში სრულდება ამბავი. ზოგჯერ ჩანს მოთხრობლის ან ავტორის დამოკიდებულება მომხდარი ამბის, ნაწარმოების მთავარი სათქმელის, პერსონაჟების მიმართ და სხვ.

1 მონიშნეთ, სად მთავრდება რევაზ ინანიშვილის ნაწარმოების დასაწყისი ნაწილი. იმსჯელეთ, როგორ ამზადებს ავტორი მკითხველს ძირითადი ამბისათვის.

ნიმუში 4

როგორც უკვე აღინიშნა, არც ერთი ლექსიკური, მორფოლოგიური თუ სინტაქსური ხასიათის სავარჯიშო არ არის თვითმიზნური. იგი ემსახურება ტექსტის გაგებას. სახელმძღვანელოში არჩეულია ენობრივი საკითხების სწავლების ფუნქციურ-სემანტიკური მიდგომა. ენობრივი საკითხები წიგნში მოსწავლეს არ მიეწოდება იზოლირებულად, ენის სისტემის აღწერა-კლასიფიკაციის მიზნით, არამედ შესასწავლი ტექსტების სტილურ და შინაარსობრივ მახასიათებლებთან ერთად არის მოცემული (იხ. ნიმუში 5).

2 ა) გაეცანით თითოეული სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობას.

წვერი – 1. რისამე წაწვეტებული, წვეტიანი ბოლო;

2. მამაკაცის ყბებსა და ნიკაპზე ამოსული თმა;

3. რისამე ზედა ბოლო, უმაღლესი წერტილი (მთის წვერი).

ენა – 1. პირის ღრუში მოთავსებული ორგანო, რომლითაც გემოს აღვიქვამთ და სამეტყველო ბგერებს წარმოვთქვამთ.

2. აზრის ჩამოყალიბებისა და გაგებინების საშუალება საზოგადოებაში (ქართული ენა).

თვალი – 1. მხედველობის ორგანო;

2. ძვირფასი ქვა (ბეჭდის თვალი);

3. ნაქსოვის ან დანხულის ცალკეული უჯრედი (წინდის თვალი).

ბ) წაიკითხეთ ედიშერ ყიფიანის ნაწარმოებიდან ამოკრებილი წინადადებები და გაარკვიეთ, რომელი მნიშვნელობით არის გამოყენებული ხაზგასმული სიტყვები.

1. მიშიკომ ფანქრის **წვერს ენა** აუსვა. 2. **თვალე**ბი გამიშტერდა. 3. კრუხმა **თვალე**ბი ისე გადაატრიალა, თითქოს საკუთარ გულს ჩახედა.

გ) გამოიყენეთ ხაზგასმული სიტყვები სხვა მნიშვნელობით და შეადგინეთ წინადადებები.

ნიმუში 5

სასწავლო წლის განმავლობაში მეხუთეკლასელებს მოუწევთ რამდენიმე პრეზენტაციის ანუ ინდივიდუალურად ან ჯგუფურად მომზადებული ნამუშევრის წარდგენა კლასში. (იხ. ნიმუში 6).

პრეზენტაცია

პრეზენტაცია

იმსჯელეთ თემაზე: ბუნება და დიდი ქალაქების მკვიდრნი.
 „უფლისჩიტაში“ გოდერძი ჩოხელი წერს, რომ „ქალაქელები მოსწყდნენ ბუნების მადლს“.
დაფიქრდით, ეთანხმებით თუ არა მწერლის სიტყვებს. დაასაბუთეთ თქვენი მიერ გამოთქმული ყველა მოსაზრება.
I. იმუშავეთ ჯგუფში და იმსჯელეთ ამ საკითხზე. გადაიტანეთ სქემა რვეულში და ჩამოწერეთ მოსაზრებები.

დიახ, ვეთანხმები, რადგან:	არა, არ ვეთანხმები, რადგან:
1.	1.
2.	2.
3.	3.

II. შეაჯერეთ ჯგუფში გამოთქმული მოსაზრებები და მიიღეთ საბოლოო განწყვეტილება, რომელ აზრს უჭერთ მხარს და რატომ.

რჩევები

- მოსაზრებების გამოთქმისას მოუსმინეთ ერთმანეთს.
- ნუ შეანწყვტინებთ ჯგუფის წევრებს საუბარს.
- დაიცავით რიგითობა.
- პატივი ეცით სხვის აზრს.
- მოსაუბრეს მიმართეთ ზრდილობიანად.

III. წარუდგინეთ თქვენი ჯგუფური დასკვნა მთელ კლასს.

ნიმუში 6

თითოეულ ტექსტთან ყოველთვის მოცემულია დამოუკიდებლად შესასრულებელი შემოქმედებითი წერიტი დვალება, რომელიც ყოველთვის განსხვავებულია შესასწავლი მასალის შესაბამისად. (იხ. ნიმუში 7).

წერა



საკუთარი გამოცდილების გაზიარება

წარმოიდგინეთ, რომ ლევანი გვიზიარებს თავის გამოცდილებას და გვაძლევს მითითებებს, როგორ გავაკეთოთ სასტვენი ბუნებრივი მასალისაგან.

I. იმუშავეთ წყვილში. ჩამოაყალიბეთ ტექსტის შესაბამისი ეპიზოდის შინაარსი მითითებების სახით. დაიცავით თანამიმდევრობა. წერა დაიწყეთ ასე:

აიღეთ ღორქლიავას ან ჭერმის კურკა. შემდეგ ქვაზე დაასხით წყალი და ...

II. განიხილეთ თქვენი ნაშრომი კლასში.

III. მიღებული ტექსტი გამოიყენეთ ნიმუშად და შინ დაწერეთ, როგორ შექმენით ნივთი ან ნახელავი (ნაქსოვი, ნაქარგი, აპლიკაცია, ჰერბარიუმი და სხვ.). ასწავლეთ მკითხველს მისი დამზადება. იმუშავეთ დამოუკიდებლად.



ამბის თხრობა პერსონაჟის პირით

ლევანის პირით გადმოეცით, როგორ გაატარა მან არდადეგები.

I. მონიშნეთ ეპიზოდები, რომლებსაც უნდა დაეყრდნოთ წერისას. მოიფიქრეთ თხზულების დასაწყისი.

II. შექმენით ტექსტი. არ დაგავინწყდეთ, რომ თხზულება პირველ პირში უნდა იყოს დაწერილი.

შეეცადეთ, რომ ლევანმა ახსნას თავისი ქმედების მიზანი და თავად შეაფასოს შედეგი.

III. თქვენი ნაწერი გააცანით მეწყვილეს. მოისმინეთ მისი რჩევები.



– დასაწყისის ორი ვარიანტი მაქვს. არ ვიცი, რომელია უკეთესი. ხომ არ ამარჩევინებ?



– ნაკიკითხე ორივე, პირველი ვარიანტი უფრო მომეწონა. მე მგონი, უნდა შეცვალო სასტვენის დამზადების ეპიზოდი. სიტყვასიტყვით გაქვს გადანერილი ტექსტიდან.



– ჩემი აზრით, აქ მძიმეა საჭირო, აქ კი – ორნერტილი.
– მაღლობა. გავასწორებ და შემდეგ გავაცნობ კლასს.



მოდი, ჩემი ნაწერიც ნაკიკითხე. მეც მინდა მოვასწორო კლასში ხმამაღლა ნაკიკითხვა.



IV. შეიტანეთ ცვლილებები და დაასათაურეთ თხზულება.

ყურადღება მიაქციეთ:

- თანამიმდევრულად აღწერეთ თუ არა ყოველი მოქმედება;
- დაწერილებით აუხსენით თუ არა მკითხველს, რა უნდა გააკეთოს;
- არის თუ არა გასაგებად გადმოცემული თქვენი სათქმელი.

V. ნაუკითხეთ ლევანის ნაამბობი კლასელებს.



ჩანაწერების გაკეთება დღიურში

დანერეთ გუშინდელი დღის შესახებ.

გაიხსენეთ:

- რა გეგმები გქონდათ დილიდან?
- როგორი განწყობით შეუდექით საქმეს?
- დღის რომელი ნაწილი იყო უფრო დამღლეელი? რატომ?
- დღის რომელი ნაწილი იყო უფრო ხალისიანი? რატომ?

ქართული ენა და ლიტერატურა, ნაწილი მეორე

როგორც უკვე აღინიშნა, სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში გაერთიანებულია პირველ ნაწილში მოცემული ტექსტების შესაბამისი ენობრივი საკითხების ანალიზი. აქედან გამომდინარე, მას აქვს ნარევი ხასიათი. ზოგჯერ განსახილველი საკითხები სისტემურად მიჰყვება ერთმანეთს, ზოგჯერ კი იჭრება სისტემურობის დამრღვევი ენობრივი თემატიკა. რადგან ამოსავალი მოსწავლისთვის შესასწავლად ან გასაანალიზებლად შეთავაზებული ტექსტია, ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში ერთმანეთს ჩაენაცვლება სინტაქსის, მორფოლოგიისა და პუნქტუაციის საკითხები.

მოსწავლის რვეული

მოსწავლის რვეულში შეტანილი სავარჯიშოები შეესაბამება სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში მოცემულ ენობრივ საკითხებს. სავარჯიშოები სირთულის მიხედვით დიფერენცირებულია, გათვლილია სხვადასხვა ინტერესისა და ცოდნის დონის მოსწავლეებზე, რათა მათ მასწავლებელთან ერთად ჰქონდეთ არჩევანის საშუალება. სახელმძღვანელოს სავარჯიშოებს მოსწავლე ასრულებს მის მიერ წარმოებულ საკლასო და საშინაო დავალებების რვეულში (ან ზეპირად, წერის გარეშე), ქართული ენის სავარჯიშოთა რვეული ისეა აგებული, რომ მოსწავლემ მასში ინდივიდუალურად იმუშაოს.

ტესტი რამდენიმე (ძირითადად 1 ან 3) ნაწილისაგან შედგება. ყოველ ნაწილს კონკრეტული დანიშნულება აქვს. მაგალითად, I ნაწილი შესწავლილი ახალი ლექსიკური ერთეულების ცოდნასა და მისი ადეკვატურად გამოყენების ჩვევებს ამოწმებს, II ნაწილი – ორთოგრაფიას, ხოლო III – წინადადების სწორად აგების ჩვევებს. ყველა ტესტში მოცემულია ასევე ტექსტი სასვენი ნიშნების სწორად დასასმელად, ბოლო ნაწილი კი დამოუკიდებელი მსჯელობისა და გაბმულ ტექსტში ორთოგრაფია-სინტაქსის, პუნქტუაციისა და ლექსიკის სწორად გამოყენების უნარს ამოწმებს.

სასურველია, მასწავლებლებმა განმსაზღვრელი შეფასებისათვის ანალოგიური ტესტები მოამზადონ თავიანთი კლასის მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

სახელმძღვანელოს პირველი ნაწილის თავების შინაარსი და მიმართება

სახელმძღვანელოს მეორე ნაწილთან

I თავი

ზაფხულის არდადეგები დასრულდა

ამ თავში შედის ორი პროზაული ნაწარმოები: ნინო ბეზარაშვილის „რა მალე გავიდა ზაფხული“, ედიშერ ყიფიანის „ყვინჩილა ღრუბლებში“ და ერთი ლექსი – მურმან ლებანიძის „წინ – მზისფერი სექტემბერი, უკან – ჭრელი ზაფხული“.

ნინო ბეზარაშვილის ნაწარმოებს მარტივი სიუჟეტი აქვს, პერსონაჟი იყენებს ქართული ენის აღმოსავლური დიალექტებისთვის დამახასიათებელ ლექსიკას. ამის გამო ტექსტი გამოყენებულია:

- ლიტმცოდნეობის ფუნდამენტური ცნების – პერსონაჟის – ასახსნელად (მოსწავლე

შეძლებს პერსონაჟის თვისებებზე დაკვირვებასა და მის შეფასებას);

- ქართული ენის დიალექტების სასწავლებლად, რომელთა ჩამონათვალი მოცემულია პერსონაჟის მეტყველებაში გამოყენებული დიალექტური სიტყვებისთვის სალიტერატურო

ცალების შეფარდების ფონზე. სახელმძღვანელო მონოდებულია გაამდიდროს მოსწავლის ლექსიკა, გაუაქტიუროს მას პასიური ლექსიკა, განმინდოს მისი ლექსიკონი დიალექტიზმებისა და ვულგარიზმებისაგან; შეასწავლოს საყოველთაოდ მიღებული ლიტერატურული ფორმები; სასწავლო მხატვრული მასალის გააზრების პროცესში გამოუმუშაოს მეხუთეკლასელს ელემენტარული პოეტური ლექსიკის პრაქტიკულად გაგებისა და მეტყველებაში გამოყენების ჩვევა.

I თავის ამ ნაწილის პარალელურად სახელმძღვანელოს II ნაწილში ისწავლება **თხრობითი წინადადება**, როგორც ამოსავალი წინადადების შინაარსობრივი და ფორმალური მხარის გასაგებად. მოსწავლე შეძლებს თხრობითი წინადადების აგებასა და სასვენი ნიშნის სწორად გამოყენებას.

წერის სტრატეგიებიდან გამოყენებულია **ნაწარმოების შინაარსის გადმოცემა პერსონაჟის პირით და ინსტრუქციის შექმნა**, რომელიც სახელმძღვანელოში მოცემულია „საკუთარი გამოცდილების გაზიარების“ სათაურით.

ედიშერ ყიფიანის „ყვინჩილა ღრუბლებში“ წარმოდგენილია როგორც V კლასის მოსწავლის დღიური. იგი ოთხ ნაწილად არის გაყოფილი. თითოეულს უკავშირდება შესაბამისი ლიტმცოდნეობითი და ენობრივი საკითხები. რადგან ნაწარმოები დღიურის სახითაა მოცემული, ნაწარმოები გამოიყენება ამბის თანამიმდევრულად გადმოცემაზე, თხზულებაში აღწერილი ფაქტებისა და დამოკიდებულებების (შთაბეჭდილების, შეფასების, განცდების) გამიჯვნაზე ყურადღების გასამახვილებლად.

დღიურის, როგორც ჟანრის, მახსიათებლები მარტივი და ადვილად აღსაქმელი სახით არის მოცემული. პირველი ნაწილის სწავლებისას მიზნად ვისახავთ, მოსწავლემ შეძლოს ნაწარმოებში გადმოცემული ამბის დაკავშირება თავის ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. სახელმძღვანელოს II ნაწილში ტექსტში მოცემული დიალოგების ანალიზის ფონზე ისწავლება **კითხვითი წინადადება**, ყურადღება მახვილდება მისი სწორი ინტონაციით წარმოთქმასა და ჩაწერისას სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენებაზე.

ედიშერ ყიფიანის ნაწარმოებზე დაყრდნობით ისწავლება ტექსტის დაყოფა მონაკვეთებად; მოსწავლე ეცნობა ტერმინებს: **ავტორი და მთხრობელი**, ერკვევა მათ შორის არსებულ სხვაობაში. უკვე შესწავლილი აქვთ თხრობითი და კითხვითი წინადადებები, ამ ჯერზე კი იგი ეცნობა ძახილის ნიშნის ფუნქციებს. მოსწავლე თავად ქმნიან ამ ტიპის წინადადებებს.

ედიშერ ყიფიანის თხზულების სწავლებისას ყურადღება მახვილდება ვარაუდების გამოთქმასა და საკუთარი მოსაზრების დასაბუთების მიზნით ტექსტობრივი მასალის მოხმობაზე; ლექსიკიდან ისწავლება სიტყვის მნიშვნელობები ზოგადად და **პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობები კერძოდ**. მოსწავლეები შეძლებენ მარტივ კონტექსტებში სიტყვის მნიშვნელობის გარკვევას და მის გამოყენებას პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. რადგან ყოველი ტექსტის ბოლოს ყოველთვის არის მოცემული კითხვები ტექსტის შინაარსის გასაზრებლად, რომელთა ერთი ნაწილი აუცილებლად ეხება პერსონაჟების თვისებებზე დაკვირვებას, შესაძლებლად ჩავთვალოთ, რომ მოთხრობის – **„ყვინჩილა ღრუბლებში“ – IV ნაწილიდან** მოსწავლეებმა შეადარონ უკვე შესწავლილი ნაწარმოებების პერსონაჟები, გაარკვიონ მათი საერთო და განსხვავებული თვისებები და ეს ინფორმაცია წარმოადგინონ ცხრილის სახით. **წერის სტრატეგიებიდან** შერჩეულია ნაწყვეტის შინაარსი – პერსონაჟი პირველ პირში გადმოსცემს ნაწარმოების ერთ-ერთ მონაკვეთს წერის პირობაში დასახული მიზნის შესაბამისად. ლექსიკის ნაწილში ყურადღება მახვილდება მრავალი მნიშვნელობის მქონე (პოლისემანტიკურ) სიტყვებზე; ასევე მათ პირდაპირ და გადატანით მნიშვნელობებზე. ედიშერ ყიფიანის

ნანარმოებში გამოყენებულია **ფრაზეოლოგიზმები**, აქედან გამომდინარე, ლექსიკის ნაწილში მოსწავლე გაერკვევა, რა არის **ხატოვანი გამოთქმა** და მნიშვნელობის თვალსაზრისით როგორ მიემართება იგი სიტყვას.

სახელმძღვანელოს I თავი სრულდება **მურმან ლებანიძის ლექსით „წინ – მზისფერი სექტემბერი, უკან – ჭრელი ზაფხული“**. ეს არის პირველი ლექსი, რომელსაც მოსწავლეებს ვთავაზობთ, ამიტომ ამ ნაწილში ისწავლება ტრადიციული ქართული ლექსის ძირითადი მახასიათებლები მეხუთეკლასელთა ასაკობრივი მონაცემების შესაბამისად. რადგან ტრადიციული ქართული ლექსის საფუძველი ტაეპში მარცვალთა განაწილებაა, საელმძღვანელოს მეორე ნაწილში და რვეულში ვიმეორებთ მარცვალსა და დამარცვლის წესებს და ყურადღება მახვილდება სიტყვის სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანის წესებზე.

I თავის ბოლოს მოცემული წერა შემაჯამებელი ხასიათისაა. მოსწავლეები მეწყვილესთან ერთად განიხილავენ მოცემულ ტექსტებს, ხოლო შემდეგ თავად გადმოსცემენ ერთ **საინტერესო შემთხვევას**, რომელიც ზაფხულის არდადეგების დროს გადახდათ ისე, რომ ნაწერი იყოს დამაჯერებელი, ბოლოს ერთოდეს შეფასება და მოსწავლე იყენებდეს სხვადასხვა წინადადებას.

II თავი

მწარლები იბრუნებენ ბავშვობას

ამ თავში შედის **ორი ნაწყვეტი აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავლიდან“** და **გიორგი ლეონიძის „ჩვენი ჭერამი“**. ამათ გარდა, სხვადასხვა მიზნით მოტანილია ნაწყვეტები **ოტია იოსელიანისა** და **რევაზ ინანიშვილის** მოგონებებიდან. ამ თავის მიზანია, მოსწავლეებმა შეძლონ:

- ტექსტის კითხვა საჭირო ინფორმაციის მოძიების მიზნით;
- დაიმონონ მსჯელობისას ტექსტიდან შესაბამისი მონაკვეთები;
- შეძლონ სხვადასხვა სახის (ინფორმაციული და მხატვრული) ტექსტებში საერთო ინფორმაციის შემცველი ნაწილების გამოყოფა, მათი შედარება;
- თხზულების ცალკეული მონაკვეთების გაანალიზება.

აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავლიდან“ ისწავლება ორი მონაკვეთი, რომლებიც ჩვენ დავასათაურეთ მათი შინაარსიდან გამომდინარე: **„შიში“** და **„ნაცარქექიაობა“**. ამ მასალის საფუძველზე მოსწავლეები შეისწავლიან:

- რა არის მწერლის თავგადასავალი (შეგნებულად მოვერიდეთ ტერმინ „მემუარის“ გამოყენებას მეხუთე კლასის სახელმძღვანელოში);
- როგორ არის ამ ჟანრის ნანარმოებებში მწერლის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები მოწოდებული;
- რით განსხვავდება იგი ოფიციალური სტილით დაწერილი მწერლის ბიოგრაფიისაგან (რომლის ნიმუშებს მოსწავლე ამ წიგნშივე ეცნობა);
- როგორ ამდიდრებს მკითხველის ცხოვრებისეულ გამოცდილებას.

ლექსიკიდან ისწავლება **ანტონიმები** და **სინონიმები**. აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავლის“ ნაწყვეტებთან წერის სახეებად არჩეულია – **ტექსტის მონაკვეთის შინაარსის გადმოსცემა; თამაშის წესების აღწერა ისე, რომ მკითხველმა ცხადად წარმოიდგინოს მოთამაშეთა როლები და თამაშის თანამიმდევრობა; საკუთარი დამოკიდებულების გამოსატყა. ყურადღება მახვილდება სინონიმებთან დაკავშირებულ სამ საკითხზე:**

- სალიტერატურო და დიალექტური სინონიმები;
- სინონიმების ურთიერთთანაცვლების პრობლემა ერთსა და იმავე კონტექსტში;
- სინონიმური წყვილისათვის ანტონიმური წყვილის შერჩევა და ამის გამოსა-

ტვა ოთხკუთხედის ფორმით (გამოყენებულია რიჩარდ-ოგდენის მიგნებები სემანტიკაში).

გიორგი ლეონიძის „ჩვენი ჭერამის“ შესწავლისას მოსწავლე შეძლებს:

- ნაწარმოების მოკლე შინაარსის წერას;
- სხვადასხვა ავტორის ერთ თემაზე დაწერილი თხზულებების შედარებას;

ამავე ნაწილში ისწავლება **მხატვრული შედარება** და ის ენობრივი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება შედარების დროს. ამ ნაწილში იწყება არსებითი სახელის სწავლება. ყურადღება მახვილდება ლექსიკონში სიტყვათა ანბანის რიგზე დალაგებასა და ლექსიკონის აგების ძირითად პრინციპებზე.

III თავი

სიტყვის ძალა

III თავში მეხუთეკლასელები გაეცნობიან ენის ფუნქციებს, მის მსგავსება-განსხვავებას სხვა ცოცხალი არსებების საკომუნიკაციო სისტემებთან; მოსაზრებებს ენის წარმოშობისა და ადამიანის სულიერ განვითარებაში მის როლზე, აგრეთვე მის საზოგადოებრივ დანიშნულებას. ამის საილუსტრაციოდ სხვადასხვა აქტივობებში ჩართულია ისეთი ტექსტები, რომლებიც აჩვენებენ ენის რაობას, ჟესტ-მიმიკის (გამოიყენება ტერმინები: მოძრაობა და სახის გამომეტყველება) ფუნქციებს. ამ ფონზე მოსწავლეები შეისწავლიან:

- როგორ შეიძლება აზრის განვითარება და მისი მიყვანა ლოგიკურ დასკვნამდე;
- როგორ უნდა ვიპოვოთ ტექსტში ის ნაწილი, რომელშიც მთავარი სათქმელია მოცემული; როგორ შეიძლება ინფორმაციის მომზადება გაზეთისათვის;
- რა საშუალებები უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ ტექსტმა მიიქციოს მკითხველის ყურადღება და დააინტერესოს იგი.
- მეხუთეკლასელები ივარჯიშებენ იმაზე, თუ რა ენობრივი საშუალებებით შეიძლება გამოიყოს შემაჯამებელი მსჯელობა ტექსტის დანარჩენი ნაწილებისაგან – როგორ უნდა გამოიყენონ შემაჯამებელი მსჯელობისთვის დამახასიათებელი გამოთქმები: ამრიგად, მაშასადამე, ერთი სიტყვით. მოსწავლეები ჯგუფურად მოამზადებენ პრეზენტაციას. ამ თავიდან იწყება არსებითი სახელის ბრუნების სწავლება.

ცხოველისა და ადამიანის საკომუნიკაციო საშუალებების შედარება გრძელდება გერმანელი ფოლკლორისტების – **იაკობ და ვილჰელმ გრიმების მიერ ჩანერილი და გადაშუშავებული ტექსტის „ჩიტბატონას“** კითხვითა და ანალიზით. ეს ტექსტი გამოყენებულია, ერთი მხრივ, ზღაპრის ძირითადი სათქმელის შესახებ მსჯელობის, პერსონაჟის თავგადასავლის თხრობის, მოქმედი პირის შეფასებისა და მეორე მხრივ, ენობრივი საკითხების – ხმაბაძვითი სიტყვებისა და თანხმოვანფუძიანი რსებითი სახელების სასწავლებლად. ამავ თავში შედის ნაწყეტი **იაკობ გოგებაშვილის ბიბლიური ისტორიიდან „ბაბილონის გოდოლი“**, რომლის შინაარსიდან გამომდინარე ისწავლება ბიბლიური წარმოშობის ხატოვანი გამოთქმები, ხოლო მორფოლოგიიდან არსებითი სახელის რიცხვი.

სახელმძღვანელოს III თავში შეტანილია **ლადო ასათიანის „ქართული ენა“ (ეს ლექსის პირობითი სათაურია), მუხრან მაჭავარიანის ლექსი „მრავალჭირვარამადანახადი“**, რომელთანაც თემატურად დავაკავშირეთ სახელმწიფო და მოსწავლეთა უმრავლესობისთვის მშობლიური ქართული ენის პატივისცემასა და მის მომავალზე მოსწავლეების მსჯელობა. ამავ ლექსთან სახელმძღვანელოს II ნაწილში ისწავლება შესაბამისი ენობრივი მასალა

ენის ფუნქციების, განსაკუთრებით კი, სიტყვის ძალის მხატვრულად ჩვენების მიზნით (ამაზე არის მინიშნება თავის დევიზად გამოტანილ გურამ დოჩანაშვილის სიტყვებში: „სიტყვას რა არ შეუძლია...“ ამ თავში შეტანილია **სულხანსაბა ორბელიანის იგავარაკი „უტკუბესი და**

უმწარესი“. აქედან გამომდინარე ისწავლება იგავ-არაკის მთავარი მახასიათებელი – დამრიგებლობითი ხასიათის მხატვრული ნაწარმოები, რომელიც შეგონებას შეიცავს. ლიტმცოდნეობის საკითხებიდან ყურადღება მახვილდება აგრეთვე ნაწარმოების მთავარ სათქმელზე. ამავე თავში ისწავლება იგავ-არაკისა და ანდაზის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. მოსწავლეები შეძლებენ ტექსტის მთავარი სათქმელის (დედააზრის) გადმოცემას ანდაზით. მოცემული ტექსტების ენობრივი საკითხებიდან ისწავლება რთული სიტყვები და ხმოვანფუძიანი უკვეცელი არსებითი სახელების ბრუნება.

სიტყვის ძალის საილუსტრაციოდ III თავში შემოტანილია **ნაწყვეტი ნოდარ დუმბაძის რომანიდან „მე ვხედავ მზეს“.** შერჩეულ ნაწყვეტს ვუწოდეთ „ნუგეში“ მის შინაარსზე დაყრდნობით. მეხუთეკლასელებს დავაფიქრებთ იმაზე, რომ სანუგეშო სიტყვის თქმა სიკეთეა და ეს ადამიანს ყოველთვის უნდა ახსოვდეს. იგივე ნაწყვეტი გამოყენებული იქნება ტექსტის როლური კითხვისთვის და პერსონაჟის თავგადასავლის საამბობლად წინასწარშედგენილი გეგმის მიხედვით; აგრეთვე ერთ თემაზე შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებებზე ზეპირად და წერილობით მსჯელობისათვის. ენობრივი საკითხებიდან ყურადღება მახვილდება **მეთქი** და **ონანილა** კებზე.

ქართული ენისა და ლიტერატურის მეხუთე კლასის სახელმძღვანელოში მესამე და მეოთხე თავები მთლიანად აქცენტირებულია არსებითი სახელის ძირითადი შინაარსობრივი ჯგუფებისა და მათი ფორმაცვალების სწავლებაზე. ამ საკითხების თავმოყრა ერთად გადაგვანწყვეტინა, ერთი მხრივ, საგნობრივი სტანდარტის IV და V კლასის მოთხოვნებმა და, მეორე მხრივ, თავად ამ მეტყველების ნაწილის ფუნდამენტურმა ბუნებამ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არსებითი სახელის ბრუნებასთან დაკავშირებული ყველა საკვანძო საკითხის ცოდნა და გამოყენება შეუძლია მოსწავლეს მეოთხე კლასის დასრულების შემდეგ. როგორც IV კლასის საგნობრივ სტანდარტში ვკითხულობთ: „მეტყველებისას იცავს ბრუნვისა და პირის ნიშნებთან დაკავშირებულ მართმეტყველების წესებს; სწორად უთანხმებს ზმნას არსებით სახელებსა და ნაცვალსახელებს პირისა და რიცხვის მიხედვით; სწორად ათანხმებს მსაზღვრელ-საზღვრულს“. მეხუთე კლასის საგნობრივი სტანდარტი (იხ. ამავე სარეკომენდაციო წიგნში) მისაღწევ შედეგებში დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა ენობრივი კომპეტენციის ხარისხს, რომლის მიღწევა არსებითი სახელის ფორმაცვალების გარეშე ქართულში შეუძლებელია.

IV თავი

ამეტყველებული ბუნება

ამ თავში შედის ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც მოსწავლეებს დააფიქრებს ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე, ბუნების გაფრთხილების აუცილებლობაზე, ზოგადად ჰუმანიზმის საკითხებზე. თავს წამძღვარებული აქვს ვაჟა-ფშაველას სიტყვები:

„უენოა ბუნებაში ყველაფერი, რასაც ვხედავთ, მაგრამ რამდენ რასმე ეუბნება ჩემს გულს ეს მთები, ეს ტყე... რაც უნდა ვეცადო, ლოდებს ხმას ვერ ამოვალბინებ, ენას ვერ ჩავუდგამ, ბრაზი კი მომდის. ამიტომ იმათ მაგივრად მე ვყვები, ვითომ ისინი ლაპარაკობენ“ (ვაჟა-ფშაველა).

ამიტომ ბუნებრივია, რომ სწორედ **ვაჟაფშაველას** კლასიკური ნაწარმოებით იწყება თავი. **„შვლის ნუკრის ნაამბობი“** ტრადიციულად ისწავლება V კლასის სახელმძღვანელოში. მოსწავლეების ამ თავის ძირითად თემაზე დაფიქრების გარდა, ამ ნაწარმოების სწავლებით მიზნად ვისახავთ მოსწავლეებს შევადლებინოთ:

- პერსონაჟების გარეგნობის აღწერა, შინაგან თვისებებზე დაკვირვება და მათ ურთიერთკავშირზე მსჯელობა;
- პერსონაჟების სამოქმედო გარემოს ამოცნობა და მისი აღწერა;
- თხზულების ამა თუ იმ მონაკვეთის შინაარსის გადმოცემა;

- შესწავლილი მასალიდან გაპიროვნების მაგალითების დასახელება და ამ მხატვრული ხერხის გამოყენება საკუთარ ნაწერში;
- ეპითეტის დანიშნულება ტექსტში;
- მხატვრული ნაწარმოების ნაკითხვით მიღებული შთაბეჭდილებების სხვებისთვის გაზიარება ზეპირად და წერილობით;
- რეალური და წარმოსახვითი პერსონაჟების თავგადასავლის თხრობა;
- ტექსტის დამოუკიდებლად ნაკითხვა და მისი გააზრების მიზნით სადისკუსიო კითხვების მომზადება.

„შვლის ნუკრის ნაამბობის“ ენობრივი ქსოვილიდან გამომდინარე ისწავლება შემდეგი საკითხები: **ლექსიკიდან** – ომონიმები და მსგავსი და საპირისპირო მნიშვნელობის ხატოვანი გამოთქმები; **მორფოლოგიიდან** – პირველადი და წარმოქმნილი ზედსართავი სახელები, მათი საშუალებით წინდადადების გავრცობა, ზედსართავის ბრუნება ცალკე და არსებითთან ერთად. **სინტაქსიდან** ისწავლება კითხვა-ძახილის წინადადება.

ოტია იოსელიანის „კვიცი და მგელი“ მოსწავლეს დააფიქრებს ბუნების შვილთა ურთიერთობაზე, მათ სიყვარულსა და საფრთხეებზე. ოტია იოსელიანის მცირე პროზაული ნაწარმოები შერჩეულია იმ მიზნით, რომ მეხუთეკლასელებს შეაძლებინოს:

- ნაწარმოებში გადმოცემული ამბის თხრობა პერსონაჟის პირით;
- პირადი გამოცდილების შედარება ნაწარმოებში მოთხრობილ ამბავთან და ამ გამოცდილების გაზიარება სხვებისთვის;
- სხვადასხვა ნაწარმოების პერსონაჟთა შედარება.

ლექსიკის საკითხებიდან ისწავლება ხმაბაძვითი სიტყვები; მორფოლოგიიდან – საგნის თვისების გამოხატვა მეტი ან ნაკლები ოდენობით და პირის ნაცვლსახელები.

რევაზ ინანიშვილის „საკვირველი ამბავი ტყეში“ გამოყენებულია:

- ტექსტის შემადგენელი ნაწილების გამოყოფისა და მათ შორის მიმართებებზე დაკვირვებისათვის;
- ტექსტის პაუზებითა და ვარაუდების სქემით კითხვისთვის;
- ეპიზოდის შინაარსის გადმოსაცემად;
- საკუთარი მოსაზრების წერილობით ჩამოყალიბებისათვის.

ენობრივი საკითხებიდან ისწავლება მიმართვის ფორმათა მართლწერა; ზმნის ცვლა პირისა და რიცხვის მიხედვით.

ამ თავში არის შეტანილი ერთი ლექსი – **ცირა ქიტიაშვილის „გაფრენილი ყვავილი“**, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება:

- წეროს ფანტაზიით პოეტურ ნაწარმოებზე;
- გამოთქვას საკუთარი დამოკიდებულება;
- შეადაროს იგი მსგავსი იდეისა და შინაარსის პროზაულ ნაწარმოებს.

ეს ლექსი გამოყენებულია მეტრისა და რითმის გამეორების მიზნითაც.

ამავე თავში შემოდის **გოდერძი ჩოხელის ნაწარმოები „უფლისჩიტა“**. ამ ნაწილში ძირითად აქტივობებად რჩება:

- ტექსტის შემადგენელი ნაწილების გამოყოფა და შერჩევით რომელიმე მათგანის შინაარსის გადმოცემა;
- ნაწარმოებში მოთხრობილ ამბავთან საკუთარი გამოცდილების შედარება; შთაბეჭდილებების წერილობით ჩამოყალიბება;
- პრეზენტაციის მომზადება დიდი ქალაქის მკვიდრებისა და ბუნების მიმართების შესახებ.

ენობრივი საკითხებიდან მოსწავლეები ივარჯიშებენ: ზმნის პირისა და რიცხვის მიხედვით ცვლაზე, რიცხვში მონაცვლე ზმნებსა და ზმნის დროებზე.

V თავი მოსიყვარულე გული

V თავში ისწავლება იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა?!“ ეს ნაწარმოები ტრადიციულად მრავალი წლის განმავლობაში გამოიყენება ამ ასაკის მოსწავლეებისთვის შექმნილ ლიტერატურის სახელმძღვანელოებში. მეხუთეკლასელები დაფიქრდებიან შემდეგ საკითხებზე: რა არის ბედნიერება; როგორ შეიძლება საშინელი ტრაგედია დიდ ბედნიერებად იქცეს; რას ნიშნავს ადამიანებთან ურთიერთობა; როგორ უმრავლდება ადამიანს მოკეთე; რას ნიშნავს გულმონყალება და სათნობა. ეს ის საკითხებია, რომლებზედაც ადამიანს ყველა ასაკში აფიქრებს ცხოვრება სხვადასხვა ფაქტის გამო. თუმცა ადრეულ ასაკშივე ამ პრობლემებზე ფიქრის სწავლა მნიშვნელოვანი საქმე გვგონია, ამიტომაც ვუნოდეთ ამ თავს „მოსიყვარულე გული“. ამით ხაზი გავუსვით იმას, რომ ადამიანის კეთილშობილების საფუძველი მისი მოსიყვარულე გულია. მხოლოდ ეს აძლევს მას საშუალებას, დიდი განსცადელის მიუხედავად, სხვაც გაახაროს და თვითონაც გაიხაროს, როგორც თავად იაკობ გოგებაშვილი წერს: „ძლიერი, წმინდა სიყვარული მოყვასისადმი თვით მოსიყვარულესაც უტკობს სიცოცხლესა და მოყვასსაც“. რადგან ქეთოს ბედნიერების დასაწყისი დედის გულში ჩამწვდომი იავნანა აღმოჩნდა, იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოების კითხვამდე მოსწავლეები ეცნობიან ინფორმაციის „იავნანას“ შესახებ. ამის საილუსტრაციოდ მოცემულია „იავნანას“ რამდენიმე ტექსტი: ქართული, მეგრული და სვანური, შესაბამისი დავალებებით. ამის შემდეგ იწყება იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა?!“ სწავლება. ტექსტი მხოლოდ მცირედ არის შეცვლილი, თუმცა ენობრივი თვალსაზრისით უმეტესად გატარებულია თანამედროვე ქართულ ენაში მოქმედი ნორმები. ამ ნაწარმოებთან დაკავშირებით ისწავლება შემდეგი ლიტმცოდნეობითი საკითხები:

- პეიზაჟი, როგორც მოქმედების გარემო, პერსონაჟის განცდები,
- მოთხრობაში გადმოცემული ამბის განვითარება,
- პეიზაჟისა და პერსონაჟის განწყობილების კავშირი ან ურთიერთდაპირისპირება.

ენობრივი საკითხებიდან ისწავლება: სადაურობის ზედსართავი სახელები, დეფისით დაწერილი რთული სიტყვები, ზედსართავი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა და მისი კავშირი ზმნასთან, დროში მონაცვლე ზმნები.

მეხუთეკლასელებს V თავის შესწავლისას მოუწევთ საინტერესო დავალებების შესრულება: მსჯელობა ნაწარმოების მთავარ სათქმელზე, საკუთარი მოსაზრების გამოთქმა ნაწარმოებში აღძრულ ამა თუ იმ პრობლემაზე, პერსონაჟის განცდებსა და ქცევაზე დაკვირვება და შეფასება, მოთხრობის ცალკეული მონაკვეთების დამოუკიდებლად ათვისება და ამ მონაკვეთების შინაარსის გასააზრებლად კითხვების მომზადება, შინაარსის გადმოცემა პერსონაჟის პირით.

თავი VI

ხამს სიბრძნისა გაბონება

ამ თავში ისწავლება დამრიგებლობითი ხასიათის იგავ-არაკული ჟანრის თხზულებები: **ორი იგავი სახარებიდან: „თესლი და მთესველი“ და „ძე შეცდომილი“, სულხანსაბა ორბელიანის „უკან მიდევნებული ლამპარი“, ეზოპეს „იადონი“ და „ყმანვილი კაცი და მერცხალი“, თანამედროვე ქართველი მეიგავის ერლომ ახვლედიანის „სიმდიდრის მოყვარული კაცი“; ამას გარდა, სალექსო ფორმით დაწერილი დიდაქტიკური ნაწარმოებები: აკაკი წერეთლის მიერ თარგმნილი ივანე კრილოვის „ალმასი და სიპი ქვა“, ილია ჭავჭავაძის „დამაკვირდი“ (რამდენიმე ნაწილი). დამრიგებლობითი ხასიათიდან გამომდინარე VI თავში შევიტანეთ აფხაზური ზღაპარი „ორი ძმა“ და ალექსი მირიანაშვილის „სამი უნარი“.**

სახელმძღვანელოს ამ ნაწილში მიზნად ვისახავთ მოსწავლეებმა შეძლონ:

- ერთნაირი შეგონების მქონე იგავ-არაკებზე დაკვირვება;
- დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოებთა შინაარსის გადმოცემა და ამბის გაგრძელება წერილობით;
- პირველ პირში თხრობა;
- სალექსო ფორმით დაწერილი დამრიგებლობითი ხასიათის ნაწარმოებში სხვადასხვა პოეტური ფიგურების ცნობა და მათი დანიშნულების ახსნა;
- მოსაზრების გამოთქმა ამა თუ იმ იგავ-არაკის შესახებ;
- მსჯელობის ჩამოყალიბება წერილობით;
- ლექსად დაწერილი იგავ-არაკის შინაარსის გადმოცემა პროზაულად;
- საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების დაკავშირება იგავ-არაკის ძირითად სათქმელთან;
- რამდენიმე მხატვრული ნაწარმოების შედარება მოქმედი პერსონაჟების თვისებებისა და მთავარი სათქმელის მიხედვით;
- აფორიზმისა და ანდაზის მსგავსება-განსხვავებებზე მსჯელობა.

ყველა ენობრივი საკითხი, რომელზედაც ვამახვილებთ მოსწავლეთა ყურადღებას სახელმძღვანელოს VI თავში, გამომდინარეობს შესასწავლი ნაწარმოებების ენობრივი ბუნებიდან. ესენია:

- ზმნებისგან წარმოქმნილი სიტყვები;
- დროის გამოხატვა ზმნისაგან წარმოქმნილ სიტყვებში;
- ზმნებისგან ნაწარმოები სიტყვები;
- რთული სიტყვები და მათი შედგენილობა;
- სახელებისგან ზმნების წარმოქმნა;
- არსებითი სახელის ბრუნება რამდენიმე მსაზღვრელთან;
- კუთვნილებით ნაცვალსახელების ბრუნება ცალკე და არსებითთან ერთად;
- რიცხვითი სახელები;
- წინადადებების გავრცობა;
- კავშირის ფუნქციები.

თავი VII

რა არის სამშობლო?

სახელმძღვანელოს ბოლო თავი, მისი სათაურიდან გამომდინარე, მეხუთეკლასელებს ასწავლის, რა არის სამშობლო ადამიანისათვის, რას ნიშნავს პატრიოტიზმი და მამულიშვილობა, როგორ მიემართება სამშობლოს სიყვარული სხვა ქვეყნების მიმართ ადამიანის დამოკიდებულებას. VII თავი წამდვარებული აქვს ქართველ კლასიკოსთა სიტყვები: რაფიელ ერისთავის „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“ და აკაკი წერეთლის აზრი მამულიშვილობის მახასიათებლებზე: „საჩინო ნიშანი მამულიშვილობისა სამშობლოსადმი ერთგულება და მისთვის თავგანწირვაა. არის მეორე ნიშანიც მამულიშვილობისა – დაულაღავი, ხანგრძლივი, გულგაუტეხელი შრომა სამშობლოსათვის“. VII თავში მოსწავლეები შეისწავლიან ისეთ მხატვრულ და არამხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებიც ეხება საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ პერიოდს და მათ ასახვას სიტყვაკაზმულ მწერლობაში. სახელმძღვანელოს ამ ნაწილში შემოტანილია: **ნოდარ დუმბაძის „სამშობლო“**, აგრეთვე ადაპტირებული **ნაწყვეტი „მეფე თა ცხოვრებიდან“** (გადამუშავებული ლევან სანიკიძის მიერ, „დედაისტორიის“ მიხედვით).

„ზეობა ფარნავაზისა“. ამ ტექსტთან დაკავშირებით ისწავლება, როგორ შეიქმნა ქართული სახელმწიფო, რატომ უკავშირდება ფარნავაზს ქართული ანბანის შექმნა.

ამავე თავში ერთმანეთთან არის შედარებული ისტორიული ცნობები თამარის გამეფებისა და მეფობის შესახებ და ათიოდე სტროფი **შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ პირველი თავიდან**, რომელშიც აისახა რამდენიმე ფაქტი თამარ მეფის ცხოვრებიდან. ამავე მიზანს ემსახურება **თამარის შესახებ ხალხური ლექსებისა და ისტორიული ცნობების შედარება**.

„ვეფხისტყაოსნის“ შერჩეული სტროფები დანაწილებულია უკეთ აღქმის მიზნით.

VII თავში ყურადღება მახვილდება უსახელო გმირებზე, რომელთა ვინაობა ისტორიას არ შემოუნახავს, მაგრამ მათი საქმეებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ მათს სიდიადეზე. ამიტომ ამ ნაწილში ისეთი ნაწარმოებებიც არის შეტანილი, რომლებიც აჩვენებს, რომ „მწერლობა მიჩქმალული გმირობის აპოლოგიაა“. ამის საილუსტრაციოდ მეხუთეკლასელებს ვთავაზობთ ნაწყვეტს **გურამ რჩეულიშვილის** თხზულებიდან **„უსახელო უფლისციხელი“**. მოსწავლეებს მოუწევთ მათი ასაკის შესაბამისად ასეთ საკითხებზე დაფიქრება: როგორ აისახება ესა თუ ის ისტორიული ამბავი მხატვრულ ნაწარმოებში; როგორ შეიძლება წარსულის აღდგენა მწერლის შემოქმედებითი გამოწვანებით.

ამავე ნაწილში მოსწავლეები შეისწავლიან **ქეთევან ჭილაშვილის „უჩას“**, რომელიც მკითხველებს მოუთხრობს, რა გადაიტანა აფხაზეთიდან დევნილმა პატარა ბიჭმა თავისი ოჯახის წევრებთან ერთად; როგორ გადმოიარეს ჭუბერის თოვლიანი უღელტეხილი, მაგრამ ასეთი სიმწრის მიუხედავად, როგორ გაათბო პატარა უჩას გული იმერელთა მასპინძლობამ და იქაურმა სკოლამ. თუმცა ეს სიტბო მაინც ვერ შლის გონებიდან აფხაზურ მოგონებებს – ზღვას და ბავშვური ხელებით შექმნილ გემს – და იმედს, რომ კვლავ დაბრუნდება აფხაზეთში და ახლა ის მოიწვევს თავის იმერელ მეგობრებს სტუმრად.

სახელმძღვანელოს ბოლო თავში შეტანილია ორი პატრიოტული ლექსი: **მურმან ლებანის** **„ყველას! ყველას! ყველას!“** და **მუხრან მაჭავარიანის „ვითარცა მტკვარი“**.

VII თავში შუსული მხატვრული და არამხატვრული ტექსტების შესწავლისას მეხუთეკლასელები შეძლებენ:

- მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამიჯვნას;
- ტექსტის დაყოფას აბზაცებად და აბზაცებს შორის შინაარსობრივი და ენობრივი კავშირების გამოვლენას;
- ამბის გავრცობას; ტექსტის ძირითად თემაზე მსჯელობას;
- ციტატების სწორად დამონმებას;

- ვარაუდის გამომხატველი სიტყვების გამოყენებას;
- სიმბოლოს მხატვრულ დანიშნულებაზე ფიქრს;
- ისტორიული, ფოლკლორული და ავტორიანი სიტყვაკაზმული ნაწარმოებების შედარებას;

- ტექსტში უცნობი სიტყვების მნიშვნელობის გარკვევას კონტექსტისა და ლექსიკონის დახმარებით;

- აფორიზმის ამოცნობასა და მის სიბრძნეზე საუბარს;
- ლექსის შინაარსსა და განწყობილებაზე მსჯელობას;
- პერსონაჟის თავგადასავლის თხრობას;
- ფანტაზიით წერას წარმოსახული პერსონაჟის ან წარმოსახული გარემოს გათვალისწინებით;

- ლექსში გამოყენებული პოეტური ხერხების ცნობასა და შეფასებას (ამ თავში ყურადღება მახვილდება ეპითეტსა და შედარებაზე);

სახელმძღვანელოს ბოლო თავზე მუშაობის პერიოდში მოსწავლეებს მოუწევთ პრეზენტაციების მომზადება საქართველოს ერთ-ერთი მეფის მოღვაწეობის შესახებ, აგრეთვე საქართველოს რომელიმე ისტორიული ციხე-სიმაგრის ტურისტული გზამკვლევის შექმნა ჩვენი ქვეყნის რომელიმე ქალაქსა ან კუთხეზე.

რადგან ეს წიგნის ბოლო თავია, მასში ძირითადად მეორდება ენობრივი საკითხები:

- არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი და ნაცვალსახელების ძირითადი შინაარსობრივი ჯგუფები;

- ამ სახელების ცალ-ცალკე და ერთად ბრუნებასთან და მრავლობითი

რიცხვის ფორმათა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები;

- ზმნის დრო და დროში მონაცვლე ზმნები;
- ყოლა-ქონებისა და გრძნობა-აღქმის ზმნები;
- წინადადებების შეერთება კავშირებით.

სახელმძღვანელოს ბოლოს მეხუთეკლასელებს გამოვათქმევინებთ წიგნის შესახებ შეფასებებს, კერძოდ კი, სქემის სახით წარმოადგენენ მათ მიერ მოწონებული სამ-სამი მხატვრული, და არამხატვრული ტექსტისა და ამდენივე ენობრივი დავალების შეფასებას, რომელსაც გამოიტანენ კლასის წინაშე საპრეზენტაციოდ.

V კლასი
ქართული ენა და ლიტერატურა
სტანდარტი

საფეხურებრივი სტანდარტის შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები

მიმართულება: ზეპირმეტყველება	
სტანდარტის შედეგი	V კლასის შეფასების ინდიკატორები
<p>ქართ.დანყ.(II).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ჯგუფთან ერთად ამზადებს ზეპირ გამოსვლას: დამოუკიდებლად ამუშავებს თემის ერთ-ერთ ნაწილს, მოპოვებულ მასალას და შემუშავებულ თვალსაზრისს აცნობს და უთანხმებს ჯგუფის წევრებს; ➤ გამოდის წყვილის, ჯგუფისათუ კლასის მომხსენებლის როლში; ითვალისწინებს და გამოხატავს თანაგუნდელების საერთო აზრს; ➤ ინაწილებს პასუხისმგებლობას ჯგუფის სახელით გამოთქმულ მოსაზრებაზე; ➤ ზეპირი გამოსვლის/პრეზენტაციის დროს ნათლად წარმოადგენს თემას/საკითხს სათანადო ინფორმაციის მონოდებითა და ლოგიკური თანამიმდევრულობის დაცვით; ➤ საუბრობს სათანადო ტემპით, მკაფიოდ და გარკვევით; საჭიროებისამებრ იყენებს მეტყველების არავერბალურ საშუალებებს.
<p>ქართ.დანყ.(II).2 . მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გაგება-გააზრება; ტექსტებზე მსჯელობა და დასკვნის გამოტანა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისმენს სხვადასხვა ხასიათის საინფორმაციო ტექსტებს და ერთმანეთისაგან განარჩევს ფაქტებსა და დამოკიდებულებებს (შეფასებებს); ➤ წარმოაჩენს ნაწარმოების პერსონაჟს სხვადასხვა კუთხით (მიუთითებს მის როგორც დადებით, ისე უარყოფით თვისებებზე); ➤ ყურადღებას ამახვილებს დეტალებზე (მაგ., პერსონაჟის დახასიათებისას); ➤ გამოაქვს დასკვნა ტექსტში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე; ➤ ისმენს ერთსა და იმავე თემაზე შექმნილ ლიტერატურულ ტექსტებს და პოულობს მსგავსება-განსხვავებას მათ შორის; ➤ მონაწილეობს ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ გამართულ დისკუსიაში, მსჯელობს ნაწარმოეში ასახული პრობლემის/კონფლიქტის შესახებ.
<p>ქართ.დანყ.(II).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ნაცნობი ტექსტების ინტერპრეტირება და შეფასება; მათ მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასება (საწყის დონეზე).</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას საინფორმაციო ტექსტებში გადმოცემული ფაქტების მიმართ (დადებითად/უარყოფითად ვაფასებ; აღმაფრთოვანა/აღმაშფოთა და სხვ.); ➤ ისმენს მხატვრულ ნაწარმოებს (ლექსს, ნოველას, მოთხრობას) და გამოხატავს საკუთარ ემოციებსა და შთაბეჭდილებებს; ➤ ასახელებს მისთვის ესთეტიკურად მიმზიდველ ადგილებს მხატვრული ტექსტიდან; ➤ საუბრობს პოეტურ ნაწარმოებში გამოხატულ განწყობაზე; ➤ მონაწილეობს ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ გამართულ დისკუსიაში, გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ამა თუ იმ პერსონაჟის მიმართ; ➤ ასახელებს სხვადასხვა თვალსაზრისით მისთვის საინტერესო ადგილებს ტექსტიდან.

<p>ქართ.დანყ. (II).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ამოცნობა და ადეკვატურად გამოყენება.</p>	<p>მოსწავლე</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მართებულად შეარჩევს ბრუნვის ფორმებს კონტექსტური მნიშვნელობების გამოსახატავად; ➤ ამოიცნობს და შესაბამის კონტექსტებში მართებულად იყენებს ზმნის დრო-კილოთა სათანადო ფორმებს (მაგ., გააკეთა - აკეთებდა - გაუკეთებია და სხვ.); ➤ სწორად იყენებს არანესიერი წარმოების (ქონა-ყოლისა და გრძნობა-აღქმის) ზმნათა ფორმებს; ➤ კითხვის დასმის, თხოვნის, ბრძანების, გრძნობების გადმოცემის დროს იცავს სიტყვათა რიგს და მოდალობებისთვის დამახასიათებელ ინტონაციურ თავისებურებებს; ➤ საუბრის თემის, ადრესატისა და მიზნის შესაბამისად ირჩევს შესაბამის, მაგ., სასაუბრო (ეტიკეტური დიალოგების) და მხატვრულ (განცდებსა და შთაბეჭდილებებზე საუბრის) სტილს.
<p>ქართ.დანყ. (II).5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სვამს ადეკვატურ კითხვებს მოსმენილი ტექსტის უკეთ გასააზრებლად / ამა თუ იმ საკითხის დასაზუსტებლად (დისკუსიის დროს); ➤ მოსმენისას ჩაინიშნავს საყრდენ სიტყვებს, საყრდენ ფრაზებს; ➤ ყურადღებით ისმენს ჯგუფის თითოეული წევრის აზრს, ალაგებს გამოთქმულ მოსაზრებებს გარკვეული პრინციპით (ვის აქვს განსხვავებული მოსაზრება, რამდენი თვალსაზრისი გამოითქვა ჯგუფში...); ➤ ადგენს მარტივ გეგმას ამ მოსაზრებათა წარმოსადგენად; ➤ ქმნის ან მოიძიებს ვიზუალურ და/ან აუდიომასალას ზეპირი გამოსვლის/პრეზენტაციისა თუ სადისკუსიო თემის შესახებ; ➤ ამყარებს მხედველობით კონტაქტს თანამოსაუბრესთან, აუდიტორიასთან...
<p>დავალბათა / აქტივობათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მოსმენილის შეფასება სხვადასხვა პოზიციიდან; ➤ თანატოლებთან ერთად წაკითხული ან მოსმენილი ინფორმაციის მოკლედ, რეზიუმეს სახით გადმოცემა და ძირითადი საკითხების შესახებ როგორც ინდივიდუალურად, ასევე წყვილებში მუშაობა; ➤ მოსმენილი ამბის დროის შეცვლა, მოქმედების გადატანა წარსულში/ანმყოფი/მომავალში; ➤ დადებითი და უარყოფითი ემოციის ზეპირად გადმოცემა; ➤ პერსონაჟის ხასიათის, მისთვის დამახასიათებელი თვისებების შესახებ საუბარი კონკრეტული ეპიზოდის მიხედვით; ➤ მსჯელობა მოსმენილი ან წაკითხული ტექსტის პერსონაჟზე დახასიათების სქემების გამოყენებით; ➤ ამა თუ იმ თემის შესახებ იდეებისა და თვალსაზრისების ჩამოყალიბება და ზეპირად გადმოცემა; ➤ საკუთარი თვალსაზრისის არგუმენტირება და შეჯერება მენყვილესთან/ჯგუფის წევრებთან; ➤ ლიტერატურული დისკუსიების ორგანიზება წარმოების განხილვის მიზნით; ➤ მოკლე ზეპირი გამოსვლა ნაცნობ თემაზე/საკითხზე; ➤ გონებრივი იერიშის ჩატარება სხვადასხვა თემაზე/საკითხზე; ➤ მოსმენილ მხატვრულ ტექსტში ასახული განწყობის იდენტიფიცირება, ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების, მიღებული შთაბეჭდილების გადმოცემა (მაგ., ე.წ. ემოციური კომენტარების მეშვეობით) ➤ და სხვა. 	

მიმართულება: კითხვა	
სტანდარტის შედეგი	V კლასის შეფასების ინდიკატორები
<p>ქართ.დანყ.(II).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/ დეტალების გათვალისწინებით.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ განაფულად კითხულობს ნაცნობ და უცნობ ტექსტებს / ტექსტების მონაკვეთებს; ➤ გამოყოფს და ასახელებს ტექსტის მთავარ საკითხებს; ➤ გამოკვეთს არსებით ინფორმაციას ტექსტის ცალკეული მონაკვეთიდან; ➤ ასახელებს ნაწარმოების თემას/ქვეთემას; ➤ ამოკრებს კონკრეტულ ინფორმაციას (სად, როდის, რამდენი, რამდენჯერ, როგორი, რითი და სხვ.); ➤ განარჩევს მთავარ და მეორეხარისხოვან პერსონაჟებს; ➤ ახასიათებს პერსონაჟებს როგორც ექსპლიციტურად მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ისე შინაარსის გააზრების საფუძველზე; ➤ განსაზღვრავს ტექსტის ერთ მონაკვეთში ან მის სხვადასხვა ნაწილში ასახულ მოვლენებს / ფაქტებს შორის არსებულ ლოგიკურ კავშირებს (მიზეზშედეგობრივს, შეპირისპირებითს, პირობითსა და სხვ.); ➤ განარჩევს ერთმანეთისგან ფაქტსა და თვალსაზრისს; ➤ აკვირდება ტექსტზე დართულ ილუსტრაციებს და მსჯელობს, რამდენად ასახავს ილუსტრაცია ტექსტის განწყობას, რას გვეუბნება იგი ტექსტში აღწერილი ადგილის, დროის, ამბის, პერსონაჟთა ხასიათების, მათი ურთიერთდამოკიდებულებისა და ემოციების შესახებ; აფასებს, რამდენად ეხმარება მას ილუსტრაცია ტექსტის გაგებაში და/ან იძლევა თუ არა იგი დამატებით მასალას ტექსტის შესახებ; ➤ აკვირდება მწერლის ენას, ამოიცნობს ზოგიერთ მხატვრულ ხერხს (ეპითეტს, შედარებას, ჰიპერბოლას, გაპიროვნებას), სალექსო რითმას; ➤ ამოიცნობს და განმარტავს ლიტერატურულ და ხალხურ ზღაპარს შორის მსგავსება-განსხვავებას; ➤ ამოიცნობს სხვადასხვა კულტურული და სოციალური გარემოს დამახასიათებელ სპეციფიკურ ნიშნებს (ყოფით რეალიებს, ტრადიციებს, ქცევის ნორმებს, სხვ.).
<p>ქართ.დანყ.(II).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ განმარტავს პერსონაჟთა ქცევის მოტივს და აფასებს მათს საქციელს; ➤ გამოაქვს დასკვნა პერსონაჟებს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ, ცდილობს ნათქვამის დასაბუთებას ტექსტის მონაცემებზე დაყრდნობით; ➤ ტექსტის მთლიანი გააზრების საფუძველზე გამოაქვს დასკვნა; ➤ ავლებს პარალელს თემატურად მსგავს ნაწარმოებებთან; ➤ მსჯელობს მისთვის საინტერესო საკითხების შესახებ და გამოხატავს საკუთარ პოზიციას; ➤ აფასებს ნაწარმოებში განვითარებულ მოვლენებს სხვადასხვა პერსონაჟის პოზიციიდან; ➤ ქმნის წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის ილუსტრაციას/ ილუსტრაციებს (შესაძლებელია კომპიუტერული გრაფიკული რედაქტორის გამოყენებით); ხსნის, რა კავშირშია მის მიერ შექმნილი ილუსტრაცია/ილუსტრაციები ტექსტთან ან ტექსტის ცალკეულ ეპიზოდთან; ➤ მხატვრული ტექსტის წაკითხვით გამოწვეული ემოციების გადმოსაცემად შეარჩევს ნაცნობ მუსიკალურ ნაწარმოებს/ნაწარმოების ფრაგმენტს; ➤ ამოიცნობს და ხსნის მარტივ მხატვრულ სიმბოლოებს.

<p>ქართ.დანყ. I(II).8. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკური და სემანტიკური მახასიათებლების, სტრუქტურულ-კომპოზიციური ელემენტებისა და ენობრივ-გამომსახველობითი ფორმების ამოცნობა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ერთი ტექსტის ფარგლებში გამოყოფს ტექსტის ფუნქციურ ტიპებს (თხრობას, აღწერას) და მიუთითებს შესაბამის ნიშნებზე; ➤ აკვირდება და აფასებს თანატოლის მიერ შექმნილ პრაგმატულ ტექსტს, მის სტრუქტურასა და ვიზუალურ მხარეს (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის ურთიერთმიმართების, შრიფტის სახესხვაობის, რუბრიკების, ტექსტის აბზაცებად/სვეტებად დაყოფის, ნაწილების დასათაურების თვალსაზრისით); ➤ კითხვების მეშვეობით ამოიცნობს ზოგ გრამატიკულ-სემანტიკურ კატეგორიას („ვინ“ და „რა“ ჯგუფის სახელებს, ზმნის დროებს...); ➤ ამოიცნობს ტექსტში ძირითად მოდალობებს; ➤ აცნობიერებს ბრუნვის ფორმათა ფუნქციონირების მრავალფეროვნებას და სათანადო სიტყვაფორმებს არჩევს კონტექსტური მნიშვნელობების გამოსახატავად; ➤ განარჩევს ზმნის დრო-კილოთა ნაირსახეობებს და შესაბამის კონტექსტებში იყენებს ამ პარამეტრების მიხედვით შერჩეულ სათანადო ფორმებს.
<p>ქართ.დანყ. (II).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შეარჩევს მცირე ზომის ტექსტს/ტექსტის ეპიზოდს ხმამაღლა წასაკითხად, წინასწარ გადაიკითხავს მას, გადის რეპეტიციას (მენწყილესთან, მასწავლებელთან, მშობელთან, სხვ.); ➤ ხმამაღლა კითხვისას შინაარსის შესაბამისად ცვლის სხეულის ენას (მიმიკას, ჟესტიკულაციას); ➤ ინფორმაციის უკეთ გააზრების მიზნით ტექსტს ყოფს მონაკვეთებად და ასათაურებს მათ; ➤ სხვადასხვა საშუალებით (კონტექსტის გათვალისწინებით, კითხვის დასმით, ლექსიკონით) ამოიცნობს უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების მნიშვნელობას; ➤ სხვადასხვა საყრდენის (სათაურის, აბზაცების დასაწყისის, საკვანძო სიტყვების, ერთ-ერთი აბზაცის, გამოყოფილი სიტყვების) მოშველიებით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის/ტექსტის მონაკვეთის შინაარსის შესახებ; ➤ კონკრეტული ინფორმაციის მოსაძიებლად თვალს გადაავლებს ტექსტის სტრუქტურას, სიტყვიერ და არასიტყვიერ მაორგანიზებელ ელემენტებს და მათზე დაყრდნობით ამოკრებს საჭირო მასალას/მონაცემებს; ➤ იყენებს სხვადასხვა ხერხს, რომლებიც ხელს უწყობს ტექსტის გაგებას (მაგ., წარმოსახვაში აცოცხლებს ტექსტში გადმოცემულ ამბებს, ახდენს ტექსტში გადმოცემული ამბის ინსცენირებას, საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის ცალკეული მონაკვეთის შინაარსს, აკვირდება დასმულ კითხვას იმის დასადგენად, თუ რა ტიპის ოპერაციას მოითხოვს იგი და სხვ.); ➤ იყენებს სხვადასხვა სახის ბეჭდურ და ციფრულ რესურსებს (ბეჭდურ და/ან ონლაინ ლექსიკონს, საბავშვო ენციკლოპედიას, სხვ.) კონკრეტული ინფორმაციის მოსაპოვებლად, უცნობი სიტყვის მნიშვნელობის დასაზუსტებლად, გაუგებარი ან ბუნდოვანი ადგილების გასააზრებლად; ➤ დამოუკიდებლად, საკუთარი ინტერესების შესაბამისად, ირჩევს საკითხავ ლიტერატურას.

დავალბათა / აქტივობათა ნიმუშები:

- გამომსახველობითი კითხვის სესიის/კონკურსის ორგანიზება (შესაძლებელია ცალკეული ნომინაციების დანესებაც - მაგ., ყველაზე სწრაფი მკითხველი, ყველაზე ზუსტი (უშეცდომოდ) მკითხველი და სხვ.);
- ტექსტის დაყოფა შინაარსობრივ მონაკვეთებად;
- საგანთა თუ მოვლენათა კლასიფიცირება გრაფიკული სქემების გამოყენებით;
- დაკვირვება კონკრეტული სახის პრაგმატული ტექსტის ენობრივ და სტილურ ფორმებზე (მაგ., მოძრაობის წესების ჩამონათვალზე დაკვირვების გზით იმის აღმოჩენა, რომ ტექსტში უმეტესწილად გამოიყენება წართქმითი ან უკუთქმითი ბრძანებითი კილოს ფორმები: „შეჩერდი“, „ნუ გადახვალთ“, სხვ., ხოლო ზმნებს აქვთ იმპერატიული შინაარსი: „უნდა“, „საჭიროა“, „დაუშვებელია“, „აუცილებელია“ და ა. შ.);
- დაკვირვება ტექსტის ფუნქციურ ტიპებზე - თხრობასა და აღწერაზე - მათი სპეციფიკური ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა (მაგ., იმის დადგენა, რომ აღწერით ტექსტებში ზმნები გვხვდება მცირე რაოდენობით, უმეტესწილად გამოიყენება ზედსართავები და ნაზმნარი ზედსართავები, ანუ მიმღებები; თხრობით ტექსტებში კი, პირიქით, ზმნები გამოიყენება ჭარბად, მოქმედების თანამიმდევრულობის გადმოსაცემად გამოყენებულია მარკერები და ა.შ.);
- ფაქტებს შორის ურთიერთკავშირის ამსახველი სქემების შედგენა;
- მსგავს თემაზე შექმნილი ნაწარმოებების გამაერთიანებელი და განმასხვავებელი ნიშნების დადგენა გრაფიკული სქემების საშუალებით;
- ნაწარმოების შინაარსის გადმოცემა მეორეხარისხოვანი პერსონაჟების / უსულო საგნების პირით;
- ნაწარმოების წაკითხვით აღძრული ემოციების გადმოსაცემად ფერების, მუსიკის, სხვადასხვა ხმოვანი ეფექტების შერჩევა;
- წინადადებაში გამოტოვებულ ადგილას ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის შესაბამისი ფორმით ჩასმა;
- ვარაუდების სქემის შევსება კითხვის დანყებად;
- ილუსტრაციის მიხედვით ნაწარმოების განწყობის/შინაარსის ამოცნობა;
- ლექსიკონის (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული) ინდექსის გამოყენება;
- არასწორი თანამიმდევრობით (აზრობრივი შესაბამისობის დარღვევით) მოწოდებული აბზაცების თანამიმდევრობის აღდგენა მცირე ზომის ტექსტში;
- საკითხავი დავალებების შესრულების შემდეგ ინტერაქცია გამოყენებული სტრატეგიების შესახებ (ვინ რა მიდგომა/ხერხი გამოიყენა); მოსაზრებების გამოთქმა იმის შესახებ, თუ რომელი მიდგომა იყო ან იქნებოდა უფრო მისადაგებული/ეფექტური და რატომ)
- და სხვა.

მიმართულება: წერა	
სტანდარტის შედეგები	V კლასის შეფასების ინდიკატორები
<p>ქართ.დანყ.(II).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობ თემატიკაზე სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების შექმნა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ წერს ჩანახატებს, მცირე ზომის მხატვრულ ტექსტებს; ➤ თანამიმდევრულად გადმოსცემს სათანადო ინფორმაციას, კონკრეტულ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, განცდილ შთაბეჭდილებას, ფაქტებსა და მოვლენებს; ➤ გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხის/თემის მიმართ; ➤ გამოხატავს და ასაბუთებს თვალსაზრისს; ➤ წერისას აქცენტს აკეთებს მთავარ და არსებით მომენტებზე.
<p>ქართ.დანყ.(II).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების მიზნობრივად შერჩევა და სათანადოდ გამოყენება; ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ნორმების დაცვა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მიზნისა და აუდიტორიის შესაბამისად შეარჩევს და იყენებს სათანადო ლექსიკურ ერთეულებს, ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს; ➤ თანამიმდევრულობისა და ლოგიკური შესაბამისობის დაცვით ყოფს ტექსტს აბზაცებად; ➤ მარტივი მხატვრული ტექსტების შედგენისას ცდილობს ნაცნობი მხატვრული ხერხების გამოყენებას; ➤ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებიდან კონტექსტის მიხედვით შეარჩევს სათანადო ლექსიკურ ერთეულს; ➤ აქტიურად იყენებს მეტყველების ნაწილთა ძირითად ფორმოებრივ თავისებურებებს (სახელთა ბრუნებას, სიტყვაწარმოებას, სხვადასხვა დრო-კილოთა ზმნური სიტყვაფორმებს...); ➤ ზმნის ფორმაცვალებისას მართებულად შეუწყობს სახელებს ბრუნვასა და რიცხვში; ➤ მართებულად იყენებს შეფასების / დამოკიდებულების გამოხატველ ენობრივ ფორმულებს (მაგ. „არ გეთანხმები“, „მეც ასე მგონია“, „მეეჭვება“, „არ მჯერა“, „შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ...“ და ა.შ.).
<p>ქართ.დანყ.(II).12. მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ წერის დაწყებამდე წინასწარ ირჩევს თემას, სასურველ ჟანრს; ➤ განსაზღვრავს წერითი ნამუშევრის მიზანსა და აუდიტორიას; ➤ დამატებითი ინფორმაციის მოსაძიებლად იყენებს ბეჭდურ/ელექტრონულ რესურსებს; ➤ იყენებს მოდელს, საყრდენებს, მითითებებს, ტექსტის გეგმას; საჭიროებისამებრ იყენებს გრაფიკულ მათემატიკას; ➤ ნაწერის სრულყოფის მიზნით ხელახლა გადაიკითხავს ნამუშევარს, ასწორებს სტილისტურ ხარვეზებს და გრამატიკულ შეცდომებს (მაგ.: სუბიექტ-ობიექტისა და ზმნის სინტაქსური ურთიერთობის წესების დარღვევისას), ითვალისწინებს ზმნის პირის ფორმათა აგების კანონზომიერებებს; ➤ ხმამაღლა კითხულობს და საჭიროების შემთხვევაში ხვეწს ნამუშევარს ესთეტიკური და/ან სტილისტური თვალსაზრისით, ანაცვლებს უკეთესი ვარიანტით.

დავალბათა / აქტივობათა ნიმუშები:

- ტექსტიდან საკვანძო სიტყვების/ფრაზების ამონერა;
- ტექსტის მოკლე შინაარსის დანერა (წინასწარ შედგენილ გეგმაზე დაყრდნობით);
- ერთსა და იმავე კონკრეტულ თემასთან/საკითხთან დაკავშირებული პრაგმატული ტექსტის (ნერილის, კულინარიული რეცეპტის, რჩევა-დარიგების) შედგენა ორი განსხვავებული ვერსიის სახით სხვადასხვა ასაკისა და სოციალური მდგომარეობის პირებისთვის (მაგ., თანაკლასელისა და მასწავლებლისთვის);
- ჩანახატის შექმნა კონკრეტულ თემაზე (საკლასო გაზეთისა და ჟურნალისათვის);
- განცდილი შთაბეჭდილების, კონკრეტული ცხოვრებისეული გამოცდილების გადმოცემა (მაგ., „ჩვენი ექსკურსია მცხეთაში“);
- ნაცნობ/საინტერესო თემაზე მცირე ზომის მარტივი მხატვრული ტექსტის (ზღაპრის, მცირე მოთხრობის) შედგენა და დასათაურება (მაგ., „ჯიუტი ბიჭის ზღაპარი“)
- და სხვა.

პროგრამის შინაარსი

შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე:

1. ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება

ძირითადი თემატიკა:

ლექსიკოლოგიური ასპექტი: ლექსიკური მარაგის გაფართოება; ფრაზეოლოგიზმებისა და ხატოვან სიტყვა-თქმათა აქტიურად გამოყენება; სიტყვათა ლექსიკური კავშირების ეფექტურად გამოყენება, ახალი სიტყვების წარმოება; სიტყვათა გადატანითი მნიშვნელობა და მისი ფუნქცია სათქმელის ხატოვნად გადმოცემის პროცესში.

გრამატიკული ასპექტი: ძირითადი მოდალობების ამოცნობა ტექსტში; სიტყვების შედარება მორფოლოგიური აგებულების თვალსაზრისით (სახელის ბრუნვის ფორმების, სახელური სიტყვანარმოების ძირითადი წესების მიხედვით); ზმნის საერთო ფუძის გამოყოფა ზმნური სიტყვაფორმების შედარება-შეპირისპირების საფუძველზე; მნიშვნელოვანი სინტაქსური მიმართებების ამოცნობა სიტყვათა შორის (ზმნასა და სახელს შორის შეთანხმება პირსა და რიცხვში, რიცხვითი და/ან ზედსართავი სახელისა და არსებითი სახელის ბრუნება...).

2. ენის კომუნიკაციური ასპექტები

ძირითადი თემატიკა: ინდივიდუალური და ჯგუფური საკომუნიკაციო ამოცანების დაგეგმვა, მომზადება და გადაჭრა; გუნდური განაწილების პრინციპით საკითხის მომზადება და ერთობლივი მოხსენების წარმოდგენა; სადისკუსიო სტრატეგიები და ხერხები (მსჯელობის მიზანი, არგუმენტი და დასკვნა); სადისკუსიო ეტიკეტი და სტრატეგიები (ნათლად, გასაგებად ჩამოყალიბებული პოზიცია, არგუმენტები); არგუმენტის სახეები (ფაქტობრივი, ანალოგიაზე დამყარებული). მასალის მოპოვება, დამუშავება და კითხვის სტრატეგიები (სხვადასხვა სახის ლექსიკონებითა და ენციკლოპედიებით სარგებლობა). ენის განსხვავებული ფუნქციური სტილი (სასაუბრო, სასწავლო-სამეცნიერო, მხატვრულ-ლიტერატურული); ტექსტის ტიპები: პრესაში გამოქვეყნებული სხვადასხვა ხასიათის სტატიები (ისტორიულ-ეთნოგრაფიული, შემეცნებითი, იუმორისტული); მიზნობრივი ტექსტების აგების პრინციპები (დაკვირვება ენობრივ-სტილურ საშუალებებსა და ლექსიკაზე), ეპისტოლარული ჟანრი (თხრობა, მსჯელობა, აღწერა კონკრეტული ადრესატისთვის).

3. მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა

ძირითადი თემატიკა: მოთხრობები ბავშვთა ოცნებებსა და ფანტაზიებზე, მათს ცხოვრებაზე, ზნეობრივ პრობლემებზე, ადამიანურ ურთიერთობებზე, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე; პატრიოტული და სამოქალაქო ყღერადობის, ისტორიულ თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოებები.

საკითხავი მასალა: ფოლკლორული ჟანრები: ზღაპარი, ბალადა, ლექსები, თქმულებები, ლეგენდები (ქართული და უცხოური); იგავ-არაკები, დიდაქტიკური ხასიათის თხზულებები, ბიბლიური მოთხრობები, სახარებისეული იგავები; სხვადასხვა ეპოქის ქართველ და უცხოელ კლასიკოსთა ნაწარმოებები (ადაპტირებული და შემოკლებული ტექსტები), ქართული ლირიკის ნიმუშები; თანამედროვე ქართული პროზის ნიმუშები.

სახელმძღვანელოს შესახებ ინფორმაცია ეროვნული სასწავლო გეგმასთან

სახელმძღვანელოში შეტანილი ტექსტები და სხვადასხვა სახის აქტივობები ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ძირითადი შედეგების მიღწევას ისახავს მიზნად.

I. მიმართულება – ზეპირმეტყველება

ა) მიზანი: მოსწავლეს გამოუმუშავდეს ასაკის შესაფერისი სირთულის ტექსტების მოსმენისა და ინტერპრეტაციის საწყისი უნარ-ჩვევები.

V. I. 1

შედეგი: მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს ტექსტები, ადეკვატურად გაიაზროს ისინი, ისაუბროს თავისი დამოკიდებულების შესახებ ტექსტში წარმოდგენილი ფაქტების, პერსონაჟების მიმართ, დაიმონოს სათანადო მონაკვეთები ტექსტიდან.

აქტივობები:

1. სხვადასხვა ხასიათის ტექსტების მოსმენა;
2. მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების დახმარებით ტექსტში მოცემული ფაქტებისა და ამ ფაქტებისადმი ავტორის ან პერსონაჟის / პერსონაჟების დამოკიდებულებების (შეფასებების) ერთმანეთისაგან გამიჯვნა;
3. ტექსტის უკეთ გასაზრებლად მოსწავლის მიერ კითხვების დასმა;
4. მსჯელობა და ტექსტებში მოცემული ფაქტების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა;
5. მსჯელობა ერთსა და იმავე თემაზე შექმნილ ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავების შესახებ;
6. ნაწარმოების პერსონაჟის თვისებებზე (დადებითსა და უარყოფითზე) მსჯელობა ტექსტში მოცემული ფაქტების მოხმობით.

ბ) მიზანი: მოსწავლემ შეძლოს ჯგუფური და ინდივიდუალური საკომუნიკაციო ამოცანების განხორციელება.

V. I. 2.

შედეგი: მოსწავლეს აქვს როგორც დამოუკიდებლად (ინდივიდუალურად) მუშაობის, ისე მენეჯილესთან და ჯგუფის წევრებთან თანამშრომლობის, სხვისი მოსაზრებების პატივისცემის, საკუთარი პოზიციის გამოხატვისა და დაცვის ჩვევები.

აქტივობები:

1. ჯგუფთან ერთად ზეპირი გამოსვლის მომზადება: საკითხის დამოუკიდებლად დამუშავება, მოპოვებული მასალისა და საკუთარი თვალსაზრისის ჯგუფის წევრებისთვის გაცნობა, მათთან შეთანხმება;
2. ჯგუფური ნამუშევრის წარდგენისას თანაგუნდელების საერთო აზრის გამოხატვა;
3. დიალოგის წარმართვა და შესაბამისი სტილის შერჩევა;
4. განცდებსა თუ შთაბეჭდილებებზე საუბარი და შესაბამისი სტილის შერჩევა;
5. საუბრისას მოდალობების მიხედვით განსხვავებული წინადადებების აგება და მათი სათანადო ინტონაციით წარმოთქმა.

გ) მიზანი: მოსწავლემ შეძლოს სამეტყველო სიტუაციებში ენობრივ-გრამატიკული ფორმების მართებულად გამოყენება.

V. I. 3.

შედეგი: მოსწავლეს შეუძლია საუბრისას სტილისტურად და გრამატიკულად სწორად ააგოს წინადადებები, გაითვალისწინოს სიტყვის ფორმაცივალუბადობის შესახებ მიღებული ცოდნა.

აქტივობები:

1. სახელებისა და ზმნის ფორმაცივალუბაზე დაკვირვება, კონტექსტის მიხედვით სწორი

ფორმების შერჩევა და გამოყენება;

2. საუბრის თემის, ადრესატისა და მიზნის შეცვლა და შესაბამისი სტილის შერჩევა.

დ) მიზანი: ლიტერატურული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასების საწყისი უნარ-ჩვევების გამომუშავება.

V. I. 4

შედეგი: მოსწავლეს შეუძლია ისაუბრობს პროზაული და პოეტური ნაწარმოებების ელემენტარულ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებზე,

საკუთარ შთაბეჭდილებებზე, პერსონაჟთა თვისებებზე; შეუძლია ნაწარმოების სათანადო მონაკვეთების მოხმობა საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად.

აქტივობები:

1. მოსმენილი მხატვრული ნაწარმოების (ლექსი, ნოველა, მოთხრობა) შესახებ საკუთარი ემოციებისა და შთაბეჭდილებების გამოხატვა;
2. პოეტურ ნაწარმოებში გადმოცემულ განწყობაზე საუბარი;
3. ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ გამართულ დისკუსიაში მონაწილეობა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა ამა თუ იმ პერსონაჟთან დაკავშირებით;
4. ტექსტიდან სხვადასხვა მიზნით საინტერესო ადგილების მოხმობა.

ე) მიზანი: მოსწავლემ გამოიყენოს სადისკუსიო სტრატეგიები.

V. I. 5.

შედეგი: თანამშრომლობს ჯგუფის წევრებთან, იცავს დისკუსიის წესებს, პრეზენტაციისათვის წინასწარ ამზადებს საჭირო დამატებით მასალას.

აქტივობები:

1. დისკუსიის წარმართვა დისკუსიის წესების დაცვით (ჯგუფთან ერთად საკამათო თემის შერჩევა, რეგლამენტის განსაზღვრა, რიგითობის დაცვა, ეტიკეტისა და კორექტულობის დაცვა და ა. შ.);
2. მოსმენისას საყრდენი სიტყვების, ფრაზების, გამოთქმული თვალსაზრისისა და არგუმენტების ჩანიშვნა;
3. მოსაზრებების დანერა და დალაგება;
4. თემაზე ვიზუალური მასალის მოძიება ან შექმნა.

II.

მიმართულება – კითხვა

ა) მიზანი: მოსწავლემ გააზრებულად წაკითხოს და ადეკვატურად გაიგოს სხვადასხვა ტიპის ტექსტები.

V. II 1.

შედეგი: შეუძლია ტექსტების დამოუკიდებლად კითხვა, კონტექსტითა და ლექსიკონის გამოყენებით სიტყვების მნიშვნელობების დაზუსტება, ტექსტის მთავარი სათქმელის გასაზრებლად დამატებითი კითხვების დასმა და შინაარსის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა.

აქტივობები:

1. სხვადასხვა ტიპის ტექსტების დამოუკიდებლად კითხვა, შინაარსისა და მთავარი სათქმელის გააზრება;
2. წაკითხული ტექსტის შინაარსის გადმოსცემა;
3. კონტექსტით, კითხვის დასმით, ლექსიკონით უცნობი სიტყვების მნიშვნელობების დაზუსტება;
4. ტექსტის შინაარსობრივ ნაწილებად დაყოფის პრინციპზე დაკვირვება;

5. ტექსტში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ამოცნობა და მათზე მსჯელობა;
6. ტექსტის გეგმის შედგენა;
7. ტექსტში ფაქტებისა და დამოკიდებულებების ამოცნობა, სათანადო მონაკვეთების მონიშვნა;
8. ტექსტის უკეთ გააზრების მიზნით კითხვების დასმა.
9. ტექსტის მთავარი სათქმელის ამოცნობა.

ბ) მიზანი: მოსწავლეს გამოუმუშავდეს წაკითხული მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციისა და ანალიზის ელემენტარული ჩვევები.

V. II. 2.

შედეგი: შეუძლია ნაწარმოების თემის დასახელება და თემატურად მსგავს ნაწარმოებებს შორის პარალელების გავლება; საკუთარი შეხედულების დასაბუთების მიზნით ტექსტიდან სათანადო ფაქტების მოხმობა, ტექსტის გაანალიზება მხატვრულ-გამომსახველობითი თვალსაზრისით.

აქტივობები:

1. წაკითხული ტექსტის თემის, პერსონაჟების, გამოყენებული მხატვრული ხერხების (ეპითეტის, შედარების, გაპიროვნების და სხვ.) დასახელება;
2. მსჯელობა ნაწარმოებებს შორის მსგავსებისა და განსხვავების შესახებ;
3. ნაწარმოებში განვითარებული მოვლენების შეფასება სხვადასხვა პერსონაჟის პოზიციიდან.
4. წაკითხულის შესახებ საკუთარი პოზიციის გამოხატვა, პერსონაჟებისა და მოვლენების შეფასება.

გ) მიზანი: მოსწავლემ ამოიცნოს სხვადასხვა ხასიათის ტექსტების ენობრივი თავისებურებები.

V. II. 3.

შედეგი: შეუძლია ტექსტის სტილისტურ-ენობრივი თავისებურებების გაანალიზება.

აქტივობები:

1. ტექსტის ენობრივ-სტილურ თავისებურებებზე (ხშირად გამოყენებული გრამატიკული ფორმები, ლექსიკა, წინადადებათა სახეები) დაკვირვება;
2. ტექსტში ძირითადი მოდალობების ამოცნობა;
3. სიტყვების შედარება და მათს მორფოლოგიურ აგებულებაზე, ფორმაცვალებადობასა და წარმოებაზე დაკვირვება.
4. სიტყვათა შორის სინტაქსური მიმართების ამოცნობა და სწორად გამოყენება.
5. ზმნის პირის, რიცხვისა და დროის კატეგორიების ერთმანეთისაგან გარჩევა.

დ) მიზანი: მოსწავლეს გამოუმუშავდეს კითხვის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენების ჩვევები.

V. II. 4.

შედეგი: მოსწავლე იყენებს კითხვის სხვადასხვა სტრატეგიას: კითხვის დროს მონიშნავს მისთვის საჭირო ინფორმაციას ტექსტში, აკეთებს მოკლე ჩანაწერებს, ინფორმაციის დასაზუსტებლად ხელმეორედ კითხულობს ტექსტს და სხვადასხვა დამხმარე მასალას (ენციკლოპედიებს, ლექსიკონებს, მხატვრულ ლიტერატურას), სარგებლობს ინტერნეტით.

აქტივობები:

1. კონკრეტული ინფორმაციის მოსაპოვებლად საბავშვო ენციკლოპედიის სტატიების გამოყენება;

2. ნაკითხული ტექსტის უკეთ გასააზრებლად მოკლე ჩანაწერების შესრულება;
3. ტექსტის თავებად და მონაკვეთებად დაყოფის აზრობრივი საფუძვლის დასახელება;
4. სხვადასხვა საშუალებით (ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ინტერნეტი...) მისთვის გაუგებარი ან ბუნდოვანი საკითხების დაზუსტება;
5. ბიბლიოთეკით სარგებლობა და დამოუკიდებლად, საკუთარი ინტერესების შესაბამისად საკითხავი ლიტერატურის არჩევა.

III.

მიმართულება – წერა

ა) მიზანი: მოსწავლემ დამოუკიდებლად შექმნას სხვადასხვა ტიპის ტექსტი.

ბ) V. III. 1

შედეგი: მოსწავლეს შეუძლია შესწავლილ ლიტერატურულ მასალაზე, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით თუ ფანტაზიით შექმნას თხრობითი ხასიათის ტექსტი, ამბავი გადმოსცეს თანამიმდევრულად, ხატოვნად, ჩართოს საკუთარი დამოკიდებულების გამომხატველი სიტყვები.

აქტივობები:

1. წერის დაწყებამდე თემის შერჩევა; მიზნის, აუდიტორიის, ჟანრის განსაზღვრა;
2. ამა თუ იმ ჟანრის ტექსტის შექმნისას სხვადასხვა მხატვრული ხერხის (ეპითეტი, შედარება, გაპიროვნება და სხვა) გამოყენება.
3. თხზულებაში (ტექსტის შინაარსი, საკუთარი გამოცდილება, მთხრობლის შეცვლა და ამბის გადმოცემა და სხვ.) ფაქტებისა და მოვლენების თანამიმდევრობით გადმოსცემა;
4. შეფასების / დამოკიდებულების გამომხატველი ენობრივი ფორმულების მართებულად გამოყენება (მაგ. არ გეთანხმები, მეც ასე მგონია, მეეჭვება, არ მჯერა, შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ და ა. შ).

ც) მიზანი: განსაზღვროს წერიტი დავალების ამოცანა და შეარჩიოს შესაბამისი ფუნქციური სტილი.

V. III. 2.

შედეგი: მოსწავლეს შეუძლია შესაბამისი ფუნქციური სტილის შერჩევა წერიტი დავალების შესრულების დროს.

აქტივობები:

1. შინაარსობრივი, ენობრივი და ფორმალური ნიშნების მიხედვით განსხვავებული სტილის (მსჯელობა, სასაუბრო – ეტიკეტური დიალოგები და მხატვრული – განცდილი შთაბეჭდილება) არჩევა.
2. ერთი ტექსტის ფარგლებში მსჯელობის, თხრობის ან დიალოგის ურთიერთჩანაცვლება.
3. ტექსტის მიზნის გათვალისწინებით სათანადო ლექსიკური ერთეულებისა და გრამატიკულ ფორმების შერჩევა.
4. მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებიდან კონტექსტის მიხედვით სათანადო ლექსიკური ერთეულების შერჩევა.

გ) მიზანი: მოსწავლემ მართებულად გამოიყენოს შესწავლილი გრამატიკული წესები და დაიცვას მართლწერის ნორმები.

V. III. 3.

შედეგი: მოსწავლეს შეუძლია ტექსტის შექმნისას სალიტერატურო ქართული ენის ნორმების გათვალისწინება და შესწავლილი გრამატიკული წესების საფუძველზე ნაწერის გასწორება (რედაქტირება).

აქტივობები:

1. ვარჯიშობა მეტყველების ნაწილთა ძირითად ფორმოებრივ თავისებურებათა შესახებ

ცოდნის (სახელთა ბრუნვა, სიტყვანარმოება, სხვადასხვა დროის ზმნური ფორმები...) გასააქტიურებლად.

2. ვარჯიშობა სინტაქსური კონსტრუქციების სწორად აგებაზე (რიცხვში შეთანხმება, მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება ბრუნვაში და სხვ.).

3. სხვადასხვა ფუნქციური სტილისთვის დამახასიათებელ ენობრივ-გრამატიკულ საშუალებების გამოყენება თხზულების წერისას.

4. გრამატიკული შეცდომების გასწორება.

5.

**სახელმძღვანელოს შინაარსის მიმართება სტანდარტით
 ბათვალისწინებულ შედეგებთან
 (მიზნებისა და აქტივობების ჩვენებით)**

№	თემა	მიზანი
1.	ნინო ბეზარაშვილი, ბიოგრაფიული ცნობები; „რა მალე გავიდა ზაფხული“ (ტექსტის ნაწილი); ნაწარმოების პერსონაჟი	მოსწავლემ შეძლოს: ინფორმაციის მოსმენა, ნაკითხულ ტექსტში კონტექსტითა და ლექსიკონის გამოყენებით სიტყვების მნიშვნელობების დაზუსტება. ტექსტში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ნაწარმოების პერსონაჟების თვისებებზე მსჯელობა; საკომუნიკაციო ამოცანების გახორციელება – საკუთარი გამოცდილების გაზიარება მეწყვილესთან.
2.	ნინო ბეზარაშვილი, „რა მალე გავიდა ზაფხული“; დამოუკიდებლად ნაკითხული ტექსტის ანალიზი; ნაწარმოების პერსონაჟი. ქართული ენა და მისი დიალექტები;	მოსწავლემ შეძლოს: ტექსტის შინაარსის თანამიმდევრულად, საკუთარი სიტყვებით გადმოცემა; მხატვრული ნაწარმოების შესახებ გამართულ დისკუსიაში მონაწილეობა და საკუთარი დამოუკიდებულების გამოხატვა ამა თუ იმ პერსონაჟთან დაკავშირებით; პერსონაჟის დიალექტურ მეტყველებაზე დაკვირვება; დიალექტური ფორმების სალიტერატურო შესატყვისებით ჩანაცვლება.
3.	ნინო ბეზარაშვილი, „რა მალე გავიდა ზაფხული“; ტექსტის ანალიზი; თხრობითი წინადადება	მოსწავლემ შეძლოს: ნაკითხულის შესახებ საკუთარი პოზიციის გამოხატვა, პერსონაჟებისა და მოვლენების შეფასება; ტექსტში თხრობითი წინადადების ამოცნობა, შედგენა და სათანადო ინტონაციით წარმოთქმა.
4.	წერა – საკუთარი გამოცდილების გაზიარება.	მოსწავლემ შეძლოს: დამოუკიდებლად შექმნას წერილობითი ტექსტი – ინსტრუქცია . წერისას ყურადღება გაამახვილოს მთავარსა და არსებით მომენტებზე; ჩამოაყალიბოს აზრი თანამიმდევრობით; დაიცვას მართლწერის ნორმები; გაასწოროს სტილისტური და გრამატიკული შეცდომები მეწყვილის რჩევების გათვალისწინებით.
5.	ედიშერ ყიფიანი, ბიოგრაფიული ცნობები; „ყვინჩილა ღრუბლებში“; ტექსტი (I ნაწ.) ლექსიკა; დღიური; წერა – დღიური (გვ. 13).	მოსწავლემ შეძლოს: ინფორმაციის მოსმენა, სიტყვების მნიშვნელობების დაზუსტება; ინფორმაციის დასაზუსტებლად ტექსტის ხელმეორედ კითხვა. მსჯელობა ნაწარმოების პერსონაჟებზე, მათს თვისებებზე ტექსტში მოცემული ფაქტების მოხმობით; მეწყვილესთან დიალოგის წარმართვა – საკუთარი გამოცდილების გაზიარება; საუბრისას შესაბამისი სტილის შერჩევა; ტექსტის შინაარსობრივ ნაწილებად დაყოფის პრინციპზე დაკვირვება; დღიურის მახასიათებლების ცნობა.
6.	ედიშერ ყიფიანი, „ყვინჩილა ღრუბლებში“; ტექსტი (I ნაწ. გაგრძელება); კითხვითი წინადადება; დამოუკიდებლად ნაკითხული ტექსტის შინაარსის გადმოცემა.	მოსწავლემ შეძლოს: დამოუკიდებლად ნაკითხული ტექსტის შინაარსის გადმოცემა; ტექსტში კითხვითი წინადადების ამოცნობა და შედგენა; ტექსტში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ნაწარმოების პერსონაჟების თვისებებზე მსჯელობა.
7.	ედიშერ ყიფიანი, „ყვინჩილა ღრუბლებში“, (I ნაწ.); დიალოგი	მოსწავლემ შეძლოს: დიალოგის გამიჯვნა თხრობითი ტექსტისაგან; დიალოგის ჩართვა ტექსტში და სასვენი ნიშნების სწორად დასმა; კითხვითი სიტყვიანი და არაკითხვითი სიტყვიანი წინადადებების სათანადო ინტონაციით წარმოთქმა.
8.	ედიშერ ყიფიანი, „ყვინჩილა ღრუბლებში“, (II ნაწ.); სიტყვის მნიშვნელობები.	მოსწავლემ შეძლოს: კითხვის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება; ტექსტში მისთვის სხვადასხვა თვალსაზრისით საინტერესო ადგილების მონიშვნა, სიტყვების მრავალმნიშვნელობაზე დაკვირვება და კონტექსტის მიხედვით წორად გამოყენება.

საილუსტრაციოდ წარმოდგენილია სახლემძღვანელოს პირველი და მეორე თავები

აქტივობები
<ol style="list-style-type: none"> 1. მეწყვილესთან საუბარი ზაფხულის არდადეგების შესახებ; 2. მინილექცია – მწერლის ბიოგრაფიის გაცნობა; 3. ტექსტის მოსმენა, სიტყვების განმარტება კონტექსტით და ლექსიკონის გამოყენებით. 4. ტექსტის კითხვა დამოუკიდებლად; წაკითხულის გააზრება – კითხვებზე პასუხების გაცემა (ბლუმის ტაქსონომია).
<ol style="list-style-type: none"> 1. დისკუსია 3. სქემით ორგანიზებული ინფორმაციის ანალიზი (წყ.). 4. შესწავლილი წესის მიხედვით ენობრივი სავარჯიშოს დამოუკიდებლად შესრულება (სავარჯ. კრებული). 4. დიალექტური ფორმების ანალიზი, № 5; № 6.
<ol style="list-style-type: none"> 1. დისკუსია; 2. არეული თანამიმდევრობით მოცემული სიტყვების დალაგება (წყ.) – №8; 3. თხრობითი წინადადების განმარტებისა და მაგალითის იდენტიფიცირება – №9; 4. წინადადების შედგენა – აზრის გადმოცემა ვრცელი და მოკლე წინადადებებით (ჯგ.) – № 10; 5. შესწავლილი მასალის მიხედვით სავარჯიშოს დამოუკიდებლად შესრულება (სავარჯ. კრებული).
<p>წერის სტრატეგია – ხუთსაფეხურიანი მოდელი (თემის არჩევა და მასალის მომზადება, პირველი ვარიანტის შექმნა, გადამუშავება (მეწყვილის დახმარებით), რედაქტირება, აუდიტორიის წინაშე წარდგენა).</p>
<ol style="list-style-type: none"> 1. საკუთარ გამოცდილებაზე საუბარი (წყ.); 2. ტექსტის კითხვა, ლექსიკონზე მუშაობა; 3. კითხვებზე პასუხები (ბლუმის ტაქსონომია); 4. დღიურის წერა მითითებების მიხედვით № 1, № 2.
<ol style="list-style-type: none"> 1. წაკითხულის შინაარსის გადმოცემა, მსჯელობა ფაქტებსა და დამოკიდებულებებზე, პერსონაჟების თვისებებზე. 2. თხრობითი და კითხვითი წინადადებების შედარება, საერთოსა და განსხვავებულის აღმოჩენა; 3. განსხვავებული მოდულოების წინადადებების შედგენა (ჯგ.), პრეზენტაცია.
<ol style="list-style-type: none"> 1. თხრობა; 2. დისკუსია; 3. სავარჯიშოები: № 6, 7 (ინდ.);
<ol style="list-style-type: none"> 1. ტექსტის შინაარსის მიხედვით ძირითად საკითხებზე მსჯელობა. 2. ვარაუდების გამოთქმა. 3. მსჯელობა ტექსტის სტრუქტურაზე (ჯგ.). 4. ტექსტის ცალკეული მონაკვეთების გეგმის დამოუკიდებლად შედგენა, № 2.

№	თემა	მიზანი
9.	<p>ედიშერ ყიფიანი, „ყვინჩილა ღრუბლებში“ (II) ტექსტის დაყოფა მონაკვეთებად;</p>	<p>მოსწავლემ შეძლოს: აქტიურად მიიღოს მონაწილეობა ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ გამართულ დისკუსიაში; გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება ამა თუ იმ პერსონაჟთან დაკავშირებით; დაასახელოს სხვადასხვა თვალსაზრისით მისთვის საინტერესო ადგილები ტექსტიდან; ტექსტის თავებად და მონაკვეთებად დაყოფის აზრობრივი საფუძვლის დანახვა; ტექსტის შინაარსობრივ ნაწილებად დაყოფის პრინციპზე დაკვირვება და გეგმის შედგენა;</p>
10.	<p>ედიშერ ყიფიანი, „ყვინჩილა ღრუბლებში“, (I II ნაწილების გამეორება); ტექსტის დაყოფა მონაკვეთებად; ბრძანებითი წინადადება</p>	<p>მოსწავლემ შეძლოს: ბრძანებითი წინადადების მოძალობის არსში გარკვევა, ამ ტიპის წინადადების შედგენა; მოძალობების მიხედვით განსხვავებული წინადადებების ამოცნობა, შედგენა, სათანადო ინტონაციით წარმოთქმა. ტექსტის ინტერპრეტაცია; ტექსტის შინაარსობრივ ნაწილებად დაყოფა.</p>
11.	<p>ედიშერ ყიფიანი, „ყვინჩილა ღრუბლებში“ (III); სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა.</p>	<p>მოსწავლემ შეძლოს: ტექსტის გააზრებულად კითხვა, სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობების განსხვავება.</p>
12.	<p>ედიშერ ყიფიანი, „ყვინჩილა ღრუბლებში“ (III); ავტორი და მთხრობელი</p>	<p>მოსწავლემ შეძლოს: სწორად გაიგოს მხატვრული ტექსტის შინაარსი და მთავარი სათქმელი, თანამიმდევრულად გადმოსცეს წაკითხული ტექსტის შინაარსი; იმსჯელოს ტექსტში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ნაწარმოების პერსონაჟების თვისებებზე.</p>
13.	<p>წერა – პერსონაჟი მთხრობლის როლში</p>	<p>მოსწავლემ შეძლოს: დამოუკიდებლად შექმნას წერილობითი ტექსტი – ინსტრუქცია. წერისას ყურადღება გაამახვილოს მთავარსა და არსებით მომენტებზე; ჩამოაყალიბოს აზრი თანამიმდევრობით; დაიცვას მართლწერის ნორმები, გაასწოროს სტილისტური და გრამატიკული შეცდომები მეწყვილის რჩევების გათვალისწინებით.</p>
14.	<p>ედიშერ ყიფიანი, „ყვინჩილა ღრუბლებში“ (IV); ხატოვანი გამოთქმა; ძახილის წინადადება.</p>	<p>მოსწავლემ შეძლოს: ტექსტების მოსმენა და ადეკვატურად გააზრება; ტექსტში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ნაწარმოების პერსონაჟების თვისებებზე მსჯელობა; მისთვის საინტერესო ადგილების დასახელება ტექსტიდან; ჯგუფთან ერთად ზეპირი გამოსვლის მომზადება: საკითხის დამოუკიდებლად დამუშავება, მოპოვებული მასალისა და საკუთარი თვალსაზრისის ჯგუფის წევრებისთვის გაცნობა, მათთან შეთანხმება, ჯგუფური ნამუშევრის წარდგენისას თანაგუნდელების საერთო აზრის გამოხატვა.</p>
15.	<p>ედიშერ ყიფიანი, „ყვინჩილა ღრუბლებში“ (IV); პერსონაჟების შედარება. ძახილის წინადადება</p>	<p>მოსწავლემ შეძლოს: ტექსტის თავებად და მონაკვეთებად დაყოფის აზრობრივი საფუძვლის დასახელება; ფრაზეოლოგიზმის ცნობა და მათ მნიშვნელობების გარკვევა; ტექსტში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ნაწარმოების პერსონაჟების თვისებებზე მსჯელობა; წაკითხული ტექსტის შინაარსის გადმოცემა.</p>
16.	<p>წერა – ნაწყვეტის შინაარსი.</p>	<p>მოსწავლემ შეძლოს: დამოუკიდებლად შექმნას წერილობითი ტექსტი, შეცვალოს ტექსტის ფორმა; წერისას ყურადღება გაამახვილოს მთავარსა და არსებით მომენტებზე; თანამიმდევრობით გადმოსცეს ფაქტები და მოვლენები; სწორად გამოიყენოს დამოკიდებულების გამოხატველი ენობრივი ფორმულები, მხატვრული გამომსახველობითი საშუალებები (შედარება); დაიცვას მართლწერის ნორმები, გაასწოროს სტილისტური და გრამატიკული შეცდომები.</p>

17.	<p>მურმან ლებანიძე, „ნინ – მზისფერი სექტემბერი, უკან – ჭრელი ზაფხული“; მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.</p>	<p>მოსწავლემ შეძლოს: გამოხატოს საკუთარი შთაბეჭდილებები ლექსის შესახებ; ისაუბრობს პოეტურ ნაწარმოებში გამოხატულ განწყობაზე; ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრება ერთსა და იმავე თემაზე შექმნილ ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებაზე; ლექსისთვის დამახასიათებელი ენობრივ-სტილური საშუალებების ამოცნობა.</p>
18.	<p>მურმან ლებანიძე, „ნინ – მზისფერი სექტემბერი, უკან – ჭრელი ზაფხული“ ლექსი, სიტყვის დამარცვლა (გამეორება).</p>	<p>მოსწავლემ შეძლოს: ლექსის სტრუქტურის (სტროფების, ტაეპების, რითმის) სქემის ანალიზი; მხატვრული ანალიზი (ამოიცნოს ემოციისა და დამოკიდებულების გამომხატველი სიტყვები, გაარკვიოს რითმა და სხვ.).</p>

აქტივობები
<ol style="list-style-type: none"> 1. მსჯელობა – ტექსტის ანალიზი; 2. დისკუსია ჯგუფში – მოსწავლეები ავტორისა და მთხრობლის მიმართებაზე ტექსტთან; 3. სავარჯიშო № 2 (ინდ.); № 3 (ინდ.); 4. დამოუკიდებელი სამუშაო № 1 (სავარჯიშოთა კრებული).
<ol style="list-style-type: none"> 1. სტრატეგია „3. 2. 1.“ (ინდ.); 2. სავარჯიშოები: № 6 ინდ.), № 7 (წყვ.), № 8 (ჯგ.); 3. წინადადებების შედგენა და სათანადო ინტონაციით წარმოთქმა.
<ol style="list-style-type: none"> 1. მასწავლებლის მიერ დასმული კითხვებით მონმდება ტექსტის გააზრების დონე; 2. ტექსტის შინაარსის თხრობა თანამიმდევრობით; 3. სავარჯიშოები: № 1 (წყვ.), №2 (ჯგ.).
<ol style="list-style-type: none"> 1. საშინაო დავალების შემოწმება; 2. ტექსტის გეგმის შედგენა; გეგმის მიხედვით თხრობა, გამოტოვებული დეტალებით შევსება; 3. ტერმინების: ავტორი და მთხრობელი – გააზრება; 4. ცოდნის გასამყარებლად სავარჯიშოების შესრულება.
<p>წერილობითი ტექსტის შექმნა, გადასინჯვა და წარდგენა.</p>
<ol style="list-style-type: none"> 1. ტექსტის პაუზებით კითხვა; 2. კითხვებზე პასუხები; 3. პერსონაჟების შედარება სქემის მიხედვით, № 1 /ა (ჯგ.); ჯგუფის ნამუშევრების წარდგენა .
<ol style="list-style-type: none"> 1. მსჯელობა ნაწარმოების ნაკითხვით მიღებულ შთაბეჭდილებებზე; 2. სავარჯიშოები: № 1, №2, № 3.
<p>წერის სტრატეგია – ხუთსაფეხურიანი მოდელი (თემის არჩევა და მასალის მომზადება, პირველი ვარიანტის შექმნა, გადამუშავება (მეწყვილის დახმარებით), რედაქტირება, აუდიტორიის წინაშე წარდგენა).</p>

1. მინილექცია – მწერლის ბიოგრაფიის გაცნობა;
2. ტექსტის მოსმენა / წაკითხვა; სიტყვების განმარტება კონტექსტით და ლექსიკონის გამოყენებით (წყვ.).
3. ლექსში გამოყენებული ფრაზეოლოგიების ანალიზი,
4. მსჯელობა ლექსში გადმოცემულ განწყობასა და საკუთარ ემოციაზე, შთაბეჭდილებაზე.

1. ლექსის შინაარსის გააზრება (კითხვებით);
2. ლექსის სტრუქტურის სქემის ანალიზი;
3. ლექსის შესახებ მიღებული ინფორმაციის განმტკიცება, ტერმინების გააქტიურება, მსჯელობა კონკრეტული ლექსის სტრუქტურაზე.
4. ვარჯიში სიტყვის სწორად დამარცვლაზე.

№	თემა	მიზანი
19.	გამეორება (სიტყვის დამარცვლისა და გადატანის წესები)	მოსწავლემ შეძლოს: ისწავლოს და სწორად გამოიყენოს სიტყვის დამარცვლის წესები; მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება.
20.	წერა – ერთი საინტერესო შემთხვევა.	მოსწავლემ შეძლოს: დამოუკიდებლად შექმნას წერილობითი ტექსტი პირადი გამოცდილების საფუძველზე. სწორად გამოიყენოს დამოკიდებულების გამომხატველი ენობრივი ფორმულები. თანამიმდევრობით გადმოსცეს ფაქტები და მოვლენები; დაიცვას მართლწერის ნორმები, გაასწოროს სტილისტური და გრამატიკული შეცდომები. ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრება ერთსა და იმავე თემაზე შექმნილ ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებაზე.
21.	ტესტირება № 1	მოსწავლემ შეძლოს: მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება
22.	აკაკი წერეთელი , „შიში“; მოკლე ბიოგრაფიული ცნობები; ანტონიმები.	მოსწავლემ შეძლოს: ტექსტის მოსმენა და გაგება; კითხვა და გააზრება; ლექსიკონით სარგებლობა; ლექსიკის გამდიდრება ანტონიმებით; კითხვის სტრატეგიების გამოყენება (კერძოდ, მიზნის შესაბამისად ტექსტში კითხვის დროს წინასწარ განსაზღვრული ინფორმაციის მონიშვნა).
23.	აკაკი წერეთელი , „შიში“; მწერლის თავგადასავალი; წერა – ნაკითხულის გააზრება.	მოსწავლემ შეძლოს: ტექსტის შინაარსის თანამიმდევრულად თხრობა; ფაქტებისა და ამ ფაქტებისადმი მიხრობლის დამოკიდებულების (შეფასებების) ერთმანეთისაგან გამიჯვნა; საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა ნაწარმოებში მოცემული ფაქტების მიმართ; მხატვრული ავტობიოგრაფიიდან თვითშეფასების მონაკვეთების პოვნა; ნაწარმოების პერსონაჟის თვისებებზე (დადებითსა და უარყოფითზე) მსჯელობა ტექსტში მოცემული ფაქტების მოხმობით. წერისას დასმული ამოცანის შესაბამისი სტილის შერჩევა; მთავარსა და არსებით მომენტებზე ყურადღების გამახვილება.
24.	აკაკი წერეთელი , „მედიდურობა“; წერა – თამაში „ურდღლობა“.	მოსწავლემ შეძლოს: ტექსტის მოსმენა და ტექსტების ადეკვატურად გაგება; ტექსტის გააზრებულად წაკითხვა. ლექსიკონით სარგებლობა; ჯგუფური და ინდივიდუალური საკომუნიკაციო ამოცანების გახორციელება. საკითხვის თანამიმდევრობით გადმოცემა; ნაწარმოების შესახებ გამართულ დისკუსიაში მონაწილეობის მიღება, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.
25.	აკაკი წერეთელი , „მედიდურობა“; ძირეული სიტყვები.	მოსწავლემ შეძლოს: ნაკითხული ტექსტის შინაარსის გადმოსცემა; ტექსტის შინაარსის თანამიმდევრულად თხრობა; ტექსტის თავებად და მონაკვეთებად დაყოფის აზრობრივი საფუძვლის დასახელება; შერჩეულ სათაურზე მსჯელობა; საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა ნაწარმოებში მოცემული ფაქტების მიმართ; ნაწარმოების პერსონაჟის თვისებებზე (დადებითსა და უარყოფითზე) მსჯელობა ტექსტში მოცემული ფაქტების მოხმობით; ძირეული სიტყვების ცნობას; ჯგუფური და ინდივიდუალური საკომუნიკაციო ამოცანების განხორციელება.
26.	გამეორება	მოსწავლემ შეძლოს: დამოუკიდებლად წაკითხოს მასწავლებლის მიერ მითითებული დამატებითი მასალა; ბიბლიოთეკაში შეარჩიოს წიგნი წასაკითხად და მოამზადოს პრეზენტაცია ნაკითხულის შესახებ.

აქტივობები
1. სავარჯიშოები კრებულიდან – №№ 1 5 (გვ. 12-13)
წერის სტრატეგია – ხუთსაფეხურიანი მოდელი (თემის არჩევა და მასალის მომზადება, პირველი ვარიანტის შექმნა, გადამუშავება (მეწყვილი დახმარებით), რედაქტირება, აუდიტორიის წინაშე წარდგენა).
ტესტირება
<ol style="list-style-type: none"> 1. მინილექცია – მწერლის ბიოგრაფიის გაცნობა. 2. ტექსტის კითხვა და სახელმძღვანელოში მითითებული ინფორმაციის მონიშვნა. 3. მონიშნული ინფორმაციის შესახებ საუბარი, ტექსტიდან სათანადო მონაკვეთების დამონშება. 4. კითხვებზე პასუხები ტექსტის შინაარსის მიხედვით; 5. ტერმინ ანტონიმის გააზრება, ანტონიმების შერჩევა და გამოყენება, №2, № 3; 6. დამატებითი სავარჯიშოები კრებულიდან.
<ol style="list-style-type: none"> 1. ტექსტის შინაარსის თხრობა; 2. მოსწავლეთა მიერ დამატებითი კითხვების დასმა; 3. დისკუსია – ტექსტის მთავარი სათქმელი; შერჩეული სათაურის შესაბამისობა ტექსტის შინაარსთან და მთავარ სათქმელთან; 4. მწერლის თავგადასავლის ძირითადი მახასიათებლების გაცნობა. № 1. 5. წერითი სამუშაო – წაკითხულის გააზრება (თავგადასავლის შესახებ მიღებული ცოდნის გამოყენება, მითითებების მიხედვით ტექსტის გააზრება და კითხვებზე პასუხები).
<ol style="list-style-type: none"> 1. ტექსტის კითხვა; უცნობი სიტყვების განმარტება კონტექსტით და ლექსიკონით. 2. საუბარი – კითხვებზე პასუხები ტექსტის შინაარსის მიხედვით; 3. წერა – ინფორმაციის (მონაკვეთის „კურდღლობა“) გარდაქმნა დასმული ამოცანის შესაბამისად (თამაშის წესებად).
<ol style="list-style-type: none"> 1. ტექსტის შინაარსის თხრობა. 2. დისკუსია – ნაწარმოების მთავარ სათქმელსა და პერსონაჟის თვისებებზე (დადებითსა და უარყოფითზე) მსჯელობა ტექსტში მოცემული ფაქტების მოხმობით 3. სიტყვის ანალიზი (ძირი, აფიქსები) – №1, №2 (წყვ.), №3 (ჯგ.). 4. წერა – საკუთარი გამოცდლების ჩამოყალიბება (საყვარელი თამაშის წესები).
პრეზენტაციისათვის ინფორმაციის მომზადება

№	თემა	მიზანი
27.	ნერა – საყვარელი თამაშის წესები.	მოსწავლემ შეძლოს: დამოუკიდებლად შექმნას წერილობითი ტექსტი – საყვარელი თამაშის წესები. წერისას აქცენტი გაააკეთოს მთავარსა და არსებით მომენტებზე; თანამიმდევრობით გადმოსცეს ფაქტები და მოვლენები; სწორად გამოიყენოს დამოკიდებულების გამომხატველი ენობრივი ფორმულები, მხატვრული გამომხატველობითი საშუალებები (შედარება); დაიცვას მართლწერის ნორმები, გაასწოროს სტილისტური და გრამატიკული შეცდომები.
28.	გიორგი ლეონიძე, „ჩვენი ქერამი“; ბიოგრაფიული ცნობები.	მოსწავლემ შეძლოს: ტექსტის დამოუკიდებლად კითხვა და გააზრება; , სიტყვათა მნიშვნელობების დასაზუსტებლად ლექსიკონის გამოყენება; კითხვის დროს ტექსტში საჭირო ინფორმაციის მონიშვნა; ინფორმაციის დასაზუსტებლად ტექსტის ხელმეორედ კითხვა; ფაქტებისა და დამოკიდებულებების (შეფასებების) ერთმანეთისაგან გამიჯვნა.
29.	გიორგი ლეონიძე, „ჩვენი ქერამი“; მხატვრული შედარება.	მოსწავლემ შეძლოს: ნაწარმოებში მხატვრული ხერხის – შედარების – ამოცნობა. ტექსტში მოცემული ფაქტების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა. ფაქტების მოხმობით პერსონაჟების თვისებებზე (დადებითსა და უარყოფითზე) მსჯელობა, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.
30.	გიორგი ლეონიძე, „ჩვენი ქერამი“; არსებითი სახელი	მოსწავლემ შეძლოს: ტექსტისანალიზი; დისკუსიაში ჩართვა; არსებითი სახელის დანიშნულების გარკვევა, მისი ამოცნობა.
31.	გიორგი ლეონიძე, „ჩვენი ქერამი“; არსებითი სახელი	მოსწავლემ შეძლოს: სულიერთა და უსულოთა სახელების სწორად გამოყენება წინადადებაში.
32.	ნერა – ნაკითხულის გააზრება	მოსწავლემ შეძლოს: უცნობი ტექსტის დამოუკიდებლად გააზრება; შთაბეჭდილების მიხედვით ახალი ტექსტის შექმნა. წერის დაწყებამდე თემის მიხედვით მიზნის განსაზღვრა, ყურადღების გამახვილება მთავარსა და არსებით მომენტებზე; მართლწერის ნორმების დაცვა და სტილისტური და გრამატიკული შეცდომების გასწორება. მენყვილესთან თანამშრომლობა.
33.	ლადო ასათიანი, „სოფლისაკენ“; ბიოგრაფიული ცნობები; ლექსიკა.	მოსწავლემ შეძლოს: ლექსის გამომეტყველებით კითხვა, გააზრება; საკუთარ ემოციებსა და შთაბეჭდილებებზე, ლექსში გამოხატულ განწყობაზე საუბარი; ლიტერატურული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასება; მოპოვებული მასალისა და საკუთარი თვალსაზრისის ჯგუფის წევრებისთვის გაცნობა; მოსაზრების გასამყარებლად სათანადო ადგილების მოხმობა ტექსტიდან.
34.	ლადო ასათიანი, „სოფლისაკენ“ ლექსიკონი	მოსწავლემ შეძლოს: ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრება ერთსა და იმავე თემაზე შექმნილ ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებაზე; ლექსიკონით სარგებლობა; ლექსის მხატვრული ანალიზი (ამოიცნოს ემოციისა და დამოკიდებულების გამომხატველი სიტყვები, გაარკვიოს რითმა და სხვ.);
35.	გამეორება	მოსწავლემ შეძლოს: თვითშეფასება; ცოდნაში ხარვეზების აღმოჩენა; ცოდნის გაღრმავების მიზნით მასალის ხელმეორედ წაკითხვა, დამატებითი სავარჯიშოების შესრულება.

36.	წერა – შთაბეჭდილება	<p>მოსწავლემ შეძლოს: დამოუკიდებლად შექმნას წერილობითი ტექსტი</p> <p>– შთაბეჭდილება. წერისას ყურადღება გაამახვილოს მთავარსა და არსებით მომენტებზე; თანამიმდევრობით გადმოსცეს ფაქტები და მოვლენები; სწორად გამოიყენოს დამოკიდებულების გამომხატველი ენობრივი ფორმულები, მხატვრული გამომსახველობითი საშუალებები (შედარება); დაიცვას მართლწერის ნორმები, გაასწოროს სტილისტური და გრამატიკული შეცდომები.</p>
37.	ტესტირება № 2	<p>მოსწავლემ შეძლოს: მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება</p>
38.	შემაჯ. გაკვეთილი	<p>მოსწავლემ შეძლოს: დამოუკიდებლად წაიკითხოს მასწავლებლის მიერ მითითებული დამატებითი მასალა; ბიბლიოთეკაში შეარჩიოს წიგნი წასაკითხად და მოამზადოს გამოსმაურება წაკითხულ ნაწარმოებზე.</p>

აქტივობები
წერის სტრატეგია – ხუთსაფეხურიანი მოდელი (თემის არჩევა და მასალის მომზადება, პირველი ვარიანტის შექმნა, გადამუშავება (მეწყვილი დახმარებით), რედაქტირება, აუდიტორიის წინაშე წარდგენა).
<ol style="list-style-type: none"> 1. მინილექცია – მწერლის ბიოგრაფიის გაცნობა; 2. ტექსტის მოსმენა / წაკითხვა; სიტყვების განმარტება კონტექსტით და ლექსიკონის გამოყენებით (წყვ.); 3. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის დაკავშირება ნაწარმოებში მოთხრობილ ამბავთან (ჯგ.); 4. მსჯელობა ტექსტობრივი მასალის მოხმობით (კითხვების დახმარებით).
<ol style="list-style-type: none"> 1. კითხვების საშუალებით შემონმდეს, რამდენად სწორად გაიაზრეს მოსწავლეებმა ტექსტი, როგორია მათი სუბიექტური დამოკიდებულება. 2. შედარებაზე დაკვირვება – №1, მის გამომსახველობით დანიშნულებაზე მსჯელობა.
<ol style="list-style-type: none"> 1. დისკუსია; 2. არსებითი სახელის რაობის გააზრების მიზნით სავარჯიშოების შესრულება (№2; № 3; № 4); დამატებითი სავარჯიშოები კრებულიდან.
ვარჯიში არსებითი სახელის ამოცნობაზე ტექსტში, არსებითი სახელების გამოყენებით წინადადებათა შედგენაზე.
წერის სტრატეგია – ხუთსაფეხურიანი მოდელი [მასალის მომზადება მეწყვილესთან თანამშრომლობით, პირველი ვარიანტის შექმნა, გადამუშავება (მეწყვილი დახმარებით), რედაქტირება, აუდიტორიის წინაშე წარდგენა].
<ol style="list-style-type: none"> 1. პოეტის შესახებ მოკლე ბიოგრაფიული მონაცემის მიმოხილვა; 2. ლექსის გამომეტყველებითი კითხვა; 3. ორმხრივ ჩანაწერთა დღიურის შედგენა; 4. ლექსიკონზე მუშაობა; 5. დისკუსია, საკუთარი მოსაზრებების წარდგენა ჯგუფში და მთელი კლასისთვის.
<ol style="list-style-type: none"> 1. დისკუსია (წყ.; ჯგ.); 2. სავარჯიშოების შესრულება (ინდ. ჯგ.) – № 1 4;
საკუთარ თავზე დამოუკიდებლად მუშაობა; სტრატეგიების შერჩევა მიზნის მისაღწევად.
წერის სტრატეგია – ხუთსაფეხურიანი მოდელი [თემის არჩევა და მასალის მომზადება, პირველი ვარიანტის შექმნა, გადამუშავება (მეწყვილის დახმარებით), რედაქტირება, აუდიტორიის წინაშე წარდგენა].
ტესტირება
ტექსტის დამოუკიდებლად კითხვა და ინფორმაციის ჩანიშვნა.

სარეკომენდაციო თემატურ – კალენდარული გეგმა

I თავი ზაფხულის არდადეგები დასრულდა

№	ტექსტი	ტექსტის ანალიზი		
1.	ნინო ბეზარაშვილი, ბიოგრაფ. „რა მალე გავიდა ზაფხული“	ტექსტის კითხვა, შინაარსის გააზრება (კითხვებზე პასუხი)	ლექსიკაზე მუშაობა	ნაწარმოების პერსონაჟი, №1,2
2.	„რა მალე გავიდა ზაფხული“	ტექსტის გააზრება	ქართული ენა და მისი დიალექტები; № 5;6	ნაწარმოების პერსონაჟი, №3
3.	„რა მალე გავიდა ზაფხული“	ტექსტის ანალიზი		
4.	წერა			
5.	ედიშერ ყიფიანი, ბიოგრ. ცნობები, „ყვინჩილა ღრუბლებში“ (I ნაწ.)	ტექსტის კითხვა; შინაარსის გააზრება; – კითხვებზე პასუხები	ლექსიკაზე მუშაობა	დღიური, №1,2
6.	„ყვინჩილა ღრუბლებში“ (I ნაწ.)	ტექსტის ანალიზი; კითხვებზე პასუხები	ლექსიკაზე მუშაობა	
7.	„ყვინჩილა ღრუბლებში“ (I ნაწ.)			დიალოგი, № 5, 6
8.	„ყვინჩილა ღრუბლებში“ (II ნაწ.)	ტექსტის შინაარსის გააზრება; კითხვებზე პასუხები	ლექსიკაზე მუშაობა, სიტყვის მნიშვნელობები, № 2	
9.	„ყვინჩილა ღრუბლებში“ (II ნაწ.)	ტექსტის ანალიზი;		ტექსტის დაყოფა მონაკვეთებად
10.	„ყვინჩილა ღრუბლებში“ (II ნაწ.)	ტექსტის ანალიზი;		ტექსტის დაყოფა მონაკვეთებად
11.	„ყვინჩილა ღრუბლებში“ (III ნაწ.)	ტექსტის კითხვა; შინაარსის გააზრება	ლექსიკაზე მუშაობა, სიტყვ. პირდ. და გადატ. მნიშვნ., № 3,4	
12.	„ყვინჩილა ღრუბლებში“ (III ნაწ.)			ავტორი და მთხრობელი, № 2, 3
13.	წერა			
14.	„ყვინჩილა ღრუბლებში“, (IV ნაწ.)	შინაარსის გააზრება	ლექსიკაზე მუშაობა, ხატოვ. გამოთქმა, № 2	
15.	„ყვინჩილა ღრუბლებში“ (IV ნაწ.)	ტექსტის თხრობა, ანალიზი		პერსონაჟების შედარება
16.	წერა			
17.	მურმან ლებანიძე, ბიოგრაფ. „წინ – მზისფერი სექტემბერი...“	ტექსტის კითხვა – გააზრება	ლექსიკაზე მუშაობა	

21 საათი

ტექსტის ანალიზი	წერა	საშინაო დავალება	სთ.
		ტექსტის II ნახევრის წაკითხვა	1 სთ.
		წერა – ამბის თხრობა პერსონაჟის პირით	1 სთ.
თხრობითი წინადადება, №7,8, 9, 10,11		სავარჯ. კრებ.(შერჩევით) №1,2,3, 5, 6, 7,8	1 სთ.
	საკუთარი გამოცდილების გაზიარება	თხზულების რედაქტ.	1 სთ.
		ტექსტის I ნაწ. დამოუკიდ. ბოლომდე წაკითხვა, წერა – № 2;	1 სთ.
კითხვითი წინადადება, № 3,4		სავარჯ. კრებ. №1,2,3	1 სთ.
		სავარჯ. კრებ. № 4	1 სთ.
		სავარჯ. კრებ. № 1	1 სთ.
		№1	1 სთ.
ბრძანებითი წინადად., № 3,4		სავარჯ.კრებ.: № 2	1 სთ.
		სავარჯ.კრებ.: № 1	1 სთ.
		№2	1 სთ.
	პერსონაჟი მთხრ. როლში	რედაქტირება	1 სთ.
		№ 1; სავარჯ. კრებ. № 1,2	1 სთ.
ძახილის წინად. № 3,4	ნაწყვეტის შინაარსი	სავარჯ. კრებ. № 3,4	1 სთ.
		რედაქტირება	1 სთ.
		წერა – ლექსის მიხედვით შინაარსი	1 სთ.

№	ტექსტი	ტექსტის ანალიზი		
18.	„წინ – მზისფერი სექტემბერი...“	ტექსტის ანალიზი; კითხვებზე პასუხები		ლექსი, № 1, № 2
19.	გამეორება			
20.	წერა			
21.	ტესტირება № 1			

II თავი მწერლები იგონებენ ბავშვობას

22.	აკაკი წერეთელი, ბიოგრაფ. „შიში“	კითხვებზე პასუხები	ლექსიკაზე მუშაობა; ანტონიმები, №2, 3	
23.	„შიში“	ტექსტის ანალიზი		მწერლის თავგადასავალი, № 1
24.	აკაკი წერეთელი, „მედიდურობა“	ტექსტის შინაარსის გააზრება	ლექსიკაზე მუშაობა;	
25.	„მედიდურობა“	ტექსტის ანალიზი;	სინონიმები, № 1,2,3,4	
26.	გამეორება			
27.	წერა			
28.	გიორგი ლეონიძე, ბიოგრაფ. „ჩვენი ჭერამი“	ტექსტის შინაარსის გააზრება	ლექსიკაზე მუშაობა	
29.	„ჩვენი ჭერამი“	ტექსტის ანალიზი; კითხვებზე პასუხები	ლექსიკაზე მუშაობა	მხატვრული შედარება, № 1
30.	„ჩვენი ჭერამი“	ტექსტის ანალიზი		
31.	„ჩვენი ჭერამი“	ანალიზი		
32.	წერა			
33.	გამეორება			
33.	წერა			
34.	ტესტირება № 2			
35.	შემაჯამებელი გაკვეთილი			

ტექსტის ანალიზი	წერა	საშინაო დავალება	სთ.
ღია და დახურული მარცვ. № 3, 4		სიტყვის დამარცვლა, სავ. კრ. № 3,4, 5, 6;	1 სთ.
სიტყვის გადატანის წესები		სავარჯ. კრებ. № 9, 10	1 სთ.
	პირადი გამოცდილ. გაზიარება	რედაქტირება	1 სთ.
	ტესტი	წერა – შთაბეჭდილება შესწავლილ ნაწარმოებებზე	1 სთ.

17 საათი

		სავარჯ. კრებულიდან № 1, 2, 3	1 სთ.
		წერა – ნაკითხულის გააზრება	1 სთ.
		წერა – თამაში „კურდღლობია“	1 სთ.
		სავარჯ. კრებ. № 1,2	1 სთ.
		„ჩემი თავგადასავალი“, კლასგარეშე კითხვა	1 სთ.
	საყვარელი თამაშის წესები	რედატირება	1 სთ.
		ტექსტის დამოუკიდ. კითხვა ბოლომდე	1 სთ.
		მოკლე შინაარსი	1 სთ.
არსებითი სახ. № 2		სავარჯ. კრებ. № 1	1 სთ.
არსებითი სახ. № 3,4,5,6		წერა – შინაარსი; სავარჯ. კრებ. № 2,3,4	
	ნაკითხ. გააზრება	რედაქტირება	1 სთ.
		ლექსი ზეპირად;	1 სთ.
		სავარჯ. კრებ. № 1,2,3,4,5	1 სთ.
		ლ. ასათიანის ლექსების კითხვა.	1 სთ.
	შთაბეჭდილება	რედაქტირება	1 სთ.
	ტესტი		1 სთ.
		გ. ლეონიძის ნაწარმოებ. კლასგარეშე კითხვა	1 სთ.

III თავი

სიტყვის ძალა

№	თექსტი	ტექსტის ანალიზი		
39.	ენის რაობა	შინაარსის გააზრება – № 1, 2, 3	ლექსიკაზე მუშაობა	
40.	ენის რაობა, ფუტკრის ცეკვა		ამრიგად, მაშასადამე, ერთი სიტყვით; № 6	
41.	ენის რაობა			
42.	ძმები გრიმები, ბიოგრაფ. „ჩიტბატონა“	ტექსტის ანალიზი – კითხვებზე პასუხი	ლექსიკაზე მუშაობა, ხმაბაძვითი სიტყვები, № 1, 2	
43.	„ჩიტბატონა“	ტექსტის ანალიზი;		
44.	წერა			
45.	რეზენტაცია			
46.	ბაბილონის გოდოლი	შინაარსის გააზრება – კითხვ. პასუხები;	ლექსიკაზე მუშაობა ბიბლიური ხატოვანი გამოთქმ. № 1	
47.	ბაბილონის გოდოლი			
48.	მუხრან მაჭავარიანი, ბიოგრ. „მრავალჭირვარამგადანახადი“	ტექსტის ანალიზი; კითხვებზე პასუხები	ლექსიკაზე მუშაობა	
49.	„მრავალჭირვარამგადანახადი“	ტექსტის ანალიზი		
50.	წერა			
51.	სულხან-საბა ორბელიანი, ბიოგრ. „მეფე და ავსიტყვა“	ტექსტის ანალიზი; კითხვებზე პასუხები	ლექსიკაზე მუშაობა; რთული სიტყვები, № 2,3	იგავ-არაკი, № 1
52.	„მეფე და ავსიტყვა“	ანალიზი	ლექსიკაზე მუშაობა	
53.	სულხან-საბა ორბელიანი, „უტკბესი და უმწარესი“	ტექსტის ანალიზი; კითხვებზე პასუხები	ლექსიკაზე მუშაობა	
54.	ნდაზა	ანდაზების ანალიზი; № 1, 2.		
55.	ნოდარ დუმბაძე, ბიოგრაფ., ნუგეში“, I	შინაარსის გააზრება – კითხვ. პასუხები;	ლექსიკაზე მუშაობა	
56.	„ნუგეში“ (I)	ტექსტის ანალიზი		
57.	ნოდარ დუმბაძე, „ნუგეში“ (II)	კითხვა, კითხვებზე პასუხი	ლექსიკაზე მუშაობა	
58.	ნოდარ დუმბაძე, „ნუგეში“ (II)	ტექსტის ანალიზი		

23 საათი

ტექსტის ანალიზი	წერა	საშინაო დავალება	სთ.
		№4 – მგლების გაზრდილი გოგონა.	1 სთ.
		სავარჯ. კრ. № 7; ინსტრუქც. გაცნობა – კედლის გაზეთი.	1 სთ.
არსებ. სახ. ბრუნება, № 8,9,10		სავარჯ. კრ. № 1, 2,3,4	1 სთ.
		წერა – კითხვაზე პასუხი; სავარჯ. კრ. № 1, 2, 3	1 სთ.
თანხმომავანფუძ. არსებ.სახ. № 3, 4, 5, 6		№ 7,8; სავარჯ. კრ. № 2,3	1 სთ.
	ტექსტების შედარება	რედაქტირება	1 სთ.
	კედლის გაზეთი		1 სთ.
			1 სთ.
არს. სახ. რიცხვი, № 2, 3, 4, 5		სავარჯ. კრებ. № 1, 2;	1 სთ.
		წერა – მოსაზრება; ლექსი ზეპირად.	1 სთ.
ხმოვანფუძ. კვეცადი არს.სახ., № 1,2,3, 4		სავარჯ. კრებ. № 1, 2, 3	1 სთ.
	ამბის გაგრძელება	რედაქტირება	1 სთ.
		სავარჯ. კრებ. № 1, 2	1 სთ.
უკვეცელი სახელები, № 4,5, 6		სავარჯ. კრებ. № 3,4	1 სთ.
კუმშვად-კვეცადი, № 1,2,3		სავარჯ. კრებ. № 1,2,3,4,5	1 სთ.
მართლწერა, № 2,3,4		სავარჯ. კრებ. № 1, 2, 3	1 სთ.
ნაწილაკი –მეთქი, № 1, 2		სავარჯ. კრებ. № 1, წერა –	1 სთ.
საკუთარი და საზოგადო სახელები, № 3,4,5,6;		სავარჯ. კრებ. № 2,3,4,5; თავგადასავალი	1 სთ.
ნაწილაკი -ო, № 1, 2		სავარჯ. კრებ. № 3	1 სთ.
საკუთარი სახელების ბრუნება, № 3,4; მიმართვა, № 5, 6, 7		სავარჯ. კრებ. № 4,5 ტექსტი თხრობით;	1 სთ.

№	თექსტი	ტექსტის ანალიზი		
59.	წერა			
60.	ტესტირება № 3			
61.	შემაჯავებელი გაკვეთილი			

IV ტაპი

ამეცყველებული ბუნება

62.	ვაჟა-ფშაველა, ბიოგრაფ. „შვლის ნუკრის ნაამბობი“, I;	ტექსტის კითხვა, შინაარსის გააზრება, კითხვებზე პასუხები	ლექსიკაზე მუშაობა	პერსონაჟის გარეგნობა № 1, 2
63.	„შვლის ნუკრის ნაამბობი“, I	ტექსტის ანალიზი	ომონიმები, № 4;	პერსონაჟის გარეგნობა № 3
64.	„შვლის ნუკრის ნაამბობი“, I;	ტექსტის ანალიზი		
65.	„შვლის ნუკრის ნაამბობი“, II	დამოუკიდებლად წაკითხული ტექსტის ანალიზი;		
66.	„შვლის ნუკრის ნაამბობი, III	ტექსტის კითხვა, შინაარსის გააზრება	ლექსიკაზე მუშაობა, ხატოვანი გამოთქმა, № 3	პერსონაჟის მოქმედების გარემო,
67.	„შვლის ნუკრის ნაამბობი“, III	ტექსტის ანალიზი		
68.	წერა			
69.	„შვლის ნუკრის ნაამბობი“, IV	ტექსტის კითხვა, კითხვებზე პასუხები	ლექსიკაზე მუშაობა	ეპითეტი, № 1
70.	„შვლის ნუკრის ნაამბობი“, IV	ტექსტის ანალიზი		
71.	„შვლის ნუკრის ნაამბობი“, V	შინაარსის გააზრება	ლექსიკაზე მუშაობა	
72.	„შვლის ნუკრის ნაამბობი“, V	ნაწარმოების ანალიზი		გაპიროვნება, № 1
73.	წერა			
74.	ტესტირება № 3			
75.	ოტია იოსელიანი, ბიოგრაფია; „კვიცი და მგელი“, I	ტექსტის კითხვა, შინაარსის გააზრება	ლექსიკაზე მუშაობა	

ტექსტის ანალიზი	წერა	საშინაო დავალება	სთ.
	მსჯელობა	რედაქტირება	1 სთ.
	ტესტი	ნ. დუმბაძის მოთხრობების კლასგარეშე კითხვა.	1 სთ.
			1 სთ.

39 საათი

		წერა გარეგნობის აღწერა;	1 სთ.
		სავაჯ. კრ. № 1,2	1 სთ.
ზედსართავი სახელი, № 6,7,8		II თავი – დამოუკიდ. კითხვა, კითხვების მომზადება; სავ. კრ. № 3, 4 წერა – დახასიათება	1 სთ.
წინადად. გავრცობა ზედ. სახ. № 1, 2		სავაჯ. კრებული № 1, 2. წერა – პირადი განწყობის გადმოცემა	1 სთ.
		№ 1, 2	1 სთ.
არს. სახ. წარმოქმნილი ზედ. სახ.; № 4, 5, 6, 7, 8		სავაჯ. კრებ. № 1, 2	1 სთ.
გარემოს აღწერა		რედაქტირება	1 სთ.
		ნაწყვეტის შინაარსი	1 სთ.
ზედ. სახ. ბრუნება, № 2, 3, 4, 5, 6		სავაჯ. კრებული № 1, 2;	1 სთ.
კითხვით-დახილის წინადადება № 2, 3		სავაჯ. კრებული № 1	1 სთ.
		რეალური ან გამოგონილი პერსონაჟის თავგადასავლის – წერა	1 სთ.
	თავგადასავალი	რედაქტირება	1 სთ.
	ტესტი		1 სთ.
		ამბის თხრობა პერსონაჟის პირით	1 სთ.

№	თექსტი	ტექსტის ანალიზი		
76.	„კვიცი და მგელი“, I	ტექსტის ანალიზი		
77.	„კვიცი და მგელი“, II	ტექსტის კითხვა, შინაარსის გააზრება	ლექსიკაზე მუშაობა მუშაობა მუშაობითი სიტყვ., № 1	
78.	„კვიცი და მგელი“, II	ტექსტის ანალიზი		
79.	„კვიცი და მგელი“, III	ტექსტის კითხვა, შინაარსის გააზრება	ლექსიკაზე მუშაობა	ეპითეტი, № 1, 2
80.	„კვიცი და მგელი“, III	ტექსტის ანალიზი		
81.	წერა			
82.	რეზო ინანიშვილი, ბიოგრაფია, „საკვირველი ამბავი ტყეში“	ტექსტის პაუზებით კითხვა	ლექსიკაზე მუშაობა	
83.	„საკვირველი ამბავი ტყეში“;	ტექსტის ანალიზი		ტექსტ.შემად. ნაწ. (გამეორ.); № 1,2, 3
84.	„საკვირველი ამბავი ტყეში“	ტექსტის ანალიზი		
85.	წერა			
86.	ტესტირება № 5			
87.	ცირა ქიტიაშვილი, „გაფრენილი ყვავილი“	ლექსის ანალიზი	ლექსიკაზე მუშაობა	
88.	„გაფრენილი ყვავილი“	ლექსის ანალიზი		
89.	წერა			
90.	გოდერძი ჩოხელი, ბიოგრაფია, „უფლისჩიტა“, I	ტექსტის კითხვა, შინაარსის გააზრება	ლექსიკაზე მუშაობა	
91.	„უფლისჩიტა“, I	ტექსტის ანალიზი		
92.	„უფლისჩიტა“, II	ტექსტის კითხვა, კითხვებზე პასუხ. შინაარსის გააზრება	ლექსიკაზე მუშაობა	
93.	„უფლისჩიტა“, II	ტექსტის ანალიზი		
94.	„უფლისჩიტა“, III	ტექსტის კითხვა, შინაარსის გააზრება		ტექსტის შემადგ. ნაწ.; № 1, 2
95.	„უფლისჩიტა“, III;	ტექსტის ანალიზი;		
96.	რეზენტაცია			

	წერა	საშინაო დავალება	სთ.
საგნის თვისების გამოხატვა მეტი ან ნაკლები ოდენობით; № 1,2, 3		წერა – ამბის თხრობა პერსონაჟის პირით; სავარჯ. კრებ. № 1	1 სთ.
		პირადი გამოცდილება, სავარჯ. კრებ. № 1	1 სთ.
პირის ნაცვალსახელი, № 2, 3, 4		კრებულში № 1, 2,3	1 სთ.
		წერა – თხრობა პერსონაჟის პირით	1 სთ.
ზმნა, № 1, 2		სავარჯ. კრებ. № 1, 2	1 სთ.
	სხვადასხვა ნაწარმ. პერსონ. შედარება	სავარჯ. კრებ. № 1	1 სთ.
მიმართვა, № 4		წერა – საკუთარი მოსაზრება	1 სთ.
ზმნის უღლება, № 5, 6, 7, 8		სავარჯ. კრებ. № 1,2,3,	1 სთ.
		ეპიზოდის შინაარსი	1 სთ.
	საკუთარი მოსაზრება	რედაქტირება	1 სთ.
	ტესტი	კლასგარეშე კითხვა	1 სთ.
		ლექსი ზეპირად	1 სთ.
კრებითი არს. სახ. № 1, 2		სავარჯ. კრებულში № 1, 2	1 სთ.
	ფანტაზიით წერა	რედაქტირება	1 სთ.
		წერა – შთაბეჭდილება	1 სთ.
რიცხვში მონაცვლე ზმნები № 1, 2		სავარჯ. კრ. № 1	1 სთ.
		წერა – შინაარსი	1 სთ.
ზმნის პირისა და რიცხვის ცვლა (გამეორება) № 1, 2, 3, 4		სავარჯ. კრებ. № 1, 2	1 სთ.
		სავარჯ. კრებ. № 3,	1 სთ.
ზმნის დრო № 1, 2		სავარჯ. კრებ. № 4;	1 სთ.
	თემა – ბუნება და დიდი ქალაქების მკვიდრნი		1 სთ.

№	თექსტი	ტექსტის ანალიზი		
97.	წერა			
98.	შემაჯამებელი გაკვეთილი			
99.	ტესტირება № 6			

V თაპი

მოსიყვარულე გული

100.	ხალხ. ლექსები: „ნანა“, „რაჭული იავნანა“	კითხვებზე პასუხები;	ლექსიკაზე მუშაობა	
101.	იაკობ გოგებაშვილი, ბიოგრაფ. „იავნანამ რა ჰქმნა?!“; „სოფელი ვაშლოვანი“	კითხვებზე პასუხები; ტექსტის ანალიზი	ლექსიკაზე მუშაობა	
102.	„ქეთოს იტაცებენ“	კითხვებზე პასუხი	ლექსიკაზე მუშაობა	პეიზაჟი – მოქმედ. გარემო, № 1
103.	„ქეთოს იტაცებენ“	ტექსტის ანალიზი		
104.	„მდედარი“	კითხვებზე პასუხი	ლექსიკაზე მუშაობა	
105.	„ქეთოს ნაიბი ყიდულობს“, „ქეთო ლექ ქალად იქცა“	კითხვებზე პასუხი	ლექსიკაზე მუშაობა	
106.	„ქეთოს ნაიბი ყიდულობს“, „ქეთო ლექ ქალად იქცა“	ტექსტის ანალიზი		
107.	წერა			
108.	„ამაო ცდა ქეთოს მამისა“, „ქეთოს მამა იტაცებს“	კითხვებზე პასუხი	ლექსიკაზე მუშაობა	
109.	„ამაო ცდა ქეთოს მამისა“, „ქეთოს მამა იტაცებს“	ტექსტის ანალიზი		
110.	„ქეთო საშინლად იტანჯება“	ტექსტის გააზრება – კითხვ. პასუხები;	ლექსიკაზე მუშაობა	
111.	„ქეთო საშინლად იტანჯება“	ტექსტის ანალიზი		
112.	წერა			
113.	„იავნანამ რა ჰქმნა?!“	ტექსტის გააზრება – კითხვ. პასუხები;	ლექსიკაზე მუშაობა	პეიზაჟი და პერსონაჟის განწყობილება
114.	„იავნანამ რა ჰქმნა?!“	ტექსტის ანალიზი;		

115.	„ქეთოს ბედნიერება“	ტექსტის კითხვა, კითხვებზე პასუხი	ლექსიკაზე მუშაობა,	
116.	„ქეთოს ბედნიერება“	შინაარსის გააზრება – კითხვებზე პასუხები;		

	წერა	საშინაო დავალება	სთ.
	თავგადასავალი	რედაქტირება	1 სთ.
		გ. ჩოხელის მოთხრობების კლასგარეშე კითხვა	1 სთ.
	ტესტი		1 სთ.

20 საათი

		მეგრული „იაენანა“, სვანური „იაენანა“	1 სთ.
ზედსართავი სახ.(გამეორება); № 1,2		სავარჯ. კრებ. № 1, 2	1 სთ.
			1 სთ.
სადაურობის ზედსართავი სახელები, № 2,3,4		სავარჯ. კრებ. № 1, აინფორმ. ტექსტის შექმნა	1 სთ.
დეფისიტ დანერილი რთული სიტყვები, № 1,2,3		სავარჯ. კრებ. № 1,2	1 სთ.
		წერა – შინაარსი	1 სთ.
კავშირი „მაგრამ“ № 1, 2		სავარჯ. კრებ. № 1, 2	1 სთ.
შინაარსის გადმოცემა პერსონაჟის პირით		რედაქტირება	1 სთ.
		სავარჯ. კრებ. № 1, 2;	1 სთ.
ზედსართავი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა, № 1,2,3,4		სავარჯ. კრებ. № 1, 2; დამოუკიდ. კითხვა – „ქეთოს საშინლად იტანჯება“	
		წერა – პერსონაჟის განცდები	1 სთ.

დროში მონაცვლე ზმნები, № 1, 2;		სავარჯ. კრებ. № 1	1 სთ.
	თვითშეფასება	რედაქტირება	1 სთ.
		პერსონაჟის განწყობა – № 1	1 სთ.
წინადადებების გავრცობა №3		სავარჯ. კრებ. №1; წერა – მოკლე შინაარსი	1 სთ.
		წერა – ამბის თხრობა პერსონაჟ. პირი	1 სთ.
ზმნის დრო(გამეორება), № 1, 2, 3		სავარჯ. კრებულები № 1, 2, 3;	1 სთ.

117.	წერა			
118.	ტექსტირება № 7			
119.	შემაჯ. გაკვეთილი			

VI ტაპი

ხამს სიბრძნისა გაგონება

120.	„თესლი და მთესველი“ (იესოს იგავი)	ტექსტის შინაარსის გააზრება – კითხვ. პასუხები	ლექსიკაზე მუშაობა	
121.	„თესლი და მთეს- ველი“	ტექსტის ანალიზი		
122.	სულხან-სა ბას „უკან მიდევნებული ლამპარი“	ტექსტის შინაარსის გააზრება – კითხვ. პასუხი	ლექსიკაზე მუშაობა	
123.	„უკან მიდევნებუ- ლი ლამპარი“	ტექსტის ანალიზი		
124.	ერლომ ახვლე- დიანი, ბიოგრაფ., „სიმდიდრის მოყვარული...“	ტექსტის ანალიზი	ლექსიკაზე მუშაობა	
125.	წერა			
126.	„ძე შეცდომილი“	შინაარსის გააზრება	ლექსიკაზე მუშაობა	
127.	„ძე შეცდომილი“	ტექსტის ანალიზი		
128.	ზღაპარი, „ორი ძმა“	ტექსტის ანალიზი	ლექსიკაზე მუშაობა	
129.	ეზოპე, ბიოგრაფ.; „იადონი“ „ყმაწვილი და მერცხალი“	ტექსტის ანალიზი; კითხვებზე პასუხები	ლექსიკაზე მუშაობა	იგავ-არაკი, № 1
130.	წერა			

131.	ივანე კრილოვი, ბიოგრაფ. „ალმასი და სიპი ქვა“	შინაარსის გააზრება	ლექსიკაზე მუშაობა	
132.	„ალმასი და სიპი ქვა“	ტექსტის ანალიზი		
133.	ალექსი მირიანაშვილი, „სამი უნარი“	შინაარსის გააზრება	ლექსიკაზე მუშაობა	
134.	„სამი უნარი“	ტექსტის ანალიზი	ლექსიკაზე მუშაობა	
135.	წერა			
136.	ილია ჭავჭავაძე, ბიოგრაფ.; „დამაკვირდი“	ტექსტის გააზრება – კითხვებზე პასუხები	ლექსიკაზე მუშაობა	აფორიზმი, № 1,2
137.	„დამაკვირდი“	ანალიზი		
138.	წერა			
139.	ტესტირება № 8			
140.	შემაჯამებელი გაკვეთილი			

	მოსაზრება	რედაქტირება	1 სთ.
		ი. გოგებაშვილის მოთხრ. კლასგარეშე კითხვა	1 სთ.
		ი. გოგებაშვილის მოთხრ. კლასგარეშე კითხვა	1 სთ.

21 საათი

		წერა – მოსაზრება	1 სთ.
ზმნისაგან წარმოქმნილი სიტყვები, № 1,2		სავარჯ. კრებ № 1,2	1 სთ.
		ტექსტის მოკლე შინაარსი	1 სთ.
დროის გამოხატვა ზმნისაგან წარმოქმნილ სიტყვებში, № 1,2,3		სავარჯ. კრ. № 1, 2, 3, 4	1 სთ.
რთული სიტყვები (გამეორება) № 1, 2, 3,4		სავარჯ. კრ. № 1,2,3, 4, 5	1 სთ.
	მოსაზრება	რედაქტირება	1 სთ.
ზმნისაგან წარმოქმნილი სიტყვები, № 1		წერა – მოსაზრება	1 სთ.
კუთხილებითი ნაცვალსახელები, № 2, 3,4		სავარჯ. კრებ № 1, 2, 3, 5, 6	1 სთ.

წინადადების გავრცობა, № 1, 2		სავარჯ. კრებ. № 1; წერა – მსჯელობა	1 სთ.
სახელისაგან წარმოქმნილი ზმნები, № 2,3,4		სავარჯ. კრებ. № 1, 2	1 სთ.
	ამბის გავრცობა	რედაქტირება	1 სთ.
		წერა – ლექსად დაწერილი იგავის შინაარსის პროზაულად გადმოცემა	1 სთ.
არს. საბ. ბრუნება სხვა სიტყვ. ერთად; № 1, 2, 3, 4		სავარჯ. კრებ. № 1	1 სთ.
რიცხვითი სახელი, № 1, 2, 3, 4		სავარჯ. კრებ. № 1,2,3; წერა-დიალოგი მესამე პირში	1 სთ.
რიცხვითი სახელი, № 5, 6, 7, 8		სავარჯ. კრებ. № 4,5	1 სთ.
	ანკეტი	ანკეტის შედგენა	1 სთ.
		აფორიზმები ზეპირად	1 სთ.
კავშირი „თუ“, № 3, 4		სავარჯ. კრებ. № 1, 2	1 სთ.
	შეჯამება	ნაწერის რედაქტირება	1 სთ.
		კლასგარეშე კითხვა	1 სთ.
		კლასგარეშე კითხვა	

VII თავე

რა არის სამშობლო?

№	თექსტი	ტექსტის ანალიზი		
141.	ნოდარ დუმბაძე, „სამშობლო“	შინაარსის გააზრება – კითხვებზე პასუხები;	ლექსიკაზე მუშაობა ვარაუდის გამოძახატ. სიტყვები, № 4, 5	ციტატა, № 1, 2
142.	ნოდარ დუმბაძე, „სამშობლო“	ტექსტის გააზრება		
143.	წერა			
144.	ლევან სანიკიძის, „ზეობა ფარნავაზისა“	შინაარსის გააზრება – კითხვებზე პასუხები;	ლექსიკაზე მუშაობა	
145.	„ზეობა ფარნავაზისა“		ლექსიკაზე მუშაობა	მზის ძალა, № 1
146.	ზეობა ფარნავაზისა – გამეორება			
147.	თამარის გამეფება, ხალხური ლექსები	შინაარსის გააზრება	ლექსიკაზე მუშაობა	

148.	თამარის მეფობა, ხალხური ლექსები	კითხვებზე პაუზები		აბზაცი, № 1, 2
149.	რეზენცია			
150.	შოთა რუსთაველი ბიოგრაფ.	კითხვებზე პაუზები	ლექსიკაზე მუშაობა	
151.	შოთა რუსთაველი, როსტევეანისა და მისი ვეზირების თათბირი	წასაკითხად მიცემული სტროფების შინაარსის გააზრება	ლექსიკაზე მუშაობა	აფორიზმი (გამეორება)
152.	როსტევეანისა და მისი ვეზირების თათბირი	შინაარსის გააზრება	ლექსიკაზე მუშაობა	ეპითეტი (გამეორ.) № 1, 2
153.	თინათინის გამეფება	შინაარსის გააზრება	ლექსიკაზე მუშაობა	
154.	თინათინის გამეფება	შინაარსის გააზრება		
155.	მამის დარიგება	შინაარსის გააზრება	ლექსიკაზე მუშაობა	აფორიზმი (გამეორება)
156.	მამის დარიგება	ტექსტის ანალიზი		
157.	რეზენცია			
158.	გამეორება			
159.	შოთა ნიშნინიძე, ბიოგრაფ., ციხე-ტაძართა საგალობელი“.	ლექსის გააზრება	ლექსიკაზე მუშაობა რთული სიტყვ. № 1, 2	
160.	„ციხე-ტაძართა საგალობელი“.	ტექსტის ანალიზი		

40 საათი

	წერა	საშინაო დავალება	სთ.
		წერა – დიალოგის გადმოცემა III პირში; სავარჯ.	1 სთ.
წინად. შეერთება კავშირებით, № 3, 4, 5		სავარჯ. კრებ. № 1	1 სთ.
	წაკითხ. გააზრება	რედაქტირება	1 სთ.
		ტექსტის ბოლომდე კითხვა დამოუკიდ.	1 სთ.
		წერა – მოკლე შინაარსი; № 2	1 სთ.
რიცხვითი სახ. ბრ. არს. სახ. ერთად, № 3, 4		სავარჯ. კრებული №1, 2	1 სთ.

		კითხვ. პასუხი; პრეზენტაც. მზადება	1 სთ.
რაოდ. გამომხატვ. სიტყვ. და არს. სახ. № 3, 4		სავარჯ. კრებ. № 1, 2	1 სთ.
	ინფორმაციული ტექსტი ისტ. პირზე		1 სთ.
		წაკითხულის გააზრება	1 სთ.
		წერაშინაარსი	1 სთ.
		წერა – შინაარსი	1 სთ.
		წერა – შინაარსი	1 სთ.
სახელის მრ. რ. № 1, 2, 3		სავარჯ. კრებ. № 1, 2, 3	1 სთ.
		წერა – შინაარსი	1 სთ.
ვითარ. აღმნიშვ. სიტყვები, № 1		სავარჯ. კრებ. № 1, 2, 3	1 სთ.
	ტექსტები შედარება	რედაქტირება	1 სთ.
		„ვეფხისტყ.“ დამ. კითხვა	
		სავარჯ. კრ. № 1 პრეზენტაციისათვის მზადება	1 სთ.
ყოლა-ქონებისა და გრძნ.-აღქმ. ზმნები, № 3, 4		სავარჯ. კრებ. № 1, 2, 3	1 სთ.

161.	რეზენტაცია			
162.	გურამ რჩეულიშვილი, ბიოგრ. „უსახე- ლო უფლისციხელი“	შინაარსის გააზრება	ლექსიკაზე მუშაობა	
163.	„უსახელო უფლის- ციხელი“	კითხვებზე პასუხები	ლექსიკაზე მუშაობა	
164.	„უსახელო უფლის- ციხელი“	ტექსტის ანალიზი		
165.	მურმან ლებანიძე, „ყველას! ყველას! ყველას!“	შინაარსის გააზრება	ლექსიკაზე მუშაობა	
166.	წერა			
167.	„ყველას, ყველას, ყველას!“	ანალიზი		
168.	რეზენტაცია			

169.	შემაჯამებელი გაკვეთილი			
170.	ქეთევან ჭილაშვილი, ბიოგრაფ. „ურჩა“	კითხვებზე პასუხები	ლექსიკაზე მუშაობა	
171.	„ურჩა“	ანალიზი	ლექსიკაზე მუშაობა	
172.	წერა			
173.	მ. მაჭავარიანი, „ვითარცა მტკვარი“	კითხვებზე პასუხი	ლექსიკაზე მუშაობა	პოეტური გამეორება, № 1
174.	„ვითარცა მტკვარი“			
175.	წერა			
176.	ამეორება			
177.	შემაჯამებელი გაკვეთილი			
178.	წერა			
179.	ტესტირება № 9			
180.	გამეორება			

	ინფორმაც. ისტ. ძეგლის შესახებ		1 სთ.
		სავარჯ. კრებ. № 1, 2, 3; წერა – თავგადასავალი	1 სთ.
თანდებულები, № 1, 2		სავარჯ. კრებ. № 1, 2	1 სთ.
		წერა – თავგადასავალი	1 სთ.
		კითხვებზე პასუხი	1 სთ.
	აღწერა	რედაქტირება	1 სთ.
ყოლა-ქონებისა და უყოლობაუქონლობის გამომხატვ. ზედ. სახ. № 1, 2, 3, 4, 5, 6.		სავარჯ. კრ. № 1, 2, 3 პრეზენტაც. მომზადება.	1 სთ.
	გზამკვლევი	გამეორება	1 სთ.
		ტექსტის წაკითხვა ბოლომდე	1 სთ.
		სავარჯ. კრ. № 1, 2, 3	1 სთ.
სიტყვების ჩანაცვლება ნაცვალსახელე- ბით, № 1, 2		სავარჯ. კრ. № 1	1 სთ.
	პერსონაჟის თავგადასავალი	რედაქტირება	
		ლექსი ზეპირად	1 სთ.

ზმნის დრო (გამეორება), № 2, 3, 4		სავარჯ. კრ. № 1,2 წერა – შთაბეჭდილება	1 სთ.
	თავისუფალი წერა	რედაქტირება	1 სთ.
			1 სთ.
		კლასგარეშე კითხვა	
	შეფასება	რედატირებას	1 სთ.
	ტესტი	კლასგარეშე კითხვა	1 სთ.
		კლასგარეშე კითხვა	1 სთ.

ინტერაქტიური სწავლების ამოსავალი დავალებები

კრიტიკული აზროვნება რთული შემეცნებითი პროცესია, რომელიც იწყება ინფორმაციის აღქმა-გააზრებით და დასკვნების გამოტანით მთავრდება.

კრიტიკული აზროვნება გულისხმობს ინფორმაციის საფუძვლიან გაცნობიერებას, ცნების შინაარსის გააზრებასა და მისი არსის კვლევას, დამოუკიდებელი თვალსაზრისის ჩამოყალიბებას, სხვათა აზრის პატივისცემასა და მასთან სარწმუნო დებულებებით დაპირისპირებას, პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავებას. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ ინფორმაციის მიკვლევა, მსგავსი აზრებიდან ყველაზე გონივრულის ამორჩევა, მისი სიღრმისეული განხილვა, შემეცნებითი და პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტა, ახალი აზრებისა და მონაცემების სათანადო კონტექსტისათვის მორგება. ისინი უნდა ჩამოყალიბდნენ კრიტიკულად მოაზროვნე, მკვლევარ ადამიანებად. ამიტომ მათ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ გაკვეთილის მსვლელობაში – თანაკლასელებსა და მასწავლებელს გაუზიარონ საკუთარი აზრები, ჩაებნენ დისკუსიაში.

აქედან გამომდინარე, საკლასო ოთახი მასწავლებლისა და მოსწავლის თანამშრომლობის ძირითადი ადგილია, სადაც ხდება მოსწავლეთა ინტელექტუალური სტიმულირება, სადაც თავისუფლად შეიძლება ნოვატორული აზროვნება და განსხვავებული მოსაზრებების გამოთქმა. მასწავლებელმა კარგად უნდა გაიაზროს, რამდენად მნიშვნელოვანია გაკვეთილზე **განსხვავებული აზრისა** და გამოცდილების არსებობა. მან მოსწავლეებს უნდა შეუქმნას შესაბამისი პედაგოგიური გარემო. მათ უნდა მიეცეთ დრო და საშუალება კრიტიკული აზროვნებისა და მსჯელობისათვის. მასწავლებელმა უნდა გამოიწვიოს მოსწავლე, რათა იგი აქტიურად ჩაებას სასწავლო პროცესში; მისცეს მას იმის რწმენა, რომ აქვს კრიტიკულად მსჯელობის უფლება და უნარი. მასწავლებელმა უნდა დააფასოს მოსწავლის კრიტიკული აზროვნება.

სწავლების საწყის ეტაპზე მოსალოდნელია მოსწავლეთა პასიურობა. ამას მრავალი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს – მათ აბნევთ დასმული შეკითხვა, ფრთხილობენ, კამათში არ ერთვებიან, დუმან. საჭიროა, მასწავლებელმა ხელი შეუწყოს მოსწავლეთა გააქტიურებას, გამოხატოს პატივისცემა მათი აზრის მიმართ, რითაც ნაახალისებს და გამბედაობას შეჰმატებს მათ. მოსწავლეს ასეთ პირობებში განუმტკიცდება საკუთარი ღირსების რწმენა, რაც მასში თვითპატივისცემას, თვითდაფასებას გამოიწვევს და პასუხისმგებლობის გრძნობას აუმაღლებს. ეს კი აუცილებელია თავისუფალი, კრიტიკული აზროვნებისათვის.

მოსწავლის აქტივობას შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ზემოქმედება განაპირობებს. მოსწავლის აქტივობისათვის საჭიროა, რომ მას შესაბამისი ინტელექტუალური მოთხოვნილება გაუჩნდეს. ინტელექტუალური მოთხოვნილების, ანუ შინაგანი ფაქტორის, დაკმაყოფილება კი გაკვეთილზე შექმნილმა გარემომ, ანუ გარეგანმა ფაქტორმა უნდა უზრუნველყოს. გაკვეთილზე უნდა შეიქმნას ისეთი ატმოსფერო, რომ შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ერთდროული, მიზანმიმართული ერთიანობით მოსწავლის სასწავლო განწყობა გამოიწვიოს. ამასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვათა აზრის მოსმენის, დიალოგში ჩაბმის, ნაფიქრალის დახვეწის უნარი.

სწავლის მოტივი პირდაპირ განსაზღვრავს მოსწავლის გონებრივი აქტივობის დონესა და მიმართულებას. მას უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული და დამაჯერებელი პასუხი კითხვაზე – რატომ ვხარჯავ დროსა და ენერგიას? სხვა ფაქტორებთან ერთად მოსწავლე სასწავლო პროცესმა უნდა მიიყვანოს იმ დასკვნამდე, რომ იგი ცოდნის მიღებისკენ ისწრაფვის, შემეცნებითი ინტერესების დაკმაყოფილება სურს, იმაზე მეტის ცოდნა უნდა, ვიდრე აქამდე იცოდა; უნდა ესმოდა, რომ მიღებულ ცოდნას ახალი ცოდნის დაუფლებისათვის გამოიყენებს. აღმოჩენის

¹ ერთობლივად სწავლა – მომზადებულია პროექტისათვის „კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისათვის“, სახელმძღვანელო V, ჯ. ლ. სთილი, ქ. ს. მერედითი და ჩ. თემფლი, ქართული თარგმანი, (გვარების თარგმანისეული ორთოგრაფია დაცულია, – თ. ბ.) გვ. 5, 13-14.

სიხარული მოსწავლეში მოვლენებისა და ფაქტების მიმართ ხშირად განსხვავებულ დამოკიდებულებას დაბადებს, რაც ყველაზე ღირებულია სასწავლო პროცესში. სწორედ ამიტომ გზა, რომლითაც მოსწავლე სწორ პასუხამდე მიდის, ყველაზე მეტად ფასობს.

ინტერაქტიური სწავლების ორგანიზება

ინტერაქტიური მეთოდი გაკვეთილზე მასწავლებელსა და მოსწავლეთა შორის ჰარმონიულ, თანამშრომლობით ურთიერთობაზეა დამყარებული. ეს ურთიერთპატივისცემის, მეგობრობისა და სასიამოვნო ატმოსფეროს შექმნას გულისხმობს. ინტერაქტიული მეთოდი ითვალისწინებს მოსწავლეთა აქტიურ ჩაბმას სწავლების პროცესში, რაც ხორციელდება პრობლემური სიტუაციების შექმნით, ლოგიკური დავალებების შესრულებით, ევრისტიკული საუბრებით, ძიებითი მეთოდის გამოყენებით, რითაც მასწავლებელი აღწევს მოსწავლეთა მიერ ცოდნის შეგნებულად ათვისების დიდაქტიკური პრინციპის რეალიზაციას, მოსწავლეთა შემეცნებითი ძალების განვითარებას.

ინტერაქტიური სწავლებისას მოსწავლეთა სასწავლო-შემეცნებითი მოქმედება პრობლემური სიტუაციის პირობებში უნდა წარიმართოს: მასწავლებელი ნაწილობრივ ან სრულად წარმოსახავს ენობრივ ფაქტებს, მაგრამ არ ხსნის მასში ჩაქსოვილ მიზეზშედეგობრივ კავშირებს, კანონზომიერებებს, ქმნის პრობლემურ სიტუაციას კითხვების დასმით: რატომ? თქვენ როგორ ფიქრობთ? რომელი არგუმენტებით დაასაბუთებთ თქვენს აზრს? რატომ არის ეს საკითხი მნიშვნელოვანი? და ა.შ. ახდენს პროვოცირებას, წააქეზებს მოსწავლეებს, რომ მათ დამოუკიდებლად (მასწავლებლის ხელმძღვანელობით) მოიძიონ მიზეზშედეგობრივი კავშირები, აქტიური გონებრივი მოქმედებით, ლოგიკური მსჯელობის გზით, ადრე მიღებული ცოდნის საფუძველზე გამომუშავებული უნარ-ჩვევების გამოყენებით გადაწყვიტონ წამოჭრილი პრობლემა, უპასუხონ ლოგიკური დავალებით დასმულ კითხვას, გააკეთონ დასკვნები, განაზოგადონ.

გაკვეთილზე პრობლემის წამოჭრა და პრობლემური სიტუაციის შექმნა განაპირობებს სწავლების მაღალ მეცნიერულ დონეს, მოსწავლეთა აქტიურ შემეცნებით ქმედებას, ძიებითი, ლოგიკური, კრიტიკული აზროვნების განვითარებას. მასწავლებელმა პრობლემურობას შეიძლება მიმართოს ყველა გაკვეთილზე, როგორც სახისაც უნდა იყოს იგი – ახალი მასალის გადაცემის, გამეორების, ცოდნის მიღების, შემოქმედებითი თუ კომბინირებული.

ცხადია, გასათვალისწინებელია, რამდენად იძლევა ამის საშუალებას გაკვეთილის თემა, მოსწავლეთა მომზადების დონე, მათი მზადყოფნა – გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემური საკითხი. ყველა გაკვეთილი უნდა შეიცავდეს ლიტმცოდნეობითი და ენობრივი პრობლემის გადაჭრის ელემენტებს, ვინაიდან თეორიული ან პრაქტიკული პრობლემის აღქმისა და გადაწყვეტის მცდელობა შემეცნებითი და კრიტიკული აზროვნების გააქტიურების საშუალებაა.

მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება ხდება სწორედ ცოდნის მიღების პროცესში. იგი იზრდება მოსწავლეთა ასაკისა და გონებრივი განვითარების კვალდაკვალ. მათი ემოციებით აღსავსე აზროვნებისა და შემეცნების ძირითადი თვისებაა დინამიკურობა, რაც მათ მრავალფეროვან შემეცნებით აზროვნებას ააქტიურებს, აძლიერებს გონებას, სტიმულს აძლევს მათი კვლევითი ინტერესების გაღრმავებასა და სასწავლო უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

შედეგები-აზროვნების სამფაზიანი მოდელი

გაკვეთილი, რომელიც სწავლების აქტიური მეთოდებით ტარდება, სამი ფაზისაგან შედგება:

I. პროვოცირება (გამოწვევა) – ამ ეტაპზე მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, გონებაში აღადგინონ ის ცოდნა, რომელიც ადრე მიიღეს განსახილველი ან მისი მომიჯნავე საკითხების შესახებ, რაც საფუძველად უნდა დაედოს ახალი ინფორმაციის გაზრებასა და შეფასებას. ამ ფაზაზე შესასწავლი საკითხი წამოიჭრება პრობლემის სახით, განისაზღვრება ამოცანა.

II. წვდომა – მოსწავლეები ეცნობიან ახალ ინფორმაციას, ამდიდრებენ ცოდნას, ეძებენ პასუხს დასმულ კითხვაზე.

III. გააზრება (რეფლექსია) – ამ ფაზაზე მოსწავლე გააზრებს მიღებული ახალი ცოდნის მნიშვნელობას, ახდენს მის ინტერპრეტაციასა და განზოგადებას, რათა შეძლოს შემდგომში ცოდნის განვრცობა და მისი სხვა საკითხებთან დაკავშირება.

აზროვნების განვითარების ეს სისტემა არ არის სწორხაზოვანი. იგი ციკლებისაგან შედგება. პროვოცირება იწვევს წვდომას, რაც თავისთავად ბადებს ახალ კითხვებსა და წამოჭრის ახალ პრობლემებს.²

კრიტიკული აზროვნების განვითარების ხელშეწყობი მეთოდები

ნუსხის შედგენა

მოსწავლეები შეადგენენ იმ საკითხების ნუსხას, რომლებიც, მათი აზრით, უკავშირდება მასწავლებლის მიერ დასახელებულ თემას. საკითხების ჩამონათვალმა შეიძლება სქემის სახეც მიიღოს.

აზრების ასოციაციური დაკავშირება

ამ მეთოდის გამოყენებით მასწავლებლისათვის უმოკლეს დროში გასაგები გახდება, რა იცის ცალკეულმა მოსწავლემ ან მთლიანად ჯგუფმა კონკრეტული საკითხის შესახებ.

აზრების ასოციაციური დაკავშირებისათვის შედეგა სქემა შემდეგი თანმიმდევრობით: ა) შუაში, წრეში, ინერება ძირითადი საკითხი: ბ) მის გარშემო დაინერება ყველაფერი, რაც გაახსენდება მოსწავლეს, კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით. გ) ხაზებით კი შეერთდება ის ფრაზები, რომელთა შინაარსი გარკვეული ნიშნით უკავშირდება ერთმანეთს.

ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე

პროვოცირების ეტაპზე მოსწავლეებმა სქემის პირველი („ვიცი“) და მეორე („მინდა ვიცოდე“) სვეტები უნდა შეავსონ. მოსწავლეები ჩამოწერენ თეზისების სახით, ყველაფერს, რაც იციან ან სურთ, იცოდნენ მითითებულ თემის შესახებ.

ვიცი	მინდა ვიცოდე	ვისწავლე

სქემის მესამე სვეტს მოსწავლეები შეავსებენ მასალის შესწავლის შემდეგ.

ფიქრი, პარტნიორობა მსჯელობა, გაზიარება

პარტნიორობი ეხმარებიან ერთმანეთს თავისი აზრის ჩამოყალიბებასა და კითხვაზე პასუხის გაცემაში. პროვოცირების ეტაპზე დასმულმა კითხვებმა მოსწავლეს უნდა აღუძრას ინტერესი,

² დანვრილებით იხ. კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობი მეთოდები, მომზადებულია პროექტისათვის „წერა-კითხვა კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის“, სახელმძღვანელო II.

სწორი პასუხის მიღებისათვის გაიხსენოს ის საკითხები, რომლებიც არსობრივად უკავშირდება საძიებელ პრობლემას.

ურთიერთსწავლა

მოსწავლე ჯგუფის წევრებს უხსნის ან ასწავლის იმას, რაც თავად იცის (ისწავლა). შეაჯამებს მასალას, მოიფიქრებს კითხვებს, განმარტავს ბუნდოვან საკითხებს, ე.ი. მოსწავლე ასრულებს მასწავლებლის როლს გაკვეთილის გარკვეულ ეტაპზე თანაკლასელთა ცალკეულ ჯგუფთან.

ორმხრივ ჩანანერთა დღიური

მოსწავლე ვერტიკალური ხაზით ყოფს ფურცელს ორ ნაწილად. მარცხენა მხარეს წერს მისთვის მნიშვნელოვან საკითხს, ფურცლის მარჯვენა მხარეს – ამ საკითხის სათანადო კომენტარს, ინტერპრეტაციას.

გამდიდრებული ლექცია

მასწავლებელი იწყებს „ლექციას“ მეხსიერების პროვოცირების სავარჯიშოთი, რითაც თავს უყრის იმ ცოდნას, რაც აქვთ მოსწავლეებს მოცემული საკითხის შესახებ. ლექციის მსვლელობისას იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, დასვან კითხვები და განიხილონ წარმოდგენილი თემა.

თხრობა პრობლემური საკითხების წინ წამოწევით

თხრობა პრობლემური საკითხების წინ წამოწევით ჩვეულებრივი თხრობითი მეთოდის გაუმჯობესებული სახეა. ამ მეთოდით მასწავლებლის მიერ გადაცემულ მასალას თან სდევს კითხვები: რატომ? რა იყო ამის მიზეზი? თქვენ როგორ ფიქრობთ? და ა.შ. დასმული კითხვები მოსწავლეებს ავალებს, რომ დამოუკიდებლად, მსჯელობის გზით, კრიტიკულად გაიაზრონ შექმნილი ვითარება, გამოთქვან საკუთარი აზრი.

მასწავლებელი მოსწავლეს მიანვდის მხოლოდ ფაქტობრივ მასალას, აღწერს ფაქტებს, მოვლენებს, მოსწავლეები კი დასკვნებს, განზოგადებებს დამოუკიდებლად, ადრე მიღებული ცოდნისა და ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე აკეთებენ.

გამოვყოფთ პრობლემური თხრობის რამდენიმე დონეს:

1. მასწავლებელი გადასცემს ინფორმაციას, სვამს პრობლემას და მოსწავლეებს აქტიურად რთავს მის გადანყვეტაში.

2. მასწავლებელი გადასცემს ინფორმაციას, სვამს პრობლემას და მხოლოდ წარმართავს, ხელმძღვანელობს, მიმართულებას აძლევს მოსწავლეთა მსჯელობას; აზუსტებს მათ მიერ გამოთქმულ შეხედულებებს, მოსაზრებებს, დასკვნებს, განზოგადებებს.

3. მასწავლებელი გადასცემს ინფორმაციას, მოსწავლეები თვითონ გამოკვეთენ პრობლემას და ეძებენ მისი გადანყვეტის გზებს ანალიტიკური, განზოგადებული მსჯელობის გზით, მასწავლებლის ხელმძღვანელობით თვითონ „აღმოაჩინენ“ სიახლეს, მოვლენათა და ფაქტებს შორის კანონზომიერ კავშირურთიერთობებს.

4. მასწავლებელი სვამს პრობლემას, მოსწავლეები მოიძიებენ შესაბამის ინფორმაციას, დისკუსიის საგანი ხდება მისი არა მარტო შინაარსი, არამედ წამყვანი იდეა, ძირითადი საკითხები. მოსწავლეთა ინტერაქტიული მოქმედება უმაღლეს დონეს აღწევს.

ამასთან გასათვალისწინებელია ერთი, მეტად მნიშვნელოვანი დიდაქტიკური დებულება: მასწავლებლის მიერ გადაცემული ინფორმაცია, დასმული, წამოჭრილი პრობლემის სირთულე უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეთა შემეცნებით შესაძლებლობებს და რამდენადმე აღემატებოდეს მათ, რომ თანდათან, ეტაპობრივად განვითარდეს მათი ანალიტიკური, ლოგიკური, კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები.

1-ლი გაკვეთილი (45 წთ.)

გაკვეთილის თემა

ნინო ბეზარაშვილი, „რა მალე გავიდა ზაფხული“ (ტექსტის ნაწილი);
ბიოგრაფიული ცნობები; სიტყვების განმარტება; ნაწარმოების პერსონაჟი.

მიზნები:

- მოსწავლემ შეძლოს:** 1. ინფორმაციის მოსმენა, ტექსტის დამოუკიდებლად კითხვა, კონტექსტის მიხედვითა და ლექსიკონის გამოყენებით სიტყვების მნიშვნელობების დაზუსტება და სწორად გააზრება.
2. ტექსტში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ნაწარმოების პერსონაჟების თვისებებზე მსჯელობა;
3. ტექსტის ენობრივ-სტილურ თავისებურებებზე დაკვირვება.
4. მეწყვილესთან საკომუნიკაციო ამოცანების განხორციელება – საკუთარი გამოცდილების გაზიარება.

რესურსი: სახელმძღვანელო; მწერლის ბიოგრაფიის ამსახველი ფოტოები.

გაკვეთილის მსვლელობა

აქტივობები:

I. სამოტივაციო აქტივობები ტექსტის წაკითხვამდე:

1. მასწავლებელი საუბრობს გაკვეთილის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებზე.
2. მოსწავლეები საუბრობენ საკუთარ გამოცდილებაზე მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების მიხედვით: სად გაატარეთ ზაფხულის არდადეგები? რით იყო გამორჩეული ზაფხული? როგორი განწყობით შეხვდით ახალ სასწავლო წელს? (წყვ.; ინდივ.)
3. ტექსტთან დაკავშირებული ილუსტრაციების დათვალიერება და ვარაუდის გამოთქმა, თუ რის შესახებ იქნება მოთხრობილი ტექსტში (წყვ.).
4. საუბარი ნინო ბეზარაშვილის ბიოგრაფიის შესახებ.

2 წთ.

6 წთ.

II. ტექსტის გააზრება (პირველ გაკვეთილზე დამუშავდება ტექსტის

2 წთ.

ნახევარი):

2 წთ.

1. ტექსტის მოსმენა – კითხულობს მასწავლებელი ტექსტის რამდენიმე აბზაცს.
2. შეკითხვებით მოწმდება, რამდენად კარგად გაიგეს და დაიმახსოვრეს ტექსტის წაკითხული მონაკვეთის ძირითადი დეტალები. კონტექსტით და ლექსიკონით განიმარტება უცნობი სიტყვები (**მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს წიგნის ბოლოს დართული ლექსიკონის აგების პრინციპსა და სარგებლობის წესს**).

სავარაუდო კითხვები ტექსტის გასააზრებლად:

- ვინ არის ავტორი?
- სად ხდება მოქმედება?
- ვის შესახებ გვიამბობს ავტორი?
- როგორი განწყობილება აქვს ბებიას ნაწარმოების დასაწყისში? შეიცვალა თუ არა ეს განწყობილება ამ მონაკვეთის კითხვისას. დაიმონმეთ ტექსტი.
- მოძებნეთ ის სიტყვები, რომლებითაც ავტორი აცნობს მკითხველს თათელა ბებიის განწყობილებას.

3. ტექსტს კითხულობენ მოსწავლეები პაუზებით; მასწავლებლის მიერ დასმული კითხვებით ყურადღებას ამახვილებენ იმ დეტალებზე, რომლებიც პერსონაჟების თვისებებს წარმოაჩენენ. კითხვები ითვალისწინებს როგორც ტექსტის შინაარსის ინტერპრეტაციას, ისე სიტყვების განმარტებას.

სავარაუდო კითხვები ერთ-ერთი მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ:

- რას ნიშნავს სიტყვა „გაკნაჭული“? რაზე ამახვილებს ავტორი ყურადღებას ამ სიტყვით?
- შვილიშვილის რა საქმიანობა გაიხსენა ბებია?
- როგორ ახასიათებს ბებია ბიჭს? და ა. შ.

4. მასწავლებელი განმარტავს ტერმინს „პერსონაჟი“ და კითხვების დახმარებით ამახვილებს მოსწავლეთა ყურადღებას ამ საკითხზე: **5 წთ.**

რამდენი პერსონაჟი ანუ მოქმედი პირია ტექსტის ამ მონაკვეთში?

რას ვიგებთ თითოეულის შესახებ? (მოსწავლეები საუბრობენ და იმონებენ ტექსტს).

III. შეფასება – ჩართულობა (დაკვირვებით); სწორი, სწრაფი, შეგნებული კითხვის, დამოუკიდებელი მსჯელობის უნარ-ჩვევები. **2 წთ.**

IV. საშინაო დავალება – ტექსტის ბოლომდე წაკითხვა დამოუკიდებლად; **1 წთ.**

ბაკვეთილში ფასდება: ჩართულობა; .

მე-2 გაკვეთილი (45 წთ.)

ბაკვეთილის თემა

წინო ბეზარაშვილი, „რა მალე გავიდა ზაფხული“ – დამოუკიდებლად წაკითხული ტექსტის ანალიზი; სალიტერატურო ენა და დიალექტები.

მიზანი: **მოსწავლემ შეძლოს:** 1. დამოუკიდებლად წაკითხული ტექსტის შინაარსის თანამიმდევრულად, საკუთარი სიტყვებით გადმოცემა.

2. პერსონაჟის მეტყველებაზე დაკვირვება, სალიტერატურო და დიალექტური მეტყველების გამიჯვნა.

3. მეწყვილესთან და ჯგუფის წევრებთან საკომუნიკაციო ამოცანების გახორციელება – ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ გამართულ დისკუსიაში მონაწილეობა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა ამა თუ იმ პერსონაჟთან დაკავშირებით.

რესურსები: სახელმძღვანელო, საქართველოს რუკა.

აქტივობები:

1. გაკვეთილის მიზნის გაცნობა. **1 წთ.**
2. წერიტი საშინაო დავალების შემოწმება: ამბის თხრობა პერსონაჟის პირით. **8 წთ**
 - ა) წყვილები კითხულობენ ერთმანეთის ნამუშევრებს და ერთად განიხილავენ მათ.
 - ბ) შემდეგ განიხილავენ ნაშრომებს ჯგუფში, ჯგუფის წევრები შეარჩევენ ერთ ნამუშევარს კლასში ხმამამღლა წასაკითხად.
 - გ) დავალებას კითხულობს 3-4 მოსწავლე;
 - ბ) გამომხაურება – მთელი კლასი მონაწილეობს თხზულებების შეფასებაში.
3. დისკუსია: ა) პერსონაჟების თვისებებზე; ბ) ნაწარმოებით მიღებულ შთაბეჭდილებებზე (მთელი კლასი). **10 წთ.**
4. ყურადღება მახვილდება პერსონაჟის – თათელა ბების – მეტყველებაზე. სრულდება სავარჯიშო №4 (წყვ.) **3 წთ.**
5. მასწავლებელი საუბრობს სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებს შორის განსხვავებაზე. **4წთ.**

6. მოსწავლეები დამოუკიდებლად ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ ინფორმაციას. **4 წთ.**

7. მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები ეცნობიან რუკას და ასრულებენ სავრჯიშოებს. **8 წთ.**

8. სტრატეგია „3. 2. 1.“ – თვითშეფასების ჩვენების გამოსამუშავებლად; **5 წთ.**

მოსწავლეები უპასუხებენ კითხვებს:

ა) 3 რამ, რამაც დამაინტერესა ტექსტში;

ბ) 2 რამ, რამაც დამაფიქრა;

გ) 1 რამ, რის შესახებაც დავწერდი დავალებას.

ნაწერებს აბარებენ მასწავლებელს, რომელიც გადახედავს ნამუშევრებს და მიმოიხილავს რამდენიმე განსხვავებულ თვითშეფასებას.

9. შეფასდება: შეფასდება: ტექსტის შინაარსის ცოდნა; ჩართულობა (დაკვირვებით);

კომუნიკაციის ჩვენები; საშინაო დავალება (შეფასების სქემით);

არგუმენტირებული მსჯელობის უნარი (სქემით). **2 წთ.**

მე-18 გაკვეთილი (45 წთ.)

გაკვეთილის თემა

მურმან ლებანიძის ლექსი „წინ – მზისფერი სექტემბერი, უკან – ჭრელი ზაფხული“; ლექსი.

მიზანი:

მოსწავლემ შეძლოს: ლექსის მახასიათებლებზე დაკვირვება და მსჯელობა, ანალიზი (ემოციისა და დამოკიდებულების გამომხატველი სიტყვების ამოცნობა, რითმის გარკვევა და სხვ.); ლექსის ესთეტიკური მხარის შეფასება; მოპოვებული მასალისა და საკუთარი თვალსაზრისის ჯგუფის წევრებისთვის გაცნობა; მოსაზრების გასამყარებლად სათანადო ტაეპების დამოწმება ტექსტიდან.

აქტივობები:

1. გაკვეთილის მიზნის გაცნობა. **1 წთ.**
2. საშინაო დავალების შემოწმება: ა) გამომეტყველებითი კითხვა (ზეპირად);
ბ) ლექსის შინაარსის გააზრება კითხვებით; გ) ტექსტიდან ციტატების მოხმოება საკუთარი მოსაზრების დასასაბუთებლად. **8 წთ.**
3. ადრე შექნილი ცოდნისა და გამოცდილების გახსენება: „რა ვიცი ლექსის შესახებ?“ („ასოციაციური რუკით“ ინფორმაციის ორგანიზება). მოსწავლეები წერენ ყველაფერს, რაც იციან მითითებული საკითხების შესახებ. **3 წთ.**
4. სახელმძღვანელოში მოცემული ლექსის სტრუქტურის (სტროფების, ტაეპების, რითმის) სქემის ანალიზის მიზნით: ა) მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს ახალ ტერმინებსა და განმარტავს მათ (იყენებს დაფას ან წინასწარ მომზადებულ თვალსაზრისებს).
ბ) შემდეგ მოსწავლეები დამოუკიდებლად (წყვ.) კითხულობენ სახელმძღვანელოში ინფორმაციას, ასრულებენ სავარჯ.: № 1,2 და ემზადებიან პრეზენტაციისათვის. **8 წთ.**
5. პრეზენტაცია – წყვილები წარადგენენ მომზადებულ მასალას (განიხილება განსხვავებული პასუხები). **5 წთ.**
6. ახალი ცოდნის განმტკიცების მიზნით: სქემის – „რა ვიცი ლექსის შესახებ“ – ანალიზი, შევსება ახალი ინფორმაციით. **3 წთ.**
7. ჯგუფური სამუშაო: იქმნება 4-5 ჯგუფი. მოსწავლეებმა უნდა აღმოაჩინონ მსგავსება და განსხვავება ლექსსა და ადრე შესწავლილ პროზაულ ნაწარმოებებს შორის (მაგ.:

თემა, სტრუქტურა, პერსონაჟები...) და შეადგინონ მსგავსი და განსხვავებული საკითხების ნუსხა. მოსაზრებების შეჯერების შემდეგ ჯგუფები წარადგენენ მათს დაკვირვებას. თითოეული ჯგუფის მოსაზრებების მიხედვით შედგება მთელი კლასის საერთო ნუსხა (დაფაზე, ფორმატზე).

12 წთ.

7. მოსწავლეები აანალიზებენ მათ მიერ შერჩეული ლექსების სტრუქტურას.

3 წთ.

8. შეფასება: საშინაო დავალება; ჩართულობა;

1 წთ.

9. საშინაო დავალება – მოსწავლის სურვილით რამდენიმე სტროფის ზეპირად დასწავლა და სტრუქტურის ანალიზი.


1 წთ.

№	იგავ-არაკები	პერსონაჟები			მხილებულია						სიუჟეტი	
		ადამიანი	ფრინველი	ცხოველი	უზადურობა	სიხარბე	უნდობლობა	ავსიტყვაობა	მოჩვენებითი შრომა	ჩანს ირონია	აქვს სიუჟეტის ყველა ნაწილი	აქვს შეგონება
1.	„სოფლის მაშენებელი“	-	+	+	-	+	-	-	+	+	+	+
2.	„ენით დაკოდლი“											
3.	„კატის გაზრდილი ლომი“											
4.	„ქორი, იხვი და კაკაბი“											
5.	„ხალიფა და არაბი“											
6.	„მელი მოძღვრად“											
7.	„ძუნწი და ოქრო“											

ვენის დიაგრამა

გამოიყენება საკითხებს შორის მსგავსებისა და განსხვავების სადემონსტრაციოდ. რგოლების გადაკვეთაში ჩაინერება ორი ან მეტი შესაძარებელი მოვლენის საერთო ნიშნები, რგოლებში – მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი.

პერსონაჟების შედარება-შეპირფასებება



აქტიური კითხვა

რადენიმე საფეხურისაგან შედგება:

- I. მოსწავლე გადახედავს დასამუშავებელ მასალას და იხსენებს, რა იცის ამ თემასთან დაკავშირებით;
- II. წინასწარ ჩაინიშნავს კითხვის მიზანს;
- III. კითხვის დროს ამოკრებს იფორმაციას შემდეგი კითხვების მიხედვით: ვინ? სად? როდის? რატომ? და სხვ.

ნიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა

მოსწავლეები დამოუკიდებლად მოიძიებენ საჭირო ინფორმაციას სახელმძღვანელოში ან დამატებით წყაროებში.

არეული თანმიმდევრობა

არეულად მოცემული საკითხების ჩამონათვალი მოსწავლეებმა უნდა დააღაგონ სწორი თანმიმდევრობით თავიანთი ცოდნისა და გამოცდილების შესაბამისად.

კითხვების ღასმა

მასალის თანმიმდევრულად და ლოგიკურად გააზრებისთვის პერიოდულად მასწავლებლი სვამს კითხვებს. შეიძლება ყურადღება გამახვილდეს მოსწავლეთა მიერ პროვოცირების ეტაპზე დასმულ კითხვებზეც.

კითხვებით მასწავლებელი დაეხმარება მოსწავლეს აზრების ჩამოყალიბებაში, კავშირების დადგენაში, შეცდომების დანახვასა და მასალის უკეთ დამახსოვრებაში (კითხვები შეიძლება დასვას არა მარტო მასწავლებელმა, არამედ მოსწავლემაც).

კითხვების დასმა იმის გასარკვევად, თუ როგორ გაიგეს და შეისწავლეს მოსწავლეებმა მიწოდებული მასალა.

კითხვები შეიძლება იყოს:

- 1) ჰიპოთეზური – ამ ტიპის კითხვები უადვილებს მოსწავლეს ვარაუდის გამოთქმას, უვითარებს წარმოსახვის უნარს.
- 2) შემაჯამებელი – ეხმარება მოსწავლეს გაერკვეს, რამდენად სწორად გაიგო მასალა.
- 3) განსჯითი – მოსწავლეს ეძლევა დამოუკიდებელი აზროვნების განვითარების, ფიქრის, მსჯელობის, ინფორმაციის ინტერპრეტაციის საშუალება.
- 4) კვლევითი – ამ ტიპის კითხვებით მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ ანალიზის, ინფორმაციის კლასიფიკაციისა და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარი.

ასოციაციური დაკავშირების რუკა

დამახასიათებელი ნიშნების ანალიზი (ტიპოლოგიური ერთიანობის ჩვენება)

ვერტიკალურად ჩამოინერება შესადარებელი საკითხები, ჰორიზონტალურად, ერთ ხაზზე, დაინერება ის ნიშნები, რომელთა მიხედვითაც უნდა დახასიათდეს შესადარებელი მოვლენები. პასუხები დაფიქსირდება „+“ და „-“ ნიშნებით.

მაგალითად:

IV. კითხულობს მეორედ და ამოკრებილ ინფორმაციას დაურთავს კომენტარს, რომლითაც გამოხატავს თავის ემოციურ დამოკიდებულებას ფაქტებისადმი.

ლოგიკური დავალება

ლოგიკური დავალება გულისხმობს, რომ მოსწავლეებს არ ძალუძთ პასუხი გასცენ დასმულ კითხვას მხოლოდ ადრე მიღებული ცოდნის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში მათ აზროვნების უფრო რთულ გზას უნდა მიმართონ. ასეთი მოქმედება დამოუკიდებელი შემეცნებითი პროცესის საფუძველია.

ლოგიკური დავალება პრობლემური სიტუაციის პირობებში სრულდება, მოვლენის, ფაქტის შიგნით არსებულ წინააღმდეგობათა ახსნას მოითხოვს. მასწავლებლის მიერ დასმულ ჰიპოთეზურ კითხვებზე ან სავარჯიშოს პირობით წამოჭრილ პრობლემებზე პასუხის გაცემა შესაძლებელია ლოგიკური მსჯელობის გზით, ადრე მიღებული ცოდნის გამოყენებით. ამ დროს სრულდება რთული აზროვნებითი პროცესი, რომელიც ძიების, კვლევის ხასიათს იღებს. საბოლოო ჯამში, მოსწავლეები ცოდნის შექმნასთან ერთად, ავარჯიშებენ გონებას, ეუფლებიან კვლევა-ძიების მეთოდს ადრე მიღებული ცოდნის განსხვავებულ სიტუაციაში გამოყენებით, უყალიბდებთ სასწავლო უნარ-ჩვევები.

ლოგიკური დავალება შეიძლება უძღოდეს ახალი მასალის გადაცემას ან ახსნის პროცესში მიეცეს მოსწავლეებს საპასუხოდ; მას შეიძლება საშინაო დავალების სახე ჰქონდეს. ყველა შემთხვევაში, ლოგიკური დავალება პრობლემური სიტუაციის პირობებში ყალიბდება და მის შესრულებაში მთელი კლასი იღებს მონაწილეობას. გაჩაღდება სჯა-ბაასი, ბჭობა, დისკუსია. დაძაბული გონებრივი მოქმედება გაკვეთილს საინტერესოს და შინაარსიანს ხდის.

ლოგიკური დავალების შესრულების პირველი ეტაპი თვით მისი ანალიზია. ამ ეტაპზე მოსწავლეებმა მასში უნდა გამოყონ ძირითადი, წამყვანი იდეა და მეორეხარისხოვანი, ცნობილი და უცნობი, დაადგინონ, რა ცოდნის გამოყენებით შეიძლება გაეცეს პასუხი ლოგიკურ დავალებაში ჩამოყალიბებულ კითხვას. იქმნება ლოგიკური დავალების, პრობლემის გადანყვეტის ვარაუდი – ჰიპოთეზა, რომლის სისწორე დგინდება მსჯელობის, დისკუსიის შედეგებით.

ამგვარად, ლოგიკური დავალების შესრულება ხორციელდება აქტიური გონებრივი იერიშის, მისი აქტიურად წარმართვის გზით. დიდი მნიშვნელობა აქვს თვით სადისკუსიო საკითხის ლოგიკურ ანალიზს, მოვლენებსა და ფაქტებში მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენას, ძირითადი თვისებების გამოყოფას.

ლოგიკური დავალების შესრულების შემდგომი ეტაპია დასკვნებისა და განზოგადებების გაკეთება, რომელსაც შემეცნებით ღირებულებასთან ერთად უნდა ჰქონდეს აღმზრდელობითი დანიშნულება.

ცხადია, ლოგიკური დავალების ფორმულირების დროს სახელმძღვანელო ითვალისწინებს გადასაცემი ინფორმაციის შინაარსის შესაძლებლობებს, მასწავლებელი კი კლასის მომზადების დონეს, მათ მზაობას, აქტიურად ჩაერთონ პრობლემური სიტუაციით შექმნილ რთულ გონებრივ მოქმედებაში, გამოავლინონ ცოდნა, ანალიზის უნარ-ჩვევები.

ამდენად, ინფორმაციულ-რეპროდუქციული, პრობლემური თხრობა, ევრისტიკული საუბარი, ძიებითი მეთოდი და ლოგიკური დავალება, ასევე სწავლების სხვა მეთოდები, ორგანულად ერწყმის ერთმანეთს და მასწავლებლის პედაგოგიური ოსტატობის პირობებში უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანდათანობით მიახლოებას აქტიური, კრიტიკული აზროვნების იმ დონესთან, როდესაც მათ შეიძლება დამოუკიდებლად გადანყვიტონ რთული შემეცნებითი ამოცანა, პრაქტიკულად გამოიყენონ მიღებული თეორიული ცოდნა.

მოსწავლეთა თანამშრომლობის მეთოდები

მოსწავლეების წინაშე ხშირად ისმება ისეთი საკითხები, რომლებიც ერთობლივ გადაჭრას მოითხოვს. ასეთი მიზნების დასახვით მასწავლებელი ახერხებს მოსწავლეებს შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობის დამყარებას. შეფასებასაც ჯგუფი იმსახურებს და არა ცალკეული მოსწავლე. მოსწავლე სწავლობს და რწმუნდება, რომ ჯგუფის სხვა წევრებიც სწავლობენ. ისინი ერთმანეთთან ერთმანეთს, ერთად მსჯელობენ, ერთად განიხილავენ ცალკეულ საკითხებს, უბიძგებენ ერთმანეთს სწავლისაკენ.

რა თქმა უნდა, ერთობლივი სწავლის გარდა, სახელმძღვანელოში მრავლადაა ისეთი სავარჯიშო და დავალება, რომლითაც მასწავლებელი შეძლებს მოსწავლეთა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გაღვივებას. მოსწავლის გამომდინარეობა საპასუხოდ ან რომელიმე სავარჯიშოს მხოლოდ მისთვის მინდობა ფრთხილად და კეთილმოსურნედ უნდა გაკეთდეს, ხოლო მოსწავლის წარმატებას აუცილებლად უნდა გაეცხვას ხაზი.³

მოფიქრება /დანყვილება/ აზრის გაზიარება

მოსწავლეთა ჯგუფს ეძლევა თემა ინდივიდუალური განსჯისათვის. თითოეული ცალკე ცალკე ფიქრობს მიცემული თემის გარშემო, შემდეგ ისინი წყვილებიან, უზიარებენ ერთმანეთს აზრებს. ეს მეთოდი მეტად სწრაფი და მარტივია ურთიერთთანამშრომლობისათვის და ძალიან ეფექტურია ახალი თემის დანყვიებისას. შეიძლება წყვილთა ნაცვლად ჯგუფი ოთხკაციანი იყოს. ამ ჯგუფიდან რომელიმე მოახსენებს კლასს თავის ჯგუფში წარმართულ დისკუსიასა და შედეგებზე.

შეჯამება /დანყვილება/ აზრის გაზიარება

ეს მეთოდი გამოიყენება თემის შემოტანის, კითხვის და განხილვის შემდეგ. თითოეული მოსწავლე თავისთვის აჯამებს მას ორი-სამი წინადადებით, უზიარებს პარტნიორს, ისინი აჯერებენ თვალსაზრისებს. ამ პროცესის თითოეულ ეტაპს ეთმობა 2 ან 3 წუთი.

ჩამოყალიბება /აზრის გაზიარება/მოსმენა/შექმნა

ამ მეთოდის გამოყენებისას მოსწავლეები ჯერ ინდივიდუალურად მოიფიქრებენ პასუხებს, შემდეგ მოსაზრებებს უზიარებენ ერთმანეთს და ქმნიან ახალ პასუხს განხილვისა და ურთიერთ-თანამშრომლობის საფუძველზე. ეს პროცესი კარგი საშუალებაა მოსწავლეთა აზროვნების სტიმულირებისათვის. იგი გამოიყენება ნებისმიერი თემის დამუშავებისას.⁴

საშუალება კრიტიკულად გააანალიზოს თავისი შესაძლებლობები, განსაზღვროს პრიორიტეტები, შეარჩიოს მუშაობის სტილი, შეადგინოს სამუშაოს შესასრულებლად დროში განერილი გეგმა და მართოს პროცესი ამ გეგმის შესასრულებლად.

წერის სტრატეგია

სახელმძღვანელოში გთავაზობთ წერის სტრატეგიებიდან ხუთსაფეხურიან მოდელს: I (ინფორმაციის შეგროვების ეტაპი)

II. ვარიანტის შექმნა (ნააზრების ფურცლებზე გადატანის პროცესი, ვარიანტი შეიძლება რამდენიმე შეიქმნას).

III. გადასინჯვა (ვარიანტის დახვეწა). მოსწავლის მიზანი უნდა იყოს, რაც შეიძლება ნათლად და სწორად წარმოადგინოს ნააზრები (აქ ერთვება მეწყვილე, მასწავლებელიც).

³ მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ დანვრისა და წერის მეთოდით იხ. „ერთობლივად სწავლა“, ... სახელმძღვანელო V, გვ. 15-16.

⁴ ერთობლივი სწავლა, სახელმძღვანელო V, გვ. 27-28, 38.

IV. რედაქტირება (ნაშრომისათვის საბოლოო სახის მიცემა). რედაქტირების ჩვევას გამოუმუშავება სჭირდება. რედაქტირების დროს მოსწავლე ამახვილებს ყურადღებას ნაშრომის სტილზე, ორთოგრაფიის წესებზე. მან უნდა დაინახოს შეცდომები და შეძლოს, შესწავლილი საკითხების ცოდნა გამოიყენოს ნაშრომის ენობრივად, სტილისტურად დახვეწისათვის.

V. წაკითხვა კლასში.

მოსწავლეთა თანამშრომლობა წერის I ეტაპზე იწყება. მოსწავლეები თანამშრომლობენ ჯგუფის წევრებთან. წყვილები ეხმარებიან ერთმანეთს თემის სათაურის უკეთ გააზრებაში, საინტერესო ინფორმაციის მოძიებაში.

მენწყვილები წერის შემდგომ ეტაპზეც აგრძელებენ თანამშრომლობას, მათ ერთმანეთის მხარდაჭერის, ერთმანეთისაგან რეალური დახმარების მიღების იმედი აქვთ.

მოსწავლეებს უნდა გამოუმუშავდეთ ნაშრომის პოზიტიურად, კონსტრუქციულად შეფასების ჩვევები. ასეთი მიდგომა დახვეწს მათ გემოვნებას, გაამდიდრებს წარმოსახვებს, დაეხმარება საკუთარი ნამუშევრის კრიტიკულად შეფასებაში, განუვითარებს აზრის არგუმენტირებულად ჩამოყალიბების ჩვევებს.

საუბარი კონკრეტული უნდა იყოს. მოსწავლეები გამოთქვამენ აზრს მენწყვილის ნაშრომის იმ მონაკვეთზე, რომელიც უფრო მოეწონათ და ერთმანეთს იმ მონაკვეთების დახვეწას ურჩევენ, სადაც აზრის უფრო გარკვევით ჩამოყალიბებაა საჭირო.

გადასინჯვის ეტაპზე მოსწავლეებმა შემდეგზე უნდა გაამახვილონ ყურადღება:

- გამოიკვეთა თუ არა ძირითადი საკითხი;
- ხომ არ არის ისეთი ფრაზები, რომლებიც ლოგიკურად არ უკავშირდება ძირითადს,

ხელს უშლის აზრის ნათლად წარმოჩენას;

- ხომ არ არის საჭირო რომელიმე მონაკვეთის მეტი ინფორმაციით შევსება;
- არის თუ არა ნაშრომში ერთი საკითხიდან მეორეზე ლოგიკური გადასვლა;
- საინტერესოა თუ არა შესავალი;
- დამაჯერებელია თუ არა დასკვნა, თემის დასასრული.
- მოსწავლე თავისუფალია არჩევანში. მას შეუძლია რედაქტირების დროს თავისი შეხედულების მიხედვით გაითვალისწინოს ამხანაგის რეკომენდაციები.

წერის პროცესის ბოლო ეტაპზე ნაწარმის ავტორები საკუთარი სურვილით წაუკითხავენ ნაშრომს მთელ ჯგუფს. ამჯერად თანაკლასელებს ეძლევათ საშუალება გამოთქვან თავიანთი აზრი მოსმენილის შესახებ. სასურველია, გაკეთდეს ერთი წარმატებული მონაკვეთის კომენტარი და დაისვას ერთი კითხვა ნაშრომის შესახებ.

გაკვეთილის დაგეგმარება

გაკვეთილების მიზანმიმართულად წარმართვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის წინასწარ მომზადებასა და დაგეგმვას.

მასწავლებელი გაკვეთილის დაწყებამდე განსაზღვრავს:

- ა) მოტივს (რა არის მნიშვნელოვანი გაკვეთილზე?);
- ბ) მიზნებს (რა უნდა მიანოდოს და როგორ?);
- გ) წინაპირობებს (რა იძლევა იმის საფუძველს, რომ მოსწავლე წარმატებით მიიღებს ცოდნას სწორედ ასეთი ტიპის გაკვეთილიდან?);
- დ) შეფასებას (როგორ უნდა გაირკვეს, რომ მოსწავლეებმა სწორად გაიგეს და აითვისეს მასალა?);
- ე) დროსა და საშუალებებს (თვალსაჩინო-დიდაქტიკურ მასალას...)

ვ) დაჯგუფებას (როგორი პრინციპით უნდა დაჯგუფდნენ მოსწავლეები?);

იგეგმება გაკვეთილზე გამოსაყენებელი მეთოდები. იგეგმება ღონისძიებები, რომლებიც საჭიროა მოსწავლეთა ცოდნის გასაღრმავებლად გაკვეთილის დასრულების შემდგომ ეტაპზე.

გეგმის წინასწარ მომზადება ხელს უწყობს:

1. შემეცნებითი ამოცანის სწორად დასახვას;
2. პრობლემური სიტუაციის შექმნას;
3. ახალი სასწავლო-მეცნიერული ინფორმაციის გადაცემისათვის პედაგოგიური პირობების შექმნას;
4. მოსწავლეთა მიერ ინფორმაციის აღქმისათვის დიდაქტიკურ საშუალებათა გამოყენებას;
5. მოსწავლეთა შემეცნებითი მოქმედების ორგანიზაციას;
6. უკუკავშირის ორგანიზაციას;
7. მოსწავლეთა მიერ სასწავლო-საგაკვეთილო მასალის გაკვეთილზე ათვისებას;
8. მოსწავლეთათვის სწორი რეკომენდაციების მიცემას საშინაო დავალების შესასრულებლად.

დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევათა გამომუშავება სასწავლო მასალის შინაარსის სიღრმისეულად წვდომის პარალელურად ხორციელდება. **მასწავლებელი ყოველ გაკვეთილზე მიზნად უნდა ისახავდეს, რომ მოსწავლემ:**

1. მიიღოს ინფორმაცია;
2. გაიგოს (მოსწავლემ უნდა შეძლოს ძირითადი აზრის საკუთარი სიტყვებით გამოხატვა);
3. გამოიყენოს (მოსწავლემ უნდა დაინახოს კონკრეტული საკითხის მნიშვნელობა სხვებთან შედარებით. უნდა შეეძლოს ახალი პრობლემების გადაჭრა იმ ხერხების გამოყენებით, რომლებიც მას ასწავლეს);
4. შეძლოს ანალიზი (მოსწავლემ უნდა დაანაწევროს რთული აზრი შემადგენელ ნაწილებად, დაადგინოს მიზეზშედეგობივი კავშირი);
5. შეძლოს სინთეზი (მოსწავლემ უნდა მოახდინოს სხვადასხვა აზრის ერთ აზრად შეჯერება. აზრის ახალი ვარიანტის შექმნა. ამა თუ იმ აზრის აღება რომელიმე სფეროდან და მისი გადატანა სხვაგან, რთული პრობლემების გადაჭრა სხვადასხვა აზრის შეჯერებით);
6. შეაფასოს (საკითხის განმარტებისას დაადგინოს ამა თუ იმ აზრის ერთმანეთთან შესაბამისობა, შეადაროს ან დააპირისპიროს ორი ან მეტი შეხედულება, გაიაზროს მიზეზები, რომლებიც საფუძვლად უდევს მოსწავლეთა აზროვნებას გაკვეთილზე წარმოდგენილ რომელიმე საკითხთან დაკავშირებით; საპირისპირო პოზიციის გამოხატვა და დაცვა).

შეფასება

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლაში ორი ტიპის შეფასება გამოიყენება:

- I. განმსაზღვრელი (როცა ქულებით ფასდება მოსწავლის მიღწევების დონე) და
- II. განმავითარებელი (როცა ინერება კომენტარი რეკომენდაციების, რჩევის სახით. ისინი ეხმარება მოსწავლეს მის განვითარებაში, მიღწევების გაუმჯობესებაში).

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება შეიძლება ნებისმიერ (მიმდინარე თუ შემაჯამებელ) გაკვეთილზე მაშინ, როცა ამას მასწავლებელი ჩათვლის საჭიროდ.

კრიტერიუმებით, რომელთაც ადგენს მასწავლებელი, უნდა გაიზომოს მისაღწევი შედეგები. მათი გამოყენება უფრო მოსახერხებელი იქნება, თუ ჩამოაყალიბდება სქემის სახით.

არ არსებობს შეფასების სქემის ერთადერთი ვარიანტი. იგი დგება და იცვლება კონკრეტული მიზნით კონკრეტული სიტუაციისათვის, მაგრამ ყველა შემთხვევაში უნდა იყოს სანდო და ობიექტური. მოსწავლეები უნდა იცნობდნენ შეფასების სქემებს, მეტიც, შესაძლებელია ეს სქემები მათი აქტიური მონაწილეობითაც კი შედგეს.

სქემები განმავითარებელი შეფასებისთვისაც იქმნება და მასწავლებელი მოსწავლეებზე დაკვირვების დროს ავსებს მათ.

გთავაზობთ ზოგადი შეფასების სქემის რამდენიმე ნიმუშს. საბოლოო ქულა იწერება კრიტიკურიუმებში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

თვითშეფასება

სწავლის თანამედროვე მიდგომებში მნიშვნელოვანი სტრატეგიაა, ვასწავლოთ მოსწავლეს თვითშეფასება, რათა მან თავად მართოს სასწავლო გეგმაში ასახული სწავლის შედეგებზე ორიენტირებული სწავლის პროცესი. თვითშეფასებისთვის მასწავლებელმა შეიძლება მოსწავლეებთან ერთად საგანგებოდ შეადგინოს სქემა ან გამოიყენოს ის სქემები, რომლებიც თავად ამონშებს და აფასებს მათ.

თვითშეფასების სქემა შეიძლება გამოვიყენოთ თემის დასრულების შემდეგ, იმის გასარკვევად, თუ როგორ დაძლიეს მოსწავლეებმა ესა თუ ის საკითხი, როგორ მიაღწიეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კონკრეტულ შედეგს, როგორ განუვითარდათ ესა თუ ის უნარი. თვითშეფასებისთვის შეიძლება გამოვიყენოთ კითხვარიც და თავისუფალი წერაც.

მაგალითად:

ხუთწუთიანი ესე

გაკვეთილის ბოლო ხუთ წუთის განმავლობაში მოსწავლეები წერენ გაკვეთილისადმი თავიანი დამოკიდებულების შესახებ.

კითხვარი

1. განხილული საკითხებიდან რომელი მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად? რატომ?
2. რა შეკითხვები გაგიჩნდათ? რატომ?
3. რა შენიშვნები გაქვთ?

რამდენიმე ბაკვეთილის გეგმა

36-ე ბაკვეთილი (45 წთ.)

წერა

თემა – შთაბეჭდილება (შესწავლილი ნაწარმოებების მიხედვით).

მიზანი:

მოსწავლემ შეძლოს: დამოუკიდებლად შექმნას წერილობითი ტექსტი, რომელშიც გადმოსცემს საკუთარ შთაბეჭდილებას. წერისას აქცენტი გააკეთოს მთავარსა და არსებით მომენტებზე; თანამიმდევრობით გადმოსცეს ფაქტები და მოვლენები; სწორად გამოიყენოს დამოკიდებულების გამომხატველი ენობრივი ფორმულები, მხატვრული გამომსახველობითი საშუალებები (მაგ., შედარება). დაიცვას მართლწერის ნორმები, გაასწოროს სტილისტური და გრამატიკული შეცდომები.

აქტივობები:

1. ბაკვეთილის მიზნის გაცნობა.

2 წთ.

2. წერის სტრატეგიის – ხუთსაფეხურიანი მოდელის – გამოყენებით თხზულების წერა.

35 წთ.

I საფეხური: წერის დაწყებამდე: სახელმძღვანელოში მითითებული დავალების გააზრება – მსჯელობა მთელი კლასი.

საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან ერთი საინტერესო შემთხვევის გახსენება; თემის არჩევა, მიზნის განსაზღვრა, მენეჯილესთან საუბარი ამ საკითხზე; მასალის მომზადება (მოსწავლე ჩაინიშნავს საჭირო იდეებს, სიტყვებს, ფრაზებს და სხვ.).

II საფეხური: პირველი ვარიანტის შექმნა (წერს თხზულების პირველ ვარიანტს).

III საფეხური: გადამუშავება (მენეჯილე კითხულობს და უზიარებს თავის მოსაზრებებს).

IV საფეხური: რედაქტირება (საკუთარი ნაშრობის გასწორება) და გადანერა. ნახატებით გაფორმება.

V საფეხური: აუდიტორიის წინაშე წარდგენა.

3. გამომხატვრული: მოსწავლეები და მასწავლებელი გამოთქვამენ მოსაზრებებს მოსმენილი თხზულების შესახებ.

4 წთ.

4. თვითშეფასება – მოსწავლეები საუბრობენ შესრულებული სამუშაოს შესახებ: რა იყო წარმატებული; რას ვერ გაართვეს თავი; რა გამოცდილება შეიძინეს...

3 წთ.

5. ნაშრომი ფასდება კრიტერიუმებით.

15 წთ.

39-ე ბაკვეთილი (45 წთ.)

ბაკვეთილის თემა ტექსტი – ენის რობა; მიზნები:

მოსწავლემ შეძლოს: მოსმენილ და დამოუკიდებლად წაკითხულ ინფორმაციაში ძირითადი საკითხების გამოკვეთა.

კონტექსტის მიხედვითა და ლექსიკონის გამოყენებით სიტყვების მნიშვნელობების დაზუსტება;

მსჯელობა ტექსტის ძირითად საკითხზე და სათანადო არგუმენტების მოხმობა; მენეჯილესთან საკომუნიკაციო ამოცანების გახორციელება – ჯგუფური სამუშაოების შესრულება.

რესურსი: სახელმძღვანელოს ილუსტრაციები.

გაკვეთილის მსვლელობა:

I. სამოტივაციო აქტივობები ტექსტის წაკითხვამდე:

1. მასწავლებელი საუბრობს:

ა) III თავის ძირითად შინაარსსა და სასწავლო მიზანზე;

2 წთ.

ბ) გაკვეთილის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებზე;

1 წთ.

გ) განსხვავებულ მოსაზრებებზე ენის წარმოშობის შესახებ.

3 წთ.

2. მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ ვარაუდებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

3 წთ.

II. ტექსტის გააზრება:

1. ტექსტის წაკითხვამდე მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს კითხვის მიზანს – მათ წაკითხულ ტექსტში უნდა გამოკვეთონ მთავარი სათქმელი – ძირითადი ინფორმაცია და დაინახონ მისი მიმართება ტექსტის სათაურთან.

1 წთ.

2. ტექსტის დამოუკიდებლად კითხვა.

4 წთ.

3. წაკითხვის შემდეგ მოწმდება, როგორ გაართვეს მოსწავლეებმა თავი წინასწარ მიცემულ დავალებას – მონიშნეს თუ არა ის წინადადება, რომელშიც მთავარი სათქმელია გადმოცემული.

კლასში კითხულობენ მხოლოდ განსხვავებულ წინადადებებს, რომლებიც იწერება დაფაზე კომენტარების გარეშე. **(ამ მასალას მასწავლებელი მიუბრუნდება ტექსტის უფრო ღრმად გასააზრებელი დავალებების შესრულების შემდეგ).**

3 წთ.

4. რუბრიკის: „იფიქრეთ, იმსჯელეთ“ – დავალებების შესრულება (ინდ.)

10 წთ.

5. ადარებენ დაფაზე დაწერილ პასუხებს ტექსტის გააზრების შემდეგ გამოტანილ დასკვნას და ააანალიზებენ მათ.

3 წთ.

6. ტექსტის ძირითადი სათქმელის უკეთ გააზრების მიზნით სრულდება სავარჯიშოები:

№ 1 (ინდივიდუალურად) – მოსწავლეები უნდა დაფიქრდნენ და იმსჯელონ საკითხზე, რომ ენა ადამიანთა ურთიერთობის საშუალებაა.

2 წთ.

№ 2, 3 (მთელი კლასი) – მსჯელობენ, რომ ჟესტ-მიმიკა მხოლოდ დამხმარე საშუალებაა ადამიანთა კომუნიკაციის დროს.

5 წთ.

7. შეჯამდება გაკვეთილი: ა) მოსწავლეები წერილობით უპასუხებენ კითხვას: რა ვისწავლე დღეს? ბ) კლასს აცნობენ თავიანთ ნაფიქრს.

5 წთ.

III. შეფასება – ჩართულობა; გააზრებული კითხვისა და მსჯელობის უნარი;

2 წთ.

IV. საშინაო დავალება – მასწავლებალი განმარტავს, როგორ უნდა შესრულდეს №4

დავალება (ტექსტის დამოუკიდებლად კითხვა და გააზრება).

1 ნთ.

მე-40 გაკვეთილი (45 ნთ.)

გაკვეთილის თემა

ტექსტი – ენის რაობა; სიტყვების: ამრიგად, მაშასადამე, ერთი სიტყვით – გამოყენება მსჯელობის შეჯამების დროს.

მიზანი:

1. **მოსწავლემ შეძლოს:** დამოუკიდებლად წაკითხული ტექსტის გააზრება და შინაარსის თანამიმდევრულად, საკუთარი სიტყვებით გადმოცემა.

მიზეზ-შედეგობრივ კავშირების ამოცნობა;

ტექსტის ენობრივ-სტილურ თავისებურებებზე დაკვირვება; ჯგუფის წევრებთან თანამშრომლობა.

რესურსები: სახელმძღვანელო, ფორმატი, ფლომასტერები.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. გაკვეთილის მიზნის გაცნობა.

2 ნთ.

2. საშინაო დავალების შემოწმება: ა) გადმოსცემენ ტექსტის – „მგლების გაზრდილი გოგონა“

– შინაარსს; ბ) კითხულობენ ტექსტის პასუხებს; გ) მსჯელობენ ტექსტის მთავარ სათქმელზე. აკავშირებენ მას ტექსტთან „ენის რაობა“ (მთელი კლ.).

6 ნთ.

3. მასწავლებელი კითხვების საშუალებით ამახვილებს ყურადღებას ტექსტის ენობრივ-სტილურ თავისებურებებზე: ა) საიდან ვიგებთ, რომ ტექსტში მოთხრობილი ამბავი მართლა მოხდა? ბ) რა მიზანი აქვს დასახელებულ ფაქტებს? გ) გამოყენებულია თუ არა ტექსტში შედარებები, ეპითეტები; დ) გადმოცემულია თუ არა მოთხრობლის პირადი განცდები? და სხვ. მოსწავლეები საკუთარ მოსაზრებებს ასაბუთებენ ტექსტობრივი მასალით.

5 ნთ.

4. მასწავლებელი საუბრობს საინფორმაციო ტექსტის მახასიათებელ ნიშნებზე, ასახელებს და ადარებს მაგალითებს ადრე შესწავლილი მასალიდან.

6 ნთ.

5. მოსწავლეები ინფორმაციული ტექსტის მიხედვით ადგენენ სქემას დიდ ფორმატზე – და ასაბუთებენ, რომ „ენის რაობა“ საინფორმაციო ხასიათის ტექსტია. თითოეული ჯგუფი წარადგენს თავის ნამუშევარს.

12 ნთ.

6. არამხატვრული ტექსტების ენობრივი მახასიათებლების გაცნობა – კერძოდ, სათქმელის შემაჯამებელი სიტყვების გამოყენება. მოსწავლეები ასრულებენ სავარჯიშოებს 8,9 (ინდივიდ.)

5 ნთ.

7. სტრატეგია „3. 2. 1.“ – თვითშეფასების ჩვევების გამოსამუშავებლად ;

5 ნთ.

მოსწავლეები უპასუხებენ კითხვებს:

ა) 3 რამ, რამაც დამაინტერესა დღეს;

- ბ) 2 რამ, რამაც დამაფიქრა;
 - გ) 1 რამ, რის შესახებაც მეტს წავიკითხავდი.
რამდენიმე მოსწავლე აცნობს კლასს თავის მოსაზრებებს.
- 8. საშინაო დავალების განმარტება.**

**2
წთ.**

9. შეფასდება: 1. ჩართულობა (დაკვირვებით); 2. საშინაო დავალება (შეფასების სქე-
მით);

- 3. არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

2 წთ.

48-ე გაკვეთილი (45 წთ.)

ბაკვეთილის თემა

ტექსტი – მუხრან მაჭავარიანი, „მრავალჭირვარამგადანახადი“

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

მიზნები:

მოსწავლემ შეძლოს: საკუთარი შთაბეჭდილებების გამოხატვა მოსმენილ და წაკითხულ
ლექსზე; პოეტურ ნაწარმოებში გადმოცემულ განწყობილებაზე საუბარი;

საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბება ერთსა და იმავე თემაზე შექმნილ ტექსტებს შორის
მსგავსება-განსხვავებაზე;

ჯგუფური და ინდივიდუალური საკომუნიკაციო ამოცანების განხორციელება.

რესურსი: სახელმძღვანელო; პოეტის ბიოგრაფიის ამსახველი ფოტომასალა, პოეტის ხმა.

ბაკვეთილის მსვლელობა:

- 1. გაკვეთილის მიზნის გაცნობა.**

1 წთ.

- 2. ტექსტის წაკითხვამდე:**

12 წთ.

ა) მოსწავლეები ასახელებენ საყვარელ პოეტებს, კითხულობენ ლექსებს; საუბრობენ თა-
ვიანთ შთაბეჭდილებებზე.

ბ) მინილექცია – მუხრან მაჭავარიანის ბიოგრაფიის გაცნობა; ფოტოალბომის ჩვენება.

გ) მოსწავლეები ეცნობიან წიგნში მოცემულ ინფორმაციას – ენის განმარტებასა და გრ.
ოგბელიანის სიტყვებს ენის შესახებ (ინდივ.).

დ) მსჯელობენ წაკითხულის შესახებ, განსაზღვრავენ ძირითად საკითხს. თავიანთ
დაკვირვებაზე საუბრობენ მეწყვილესთან.

ე) იმავე საკითხზე მსჯელობს მთელი კლასი.

- 3. ტექსტზე მუშაობა:**

12 წთ.

ა) პოეტის მიერ წაკითხული ლექსების მოსმენა.

ბ) მოსწავლეები ხმამაღლა, გამომეტყველებით კითხულობენ ლექსს.

გ) მსჯელობენ ლექსში გადმოცემულ განწყობაზე, საკუთარ ემოციაზე, შთაბეჭდილებაზე
(სახელმძღვანელოს კითხვების მიხედვით).

დ) აანალიზებენ ტექსტს ენობრივი და მხატვრული თვალსაზრისით შესწავლილი სა-
კითხების მიხედვით.

ე) ჯგუფური სამუშაო – ჯგუფი მსჯელობს ლექსის წაკითხვამდე მიღებული ინფორმა-
ციასა და ლექსს შორის კავშირზე. ადგენს სქემას: საერთო და განსხვავებული.

ერთ-ერთი წევრი წარადგენს ჯგუფის ნამუშევარს.

ვ) მასწავლებელი დააკვირებს მოსწავლეებს III თავში შესწავლილ ნაწარმოებთა თემატიკაზე და პარალელს ავლებს ლექსთან.

3 წთ.

8. შეფასება – ფასდება გამომეტყველებითი კითხვის, მსჯელობის ჩვევები და ჩართულობა.

2 წთ.

9. საშინაო დავალება: წერიტი დავალების (სახელმძღვანელოში მოცემული მითითებების მიხედვით საკუთარი მოსაზრების წერილობით ჩამოყალიბება) განმარტება.

1 წთ.

ლექსი – ზეპირად.

50-ე გაკვეთილი (45 წთ.)

წერა – ამბის გაგრძელება

მიზნები:

მოსწავლემ შეძლოს:

დამოუკიდებლად წაიკითხოს და გაიაზროს ტექსტი.

წაკითხულ უცნობ ტექსტზე დაყრდნობით წარმოსახვით შექმნას ახალი ტექსტი – ამბის გაგრძელება.

ფაქტებისა და მოვლენების თანამიმდევრობით გადმოცემა. შესაბამისი სტილის შერჩევა, ნაწერის ორგანიზება, მართლწერის ნორმების დაცვა, სტილისტური და გრამატიკული შეცდომების გასწორება და ტექსტის რედაქტირება.

ბაკვეთილის მსვლელობა:

1. გაკვეთილის მიზნის გაცნობა.

1 წთ.

2. წერის სტრატეგია – ხუთსაფეხურიანი მოდელი:

I საფეხური – მოსამზადებელი სამუშაო – ა) ტექსტის (“ჩემი საუნჯე”) დამოუკიდებლად კითხვა; ბ) მენწყვილესთან ერთად ტექსტის გააზრება და იმაზე მჯელობა, თუ როგორ შეიძლება გაგრძელდეს ამბავი.

8 წთ.

II საფეხური – პირველი ვარიანტის შექმნა მიზნის გათვალისწინებით.

15 წთ.

III საფეხური – მენწყვილესთან ერთად ნაწერის კრიტიკული კითხვა. მონმდება, რამდენად უპასუხებს თხზულების შინაარსი და შერჩეული სტილი მიზანს.

5 წთ.

IV საფეხური – რედაქტირება (საკუთარი ნაშრომის გასწორება შენიშვნების გათვალისწინებით) და გადანერა.

10 წთ.

V საფეხური – აუდიტორიის წინაშე წარდგენა.

3. გამომხაურება: მოსწავლეები და მასწავლებელი გამოთქვამენ მოსაზრებებს თხზულების შესახებ.

5 წთ.

4. შეფასება (თვითშეფასება) – კრიტერიუმებით.

1 წთ.

**62-ე და 63-ე გაკვეთილი (45 წთ.+ 45 წთ)
დროის განაწილება დამოკიდებულია მასწავლებელზე!**

ბაკვეთილის თემა

ვაჟაფშაველა, „შვლის ნუკრის ნაამბობი“, I; ბიოგრაფიული ცნობები; ნანარმოების პერსონაჟის გარეგნობა; წერა – გარეგნობის აღწერა.

მიზნები:

მოსწავლემ შეძლოს: ტექსტის მოსმენისა და კითხვისდროსუცნობისიტყვების კონტექსტის მიხედვით განმარტება, ლექსიკონის გამოყენება.

ტექსტში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ნანარმოების პერსონაჟების გარეგნობასა და შინაგან თვისებებზე დაკვირვება;

მეწყვილესთან საკომუნიკაციო ამოცანების გახორციელება – საკუთარი გამოცდილების გაზიარება; ტექსტის დამოუკიდებლად შექმნა.

რესურსი: სახელმძღვანელო; მწერლის ბიოგრაფიის ამსახველი ფოტოები, დიდი ფორმატის ქაღალდები; ფლომასტერები.

ბაკვეთილის მსვლელობა

აქტივობები:

I. მასწავლებლის საუბარი სახელმძღვანელოს III თავის მიზნებსა და კონკრეტული გაკვეთილის მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

II. მოსწავლეები ასრულებენ დავალებას:

ა) მუშაობენ წყვილში და იხსენებენ იმ ნანარმოებს, რომელთა პერსონაჟები ცხოველები, ფრინველები ან მცენარეები არიან;

ბ) სახელმძღვანელოში მოცემულ სქემას გადაიხაზავენ დიდი ფორმატის ქაღალდზე, ინფორმაციას ანაწილებენ სქემაში და გამოაკრავენ კლასში;

გ) რამდენიმე წყვილი წარუდგენს ნამუშევარს კლასს მოკლე კომენტარებით – განსაკუთრებით რით დაამახსოვრდათ ესა თუ ის ნანარმოები.

III. მოსწავლეები იხსენებენ, რა უსწავლიათ და გაუგონიათ ვაჟა-ფშაველას შესახებ; მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს დამატებით ინფორმაციას.

IV. ტექსტის მოსმენა – მასწავლებელი კითხულობს ტექსტის („შვლის ნუკრის ნაამბობი“) I და II აბზაცებს და მოსწავლეთა ყურადღებას ამახვილებს პერსონაჟის, ნუკრის, გარეგნობაზე (I აბზაცი), მის სულიერ მდგომარეობაზე.

V. ტექსტის კითხვა მოსწავლეების მიერ – III აბზაციდან პაუზებით კითხულობენ მოსწავლეები, კონტექსტითადალექსიკონითგანმარტავენუცნობსიტყვებს, მონმდება რამდენად კარგად გაიგეს ნაკითხული მონაკვეთების შინაარსი: დაისმის შინაარსზე ორიენტირებული კითხვები.

VI. მოსწავლეები ასრულებენ სავარჯიშოებს:

ა) № 1 – ტექსტის განმეორებით კითხვა და იმ ფაქტების ამოკრება, რომლებიც გადმოსცემს ნუკრის გარეგნობასა და შინაგან თვისებებს (ინდ.)

ინფორმაციის ორგანიზება სქემით (წყვ.) და პრეზენტაცია.

ბ) № 2 – არნივის გარეგნობის აღწერა.

VII. წერა – საყვარელი ფრინველის ან ცხოველის აღწერა.

დამოუკიდებლად ასრულებენ დავალებას. მენყვილეს აცნობენ ნამუშევარს.

VIII. აშინაო დავალების მიცემა – ნაწერის რედაქტირება, გადანერა და პრეზენტაციისათვის მომზადება.

25თ.

ტექსტის განმეორებით კითხვა და კითხვებზე პასუხების მომზადება.

IX. შეფასება:

განმსაზღვრელი შეფასება – წერიტი ნამუშევარი – კრიტერიუმით (დამოუკიდებელი აზროვნება, დავალების ადეკვატურად გააზრება და შესრულება).

განმავითაერბელი შეფასება – კითხვის ტექნიკა, ჩართულობა.

82-ე გაკვეთილი (45 წთ.)

გაკვეთილის თემა

რევაზ ინანიშვილი, „საკვირველი ამბავი ტყეში“; მწერლის ბიოგრაფია;

მიზანი:

მოსწავლემ შეძლოს: დამოუკიდებლად კითხვა; კონტექსტის მიხედვითა თუ ლექსიკონის გამოყენებით სიტყვების მნიშვნელობების დაზუსტება, მათი გააზრება. კითხვის სტრატეგიის – პაუზებით კითხვის – გამოყენება. მოსაზრების გასამყარებლად სათანადო ადგილების მოხმობა ტექსტიდან.

ტექსტის დაყოფა შინაარსობრივ და ნაწილებად, ტექსტის აგებულებაზე დაკვირვება.

გაკვეთილის მსვლელობა

აქტივობები:

1. საუბარი გაკვეთილის მიზნის შესახებ.

2 წთ.

2. რევაზ ინანიშვილის ბიოგრაფიის გაცნობა:

5 წთ.

ა) კითხვებით იმის გარკვევა, თუ რა იცინ მოსწავლეებმა რევაზ ინანიშვილის შესახებ.

ბ) ინფორმაციის შევსება ახალი დეტალებით.

3. სათაურის მიხედვით ვარაუდის გამოთქმა, თუ რის შესახებ შეიძლება იყოს საუბარი ტექსტში?

3 წთ.

4. ილისტრაციის დათვალიერება და დამატებითი ვარაუდების გამოთქმა ტექსტის შინაარსთან დაკავშირებით.

2 წთ.

5. პაუზებით კითხვის სტრატეგია.

25 წთ.

ტექსტს კითხულობენ მოსწავლეები, ჩერდებიან მითითებულ ადგილას და შემდეგ უპასუხებენ მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებს, რომლებიც ტექსტის შინაარსზეა ორიენტირებული. ისინი ავსებენ ვარაუდების სქემას ინდივიდუალურად (ტექსტის დაყოფისა და კითხვების შერჩევის დროს მასწავლებელი ეყრდნობა სახელმძღვანელოს, თუმცა შესაძლებელია ტექსტის სხვაგვარად დაყოფაც პაუზებით კითხვის სტრატეგიის გამოყენების მიზნით).

ბოლო მონაკვეთს მოსწავლეები დამოუკიდებლად კითხულობენ.

6. ტექსტის შინაარსზე ორიენტირებული კითხვების დასმა სახელმძღვანელოს მიხედვით.

6 წთ.

7. შეფასება – ფასდება მოსწავლის ჩართულობა, დამოუკიდებელი აზროვნების, მსჯელობისას ტექსტობრივი მასალის სწორად მოხმობის უნარ-ჩვევები.

2წთ.

8. საშინაო დავალება – ტექსტის სინაარსის თანამიმდევრულად გადმოცემის მიზნით, მისი თავიდან ბოლომდე წაკითხვა და გეგმის შედგენა.

83-ე გაკვეთილი (45 წთ.)

ბაკვეთილის თემა

რეზონანიშვილი, „საკვირველი ამბავი ტყეში“; ტექსტის ანალიზი; ტექსტის შემადგენელი ნაწილები.

წერა – ტექსტის შექმნა (ეპიზოდის შინაარსი).

მიზანი:

მოსწავლემ შეძლოს: შინაარსის თანამიმდევრულად თხრობა;

დამოუკიდებლად წერილობითი ტექსტი შექმნა – წერისას აქცენტი გააკეთოს მთავარსა და არსებით მომენტებზე; თანამიმდევრობით გადმოსცეს ფაქტები და მოვლენები; სწორად გამოიყენოს დამოკიდებულების გამომხატველი ენობრივი ფორმულები, მხატვრული გამომსახველობითი საშუალებები (შედარება, ეპითეტი).

დაიცვას მართლწერის ნორმები, გაასწოროს სტილისტური და გრამატიკული შეცდომები.

აქტივობები:

1. გაკვეთილის მიზნის გაცნობა.

1 წთ.

2. ტექსტის – „საკვირველი ამბავი ტყეში“ – შინაარსის მიხედვით შინ შედგენილი გეგმის კითხვა და მთელი კლასის მონაწილეობით შეჯერებული ვარიანტის სექმნა.

4 წთ.

3. ტექსტის შემადგენელი ნაწილების სტრუქტურის სქემის ჩვენება და ანალიზი.

3 წთ.

4. რ. ინანიშვილის მოთხრობაში დასაწყისის, ძირითადი ნაწილისა და დასასრულის გამოკვეთა; შედგენილი გეგმის მისადაგება თითოეული ნაწილისათვის და ტექსტის თხრობა ნაწილების მიხედვით.

9ს წთ.

5. წერა – ტექსტის ერთ-ერთი მონაკვეთის შინაარსის გადმოცემა და შექმნილი ტექსტის სტრუქტურის ანალიზი (მოსწავლეთა წყვილები არჩევენ და წერენ ერთსა და იმავე ეპიზოდს).

ა) მასწავლებელი აძლევს ინსტრუქციას წერითი დავალების შესასრულებლად;

2 წთ.

ბ) მოსწავლეები დამოუკიდებლად წერენ თხზულებას.

12 წთ.

გ) წყვილები უცვლიან ერთმანეთს ნაწერებს: ისინი აანალიზებენ ტექსტის ენობრივ, შინაარსობრივ მხარესა და აგებულებას. უზიარებენ ერთმანეთს აზრს.

5 წთ.

დ) რჩევების გათვალისწინებით ხვენწენ ნამუშევარს და მოსწავლეები კითხულობენ მათ მიერ შექმნილ ტექსტს (2 მოსწ.)

4 წთ.

ე) ანალიზდება ნამუშევრები ტექსტის აგებულების შესახებ მიღებული ცოდნის საფუძველზე.

მოსწავლეები უპასუხებენ კითხვებს: რით დაიწყეთ? რომელი მონაკვეთი გადმოსცემს ძირითად ამბავს? როგორ დასრულდა თქვენი თხზულება?

მოსწავლეები აფასებენ თანაკლასელთა ნამუშევარებს, გამოთქვამენ მოსაზრებებს,

6. მასწავლებელი სვამს კითხვებს და აჯამებს გაკვეთილს.

3 წთ.

7. ფასდება მოსწავლეთა ჩართულობა და თხზულების შინაარსობრივი მხარე კრიტიკული რეაქციებით.

2 წთ.

8. საშინაო დავალება – თხზულების რედაქტირების რედაქტირება, გადათეთრება.

1 წთ.

96-ე გაკვეთილი (45 წთ.)

პრეზენტაცია

თემა – ბუნება და ქალაქის მკვიდრნი

მიზანი:

მოსწავლემ შეძლოს: ა) სადისკუსიო თემის გააზრება, სათანადო ინფორმაციის დამუშავება საკუთარი მოსაზრების არგუმენტებით გასამყარებლად;

ბ) სხვების მიერ გამოთქმული არგუმენტების ჩანიშვნა, მათი გააზრება და საკუთართან შეჯერება;

გ) ჯგუფთან ერთად ზეპირი გამოსვლის (პრეზენტაციის) მომზადება;

დ) თანაგუნდელების საერთო თვალსაზრისის გამოხატვა პრეზენტაციის დროს.

ე) სადისკუსიო სტრატეგიების გამოყენება (რეგლამენტის, რიგითობის, ეტიკეტისა და კორექტულობის დაცვა);

ვ) ერთ თემაზე შექმნილი ლიტერატურულ ნაწარმოებებს შორის მსგავსების დანახვა;

რესურსები: ფლომასტერები, დიდი ფორმატის ქაღალდები, ჭიკარტები. შეფასება:

ჩართულობა, სოციალური უნარ-ჩვევები – დაკვირვებით. მსჯელობის უნარ-ჩვევა – შეფასების კრიტიკიუმით.

გაკვეთილის მსვლელობა აქტივობები:

I. მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის ძირითად მიზანს – დისკუსიის წარმართვა ჯგუფში და ჯგუფში შემუშავებული საერთო მოსაზრების პრეზენტაცია.

II. 2 წთ.

III. ჯგუფების შექმნა (ჯგუფის წევრების მექანიკურად, მაგ., გადათვლით, შერჩვა). დისკუსიის დანერგვამდე მოსწავლეთა მიერ ადრე შექმნილი დროს ქცევის წესების შეხსნება.

3 წთ.

IV. მასწავლებელი ასახელებს სადისკუსიო თემას და მთელ კლასს უსვამს დისკუსიის ხელშემწყობ კითხვებს.

8წთ.

მაგალითად:

1. გაიხსენეთ, ვაჟა-ფშაველას რომელი სიტყვებით იწყება სახელმძღვანელოს III თავი; გამოეცით მთავარი სათქმელი თქვენი სიტყვებით. 2. რომელი ნაწარმოებები შეისწავლეთ ამ თავში? 3. როგორია ამ ნაწარმოებებში ადამიანის დამოკიდებულება ბუნებისადმი. 4. რა არის თითოეული ნაწარმოების მთავარი სათქმელი? 5. როგორ უკავშირდება ამ თავში შეტანილი ნაწარმოებები ვაჟა-ფშაველას სიტყვებს? 6. რას გულისხმობს გადერძი ჩოხელი „ბუნების მაღლში“? 7. რა არის ამ მაღლისაგან დაცლის მთავარი მიზეზი? 8. რაში ხედავთ გამოსავალს? და სხვ...

V. დისკუსია ჯგუფში.

15 წთ.

ა) მოსწავლეები ინდივიდუალურად წერენ საკუთარ არგუმენტებს მწერლის მიერ გამოთქმული მოსაზრების მხარდასაჭერად და უარსაყოფად.

ბ) განიხილავენ მოსაზრებებს ჯერ მენწყვილესთან, შემდეგ ჯგუფში; მსჯელობის შემდეგ მიიღებენ გადაწყვეტილებას, საკამათო დებულებას უჭერენ მხარს თუ უარყოფენ მას.

გ) შეარჩევენ რამდენიმე არგუმენტს და მოემზადებიან პრეზენტაციისათვის.

VI. პრეზენტაცია: ჯგუფის ლიდერები გააცნობენ კლასს ჯგუფის მოსაზრებას, ჩამოთვლიან არგუმენტებს, ისაუბრებენ, როგორ იმუშავა ჯგუფმა საერთო დასკვნის გამოტანის დროს და სხვ.

პრეზენტაციის შემდეგ კვლავ მსჯელობენ ჯგუფები. გადახედავ საკუთარ მოსაზრებებს, ჩამოაყალიბებენ დასკვნას.

12 წთ.

VII. შეფასება: განმსაზღვრელი (პრეზენტაცია) და განმავითარებელი (ჩართულობა).

3 წთ.

124-ე გაკვეთილი (45 წთ.)

გაკვეთილის თემა

ტექსტი – ერლომ ახვლედიანის „სიმდიდრის მოყვარული კაცი“; ენობრივი მასალა – რთული სიტყვები.

მიზნები:

მოსწავლემ შეძლოს: ტექსტის მთავარი სათქმელის ამოცნობა, მსჯელობა დასმულ საკითხზე და სათანადო არგუმენტების მოხმობა;

კონტექსტის მიხედვით და ლექსიკონის გამოყენებით სიტყვების მნიშვნელობების დაზუსტება;

ბა;

მეწყვილესთან საკომუნიკაციო ამოცანების გახორციელება – ჯგუფური სამუშაოების

შესრულება.

სიტყვის აგებულებაზე დაკვირვება და რთული სიტყვების სწორად გამოყენება წინადადებაში.

რესურსი: სახელმძღვანელო, ბარათები.

გაკვეთილის მსვლელობა:

I. სამოტივაციო აქტივობები ტექსტის წაკითხვამდე:

ა. გაკვეთილის მიზნის გაცნობა.

2 წთ.

ბ. ლექსიკონზე მუშაობა – სიტყვა საცდურის განმარტება; წყვილში მსჯელობა თემაზე – როდის იქცევა სიმდიდრე საცდურად.

4 წთ.

გ. ერლომ ახვლედიანის ბიოგრაფიის გაცნობა.

2 წთ.

დ. ტექსტის წაკითხვამდე მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს კითხვის მიზანს – მათ დამოუკიდებლად ყურადღებით უნდა წაიკითხონ ტექსტი, იმუშაონ ლექსიკონზე და შეძლონ საანალიზო კითხვებზე პასუხების გაცემა.

1 წთ.

II. ტექსტის კითხვა და გააზრება:

1. მოსწავლეები ტექსტს კითხულობენ დამოუკიდებლად, ჩუმად.

5 წთ.

2. ისინი უპასუხებენ რუბრიკაში – „იფიქრეთ, იმსჯელეთ“ – მოცემულ კითხვებს.

5 წთ.

3. ჯგუფური სამუშაო:

6 წთ.

ა) მოსწავლეები ინდივიდუალურად წერენ ტექსტის მთავარ სათქმელს ბარათებზე.

ბ) განიხილავენ პასუხებს ჯგუფში, მსჯელობენ და შეჯერდებიან ერთ პასუხზე.

გ) ჯგუფის ერთ-ერთი წევრი წარადგენს ჯგუფის საერთო პასუხს სათანადო არგუმენტით.

4. ტექსტის ენობრივი ანალიზი:

15 წთ.

ა. მოსწავლეები ინდივიდუალურად ასრულებენ № 1 სავარჯიშოს – ამოწერენ ტექსტიდან რთულ სიტყვებს.

ბ. წყვილში ასრულებენ № 2 სავარჯიშოს – ადგენენ რთულ სიტყვებს და ცვლიან ბრუნვა-

თა მიხედვით.

გ. ინდივიდუალურად ადგენენ წინადადებებს რთული სიტყვების გამოყენებით, ჯგუფის წევრები ცვლიან ნამუშევრებს და განიხილავენ მათ რედაქტირების მიზნით.

დ. დავალების პრეზენტაცია.

III. შეფასდება – ჩართულობა; გააზრებული კითხვის, დამოუკიდებელი მსჯელობის უნარჩვევები; მართლწერისა და შემოქმედების უნარი როგორც ქულებით, ისე კომენტარით.

3 წთ.

IV. საშინაო დავალება – მასწავლებალი განმარტავს, როგორ უნდა შესრულდეს წერიტი დავალება.

2 წთ.

161-ე გაკვეთილი (45 წთ.)

ბაკვეთილის თემა

მოსწავლეთა მიერ ერთ-ერთი ისტორიული ძეგლის შესახებ შექმნილი საპრეზენტაციო ტექსტის წარდგენა.

მიზნები:

მოსწავლემ შეძლოს: პრეზენტაციის წესების განსაზღვრა და წარდგენა; საკუთარი მოსაზრების გამოთქმა არგუმენტების მოხმობით.

რესურსი: ჯგუფის ნამუშევარი.

ბაკვეთილის მსვლელობა:

1. გაკვეთილის მიზნის გაცნობა: მოსწავლეებს ევალებათ მათ მიერ რომელიმე ისტორიული ძეგლის შესახებ მოძიებული ინფორმაციის მიხედვით შედგენილი ტექსტის წარდგენა.

მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, რომ მათი ნამუშევრის თვალსაჩინოდ წარდგენის მიზნით სასურველი იყო დიდი ფორმატის ქალაქისა და ფოტომასალის გამოყენება.

2 წთ.

2. დავალების პირობიდან გამომდინარე, მთელი კლასის მონაწილეობით იქმნება შეფასების რუბრიკები.

5 წთ.

მაგალითად:

- რამდენად ზუსტად უპასუხებს მასალა თემას (ტექსტის შინაარსობრივი მხარე);
- როგორ არის განაწილებული მასალა ფორმატზე;
- ჩანს თუ არა, როგორ იყვნენ ჩართულნი ჯგუფის წევრები მუშაობის პროცესში;
- რამდენად საინტერესოდ წარადგინა ჯგუფის ლიდერმა ჯგუფური ნამუშევარი.

3. თითოეული ჯგუფიდან ლიდერი წარადგენს მასალას. შინაარსობრივი მხარის გარდა, მან უნდაგააცნოს მსმენელებს, როგორ დაიგეგმა ჯგუფურისამუშაოდა როგორ მიიღეს მონაწილეობა ჯგუფის წევრებმა თხზულების შექმნასა და დახვეწაში, ვიზუალური მასალის მომზადებაში. თითო ჯგუფს პრეზენტაციისათვის ეძლევა 5 წუთი.

სულ 20 წთ.

4. მოსწავლეები უსვამენ პრეზენტატორს დამატებით კითხვებს, რომლებზედაც პასუხები შეიძლება გასცენ ჯგუფის სხვა წევრებმაც.

5 წთ.

5. ნამუშევრები გამოიფინება კედლებზე, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ მასალის შეფასების საშუალება.

შეფასებები საჯაროდ განიხილება ქულების შეჯამებით გამოვლინდება საუკეთესო ნამუშევარი (ჯგუფები საკუთარ ნამუშევარს არ აფასებენ).

8 ნთ.

6. მასწავლებელი გამოეხმაურება მოსწავლეთა ნამუშევრებს, აფასებს მოსწავლეებს როგორც ქულებით, ისე კომენტარებით.

5 ნთ.

7. ფასდება: ჩართულობა (დაკვირვებით); კომუნიკაციის ჩვევები; პრეზენტაციისა და ტექსტისათვის ადეკვატური სტილის შერჩევის უნარი.

178-ე გაკვეთილი (45 ნთ.)

ნერა – შეფასება

მიზნები:

მოსწავლემ შეძლოს: გადახედოს სახელმძღვანელოს და შეარჩიოს მისთვის ყველაზე საინტერესო მასალა (ტექსტები, ენობრივი სავარჯიშოები, წერიტი დავალებები) და არგუმენტირებული მსჯელობით დაასაბუთოს თავისი არჩევანი.

დაიცვას მართლწერის ნორმები, გაასწოროს სტილისტური და გრამატიკული შეცდომები.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. გაკვეთილის მიზნის გაცნობა.

1 ნთ.

2. დავალების შესრულება ინდივიდუალურად, სქემის შევსება.

15 ნთ.

3. წყვილში ნამუშევრების გაცვლა და განხილვა.

5 ნთ.

4. ნამუშევრების გაცნობა მთელი კლასისთვის:

20 ნთ. ერთ-ერთი მოსწავლის პრეზენტაციის შემდეგ მასწავლებელი იწვევს პრეზენტაციისათვის იმ მოსწავლეს, რომელსაც იგივე საკითხი აქვს განხილული. წარიმართება განსხვავებულ საკითხ-

ებზე მსჯელობა.

5. შეფასება – კრიტერიუმებით (რამდენად არგუმენტირებული იყო მოსაზრება, ენობრივად სწორად და გასაგებად ჩამოყალიბებული).

4 ნთ.

**შეფასების სქემაში
პრაქტიკის უნარის შეფასების კრიტერიუმები**

პრეზენტაცია არის კვლევის, პროექტის განხორციელების შედეგების, მოხსენების, შემოქმედებითი დავალების, ჯგუფში შესრულებული სამუშაოს წარდგენას აუდიტორიის წინაშე.

კრიტერიუმები	9-10	7-8	5-6	3-4	1-2
თემის წარდგენა	დაინჟო საინტერესო, ორიგინალური შესავლით, გამოიყენა სხვადასხვა ვიზუალური მასალა; ყველა მასალა შეესაბამება თემას.	დაინჟო ტრაფარეტული შესავლით; არ ჰქონდა საკმარისია ვიზუალური მასალა; მასალა შეესაბამებოდა თემას	შესავალი არ გამოიწვია ინტერესი; მწირია ვიზუალური მასალა	დაინჟო შესავლის გარეშე; არ ჰქონდა მომზადებული ვიზუალური მასალა.	ვერ წარადგინა მოხსენება.
აუდიტორიასთან ურთიერთობა	დროულად და ზუს-	ძირითადად		გაუჭირდა	იყო დაბნეული.
	ტად რეაგირებდა მსმენელთა	ადეკვატურად რეაგირებდა მსმე-	ზოგჯერ ახერხებდა რეაგირებას მსმენელთა	კონტაქტის დამყარება აუდიტორიასთან;	
	ვერბალურ და არავერბალურ რეაქციაზე;	ნელთა ვერბალურ და არავერბალურ რეაქციაზე,	ვერბალურ და არავერბალურ რეაქციაზე, ცდილობდა ყურადღების	ვერ უპასუხა კითხვებს.	
	ბოლომდე შეინარ-	ცდილობდა	ყურადღების		
	ჩუნდა აუდიტორიის ინტერესი;	შენარჩუნებინა მსმენელთა ყურად-	შენარჩუნებას ხმის აწევით ან რეპლიკებით;		
	ამომწურავად უპასუხებდა კითხვებს.	ღება; ყველა კითხვაზე არ ჰქონდა პასუხები.	ყველა კითხვაზე არ ჰქონდა პასუხები.		
მეტყვევლება	საუბრობდა გასაგე-	მეტყველებდა	ხშირად უშვებდა	მეტყველებს	მეტყველებდა
	ბად, ხმამალა, ენის ნორმების დაცვით;	გასაგებად, ხმა-მალა, უშვებდა	ენობრივ შეცდომებს; ზოგჯერ ვერ იყენებდა	მწირი ლექსიკით, ენის ნორმების დარღვევით.	გაუგებრად, უშვებდა ენობრივ შეცდომებს.
	აქვს მდიდარი ლექსიკა.	გრამატიკულ შეცდომებს; ზოგ-ჯერ ვერ არჩევდა ადეკვატურ ლექსიკას.	ადეკვატურ ლექსიკას.		
		არჩევდა ადეკვატურ ლექსიკას.			
მსჯელობა	მსჯელობდა	ძირითადად	ზოგჯერ	მსჯელობა ძირი-	ვერ მოახერხა
	ლოგიკურად, თანამიმდევრულად,	მსჯელობდა ლოგიკურად,	ახერხებდა აზრის ლოგიკურად და თანამიმდევრულად	თადად იყო არათანმიმდევრული; არგუმენტები არა-	სათქმელის ბოლომდე ჩამოყალიბება.
	მოიყვანა	თანამიმდევრულად;	ჩამოყალიბებას;	დამაჯერებელი;	
	არგუმენტები, გააკეთა ლოგიკური დასკვნა;	ზოგჯერ არგუმენტი და დასკვნა იყო არადამაჯერებელი;	ხშირად არგუმენტი იყო არადამაჯერებელი;	ვერ აკეთებდა ლოგიკურ დასკვნას; ბოლომდე ვერ ამბობდა სათქმელს	
	არ გასცილებია თემას.	ზოგჯერ სცილდებოდა თემას.	ლოგიკური დასკვნის გაკეთება. სცილდებოდა თემას.	და სცილდებოდა თემას.	

	9-10	78	4-6	1-3
არგუმენტირებული	ყველა მოსაზრება და	მოსაზრებები და	მოსაზრებები და	იშვიათად მონაწილეობს
მსჯელობა	არგუმენტი შეესაბამება საკითხს;	არგუმენტები ძირითადად შეესაბამება საკითხს;	არგუმენტები ძირითადად არ შეესაბამება საკითხს;	დისკუსიაში; უჭირს საკუთარი აზრის ჩამოყალიბება;
	მსჯელობა თანამიმდევრულია;	მსჯელობა ზოგჯერ არათანამიმდევრულია;	მსჯელობს, მაგრამ არათანამიმდევრულად;	იშვიათად ახერხებს სხვისი მოსაზრების
	არგუმენტები დამაჯერებელია, გამყარებულია	არგუმენტები ძირითადად	არგუმენტები ძირითადად	პერიფრაზირებას.
	ტექსტური მასალით, ფაქტებით;	დამაჯერებელია და გამყარებულია	არადამაჯერებელია, რადგან არ არის	
	დასკვნა ლოგიკურია.	ტექსტური მასალით, ფაქტებით; დასკვნა ლოგიკურია.	გამყარებული ტექსტური მასალით, ფაქტებით; შორდება საკითხს.	
მეტყვევლება	მეტყველებს მშვიდი ტონით, გასაგებად; იცავს ენის ნორმებს;	მეტყველებს მშვიდი ტონით, გასაგებად, მაგრამ ზოგჯერ უშვებს ენობრივ შეცდომებს;	მეტყველებს ძირითადად გასაგებად, მაგრამ ხშირად უშვებს ენობრივ შეცდომებს;	უშვებს ენობრივ შეცდომებს.
	აქვს მდიდარი ლექსიკა.	ენობრივ შეცდომებს; ძირითადად იყენებს ადეკვატურ ლექსიკას.	ხშირად უშვებს ენობრივ შეცდომებს; უჭირს ადეკვატური ლექსიკის შერჩევა.	
დამოკიდებულება	ბოლომდე უსმენს სხვის	ზოგჯერ აწყვეტინებს	ხშირად აწყვეტინებს	
სხვების მიმართ	აზრს; გამოხატავს პატივისცემას განსხვავებული აზრის მიმართ;	სხვას აზრს, თუმცა ცდილობს იყოს კორექტული, გამოხატოს პატივისცემა	სხვას აზრს, არ უსმენს ბოლომდე.	მხოლოდ ისმენს გამოთქმულ მოსაზრებებს.
	თავშეკავებული და კორექტულია.	განსხვავებული აზრის მიმართ.		

შეფასების სქემა საშინაო დავალებისათვის

ქულები 1-10	შეფასების დონეები
1-2	<ul style="list-style-type: none"> • ვერ ასრულებს დავალებებს. • იშვიათად ასრულებს დავალებებს, უმეტესწილად ავინყდება; თუ აკეთებს – უგულისყუროდ, ნაწილობრივად, მონდომების გარეშე (საკუთარ შესაძლებლობებთან შედარებით გაცილებით მეტი შეუძლია).
3-4	<ul style="list-style-type: none"> • დავალებებს პერიოდულად ასრულებს, ხშირად უგულისყუროდ, შესრულებული დავალება არ შეესაბამება დავალების პირობას
5-6	<ul style="list-style-type: none"> • დავალებებს ასრულებს ხშირად, მაგრამ უგულისყუროდ.
7-8	<ul style="list-style-type: none"> • დავალებებს ძირითადად ასრულებს მონდომებითა და პასუხისმგებლობით.
9-10	<ul style="list-style-type: none"> • დავალებებს ყოველთვის მონდომებულად და სათანადოდ ასრულებს.

გაკვეთილზე ჩართულობის შეფასების სქემა

ქულები 1-10	შეფასების დონეები
0	<ul style="list-style-type: none"> მოსწავლის შეფასება შეუძლებელია, ის არ დადის გაკვეთილზე ან საერთოდ არასოდეს მონაწილეობს გაკვეთილის მსვლელობაში.
1-2	<ul style="list-style-type: none"> მოსწავლე იშვიათად მონაწილეობს გაკვეთილის მსვლელობაში, შესაძლოა ხელსაყ უშლიდეს გაკვეთილის მსვლელობას. გამოხატავს გაკვეთილის პროცესის მიმართ ინდეფერენტულ ან აგრესიულ დამოკიდებულებას.
3-4	<ul style="list-style-type: none"> მოსწავლე დამოუკიდებლად ერთვება გაკვეთილის მსვლელობაში, ცდილობს იყოს აქტიური, მაგრამ მისი აქტიურობა ქმნის პრობლემებს, მაგ. ის ზედმეტად ბევრს საუბრობს, აწყვეტინებს მოსაუბრეებს, ხანდახან ცდილობს ზედმეტი აქტიურობით დამალოს საკუთარი მოუშაადებლობა, ზოგჯერ არ სცემს პატივს სხვის მუშაობას და სხვა.
5-6	<ul style="list-style-type: none"> მოსწავლე დამოუკიდებლად არ ერთვება გაკვეთილის მსვლელობაში, იშვიათად იჩენს ინიციატივას. მასწავლებლის დახმარების გარეშე მისი ჩართულობა ხშირად არ მჟღავნდება.
7-8	<ul style="list-style-type: none"> მონაწილეობს აქტიურად გაკვეთილის მსვლელობაში და უმეტესად ამჟღავნებს წინასწარ მომზადებულობას. პატივს სცემს სხვის აზრსა და მუშაობას. დამოუკიდებლად ერთვება დისკუსიებსა და ჯგუფურ მუშაობაში, თუმცა ვერ ამჟღავნებს მაქსიმალურ პროდუქტიულობას პერიოდული ჩავარდნების გამო.
9-10	<ul style="list-style-type: none"> მუდმივად მზადაა მონაწილეობა მიიღოს გაკვეთილის მსვლელობაში, დამოუკიდებლად ერთვება მუშაობაში, დისკუსიასა თუ პრობლემების გადაჭრაში. ეხმარება და პატივს სცემს სხვებს. კარგად აქვს გაცნობიერებული საკუთარი როლი კლასის მიერ რაიმეს შესწავლისას.

წერიტი ნაშუაჲრის შეფასების სქემა

	9-10	6-8	3-5	1-2
მიზანთან შესაბამისობა, ორიგინალურობა	სრულად უპასუხებს თემას, მითითებებს; გამოკვეთილია მიზანი; სწორად არის განსაზღვრული ამოცანა	გააზრებული აქვს მიზანი, ძირითადად უპასუხებს თემას	ნაწილობრივ უპასუხებს თემას, არ აქვს კარგად გააზრებული მიზანი	ძირითადად არ შეესაბამება თემასა და მიზანს
ტექსტის ორგანიზება	ნაწერი კარგად არის ორგანიზებული, ხელწერა გასაგებია, აბზაცები დაცულია	ზოგჯერ არ იცავს აბზაცს, ხელწერა გასაგებია	ნაწერი არ არის ორგანიზებული. ხელწერა გასაგებია	ნაწერი ძნელად იკითხება, არ არის გამოყენებული აბზაცები

მსჯელობა და ფაქტების სიზუსტე	მსჯელობა თანამიმდევრულია, აგუმენტები გამყარებულია ტექსტით, ჩანს დამოუკიდებელი აზროვნება	მსჯელობა თანამიმდევრულია, მაგრამ სათანადოდ არ არის გამყარებული ტექსტით, არის უზუსტობები	მსჯელობა არ არის თანამიმდევრული და გამყარებული ტექსტით	მსჯელობა არალოგიკურია
სტილი და ლექსიკა	დაცულია მიზნის შესაბამისი სტილი, ლექსიკა მდიდარია, არ არის არც ერთ შეცდომა	გამოყენებულია ადეკვატური ლექსიკა, არის ორიოდ შეცდომა, ძირითადად დაცულია შესაბამისი სტილი	ღარიბია ლექსიკა, არის შეცდომები სტილი არ არის მიზნის შესაბამისი	ლექსიკა არაადეკვატურია
მორფოლოგია სინტაქსი პუნქტუაცია	დაშვებულია ორიოდ შეცდომა	არ არის 5 შეცდომაზე მეტი	არ არის 7 შეცდომაზე მეტი	7 შეცდომაზე მეტია